

# ლიტერატურული გაზეთი

№3 (115) 14 - 27 თებერვალი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## აღმოსავლეთის სიბლი

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, განსაკუთრებით კი ბრიტანეთის იმპერიის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ ინდოეთში, ნოყიერი ნიადაგი შექმნა დასავლური და აღმოსავლური კულტურების დასაახლოებლად. დიდი ინგლისელი მწერალი რედარდ კიპლინგი საკუთარ თავს ანგლო-ინდური რასის წარმომადგენლად მიიჩნევდა. აღმოსავლური ფილოსოფიითა და რელიგიებით აღფრთოვანებული იყვნენ ტოლსტოი, როლანი, იუნგი, მილერი, ჰაქსლი, მოემი, ჰარისონი... მათ რიგებს 1946 წელს სელინჯერიც შეემატა. ადვიატა ვედანტათი ის მოემის რომანის, „სამართებლის პირის“, კითხვისას დაინტერესდა. ხოლო მოგვიანებით რამაკრიშნა-ვივეკანანდასა და ძენ ბუდიზმის მოძღვრებებსაც გაეცნო, საგულისხმოა, რომ ვივეკანანდათი აღფრთოვანებული იყვნენ ტოლსტოი და როლანიც. ისინი ხოტბას ასხამდნენ ამ დიდ ინდოელ მოძღვარს. ტოლსტოი, მაგალითად, ვივეკანანდას „უბრწყინვალეს ბრძენკაცს“ უწოდებდა და ეჭვობდა, რომ მის ეპოქაში სხვასაც შეეძლო ამ ინდოელ გურუზე მაღალი სულიერი მდგომარეობისთვის მიეღწია. როლანი კი ამერიკის ისტორიას ორ, ვივეკანანდას ჩასვლამდე და მის ჩასვლის შემდგომ, პერიოდად ყოფდა...

რა თქმა უნდა, კულტურათა დაახლოება დადებითი მოვლენა იყო, ის ადამიანს მსოფლმხედველობას უფართოებდა, მაგრამ სამწუხაროდ სპონტანურად, ან შესაძლოა, პოლიტიკოსების დაკვეთითაც, ამ პროცესში ჩაერთნენ მოძღვრები, რომლებიც რელიგიათა შერწყმას ისახავდნენ მიზნად. ვინ იყვნენ ისინი? რას ქადაგებდნენ? ან რა გავლენა მოახდინა მათმა მოძღვრებამ სელინჯერის შემოქმედებაზე? ყოველივე ამის შესახებ სწორედ ამ წერილში მინდა გესაუბროთ.

თემურ გაბუნია

II-III

მაია სარიშვილი

\*\*\*

...ნორმალურებო, სწორდით და სმენა!  
თქვენს მწკრივში ძალით ჩავაყენე  
ჩემი შვილები,  
საითაც წახვალთ, ნაიყვანეთ.  
უთხარით: დედა სხვა მწკრივშია,  
სხვა აღლუმზე,  
სხვა ბელადის მოედანზე.  
ბევრ კითხვას არ დაგისვამენ,  
მოერიდებათ...

IV

## ხელის-გულის ანაბეჭდები

\*\*\*

„ჭკუით, ქართველებო!“ – ეს სიტყვები დაგვიბარა სიკვდილის წინ დიდმა ჭაბუამ... ეს სიტყვები: ისტორიის შორეულ და ბნელ წიაღში ბევრჯერ ნათქვამი... „ჭკუით, ქართველებო!“ – ეს სიტყვები, იმათთვის ნათქვამი, ვისაც ჭკუა მოეთხოვება!... ხოლო ისტორიის გრძელ ღამეებში ამ სიტყვებმა უშედეგოდ ჩაიქროლეს, გამგონი ვერ იპოვეს, უმიზნოდ ჩაგვიარეს, რადგან, როგორც ჩანს, მაშინ ჭკუა არა გვექონდა! ამის გამო ეს ორი სიტყვა უმისამართოდ დაიკარგა... და დღეს, ვეყო, განა გვეკუთვნის ეს უმძიმესი და მრავლისმთქმელი სიტყვები?! ჩვენი დროის დიდქართველის მწერლური და ცხოვრებისეული სიბრძნე ამ სიტყვებში შემკვიდრდა... თუმცა დიდად მეეჭვება, ფულზე და საშოვარზე დაგვიხილი ქართველი ჭაბუხას ამ სიბრძნეს რომ შეისმენს!.. ეს ყოველივე თვით დიდმა ჭაბუამაც კარგად იცოდა, მაგრამ სათქმელი მაინც თქვა, რადგან უდავოა, რომ მისი სიტყვები საუკუნეებს გადასწვდება და, შესაძლოა, შორეულ მომავალში დაიბადოს ის ღვთისნიერი ქართველი, ვინც ამ სიბრძნეს შეისმენს, გულზე დაინერს და უერთგულებს კუბოს კარამდე!

ჯარჯი ფხოველი

V

## დღე მეზვიდა

„რთული საქმეა წერა, გოგი ექიმო. მერამდენად მივუჯექი მაგიდას, და არაფერი გამომივიდა. განწყობილებების ნაგლეჯები ერთ მსუყე ნაჭრად ვერ შევაგუნდე, ხელიდან მისხლტებოდნენ, საწყისი ფრაზაც არადა არ გამოიკვეთა, რათა მასზე დაყრდნობით ჩემი თხრობა განმეგრძო... დაისვენეთ დღეს, ბატონო გოგი.“

ვერ იმუშავა თინამ. არა უშავს, სხვა დროისთვის გადადებს. გალიზიანებული კი იყო უშედეგო მცდელობებით და ბრაზიანად ჩაუვლიდა მაგიდას, დახედავდა ჩალურჯებულ-ჩაშავებულ ქალაღების გვერდით გამოპრანჭულად დადებულ ფიქვინა ფურცლებს, ოდნავ შეყოვნდებოდა და აგრძელებდა ფანჯრიდან კედლამდე სიარულს. „ქალაღმა არ მიმიშვა თავისთან“, – ჩაეცინა.

ტელეფონმა დარეკა.

– გაგაღვიძე, თინა?

– არა, თათა, მღვიძავს რა ხანია.

– შენ... თხოვნა მაქვს.

– ბრძანე.

– პატიმარი გოგო უნდა მოვინახულო. არამიანცში ჰყავთ გადმოყვანილი. ვენები გადაიხსნა. გცალია, რომ გამომყვე?

– კი ბატონო. რაზეა დაჭერილი?

– იარაღის უკანონო ტარება და ბანდიტიზმის მცდელობა.

– აბრაგ გოგოსთან მივდივართ?

– კარგი ადამიანია. გაიცნობ, ნახავ.

– ნავიდეთ.

VI-VII

## მიხო მოსულიშვილი

## ხელმოცარულობისა

კაცს რო ლექსი არ გამოუვა, ნოველას დაწერს და ხელმოცარული პოეტი იქნება. თუ არც ნოველა გამოუვიდა, მოთხრობების წერას შეუდგება და ხელმოცარული პოეტი და ნოველისტი იქნება. თუ არც მოთხრობები გამოუვიდა, მერე რომანების წერას მიჰყოფს ხელს და ხელმოცარული პოეტი, ნოველისტი და მემოთხრობე იქნება. მერე პიესების ან სცენარების წერა თუ დაიწყო, სხვა აუცილებელი რამეების გარდა, ეს ყველაფერი იქ დასჭირდება... აი, ეგეთი უკან-უკან სიარული იცის ხელმოცარულობამ...

X-XI

I  
ფრენი და ზუი

XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მსოფლიო ლიტერატურაში უკვე ჩამოყალიბებული იყო ერთგვარი ტენდენცია, შეექმნათ რომანები ინცესტზე, ოიდოპოსის კომპლექსსა და ფსიქოანალიზიდან ხელოვნებაში შემოსულ მთელ რიგ თემებზე, დიდმა ამერიკელმა მწერალმა, ჯერომ სელინჯერმა, 1963 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაწარმოებში „ფრენი და ზუი“, ნამოჭრა თემა, რომელიც აღარავის ახსოვდა არათუ ამერიკასა და ევროპაში, არამედ თვით რუსეთშიც კი. კომუნისტი რუსი მწერლები წერდნენ „დიად საბჭოთა მშენებლობაზე“, დისიდენტები — გულაგებზე, დოსტოვესკისა და ტოლსტოისთვის ძვირფასი მომლოცველებისა და სალოსების რუსეთი კი ნელ-ნელა დაიწყებდა ეძლეოდა. და აი, ამ დროს სელინჯერმა, რომელსაც უჩვეულო ალღო ჰქონდა სულიერი სინამდვილე ეძებდა ყველაგან მივიწყებულ სამყაროში, დაწერა „ფრენი და ზუი“. მკითხველის გასაოცრად, ოცი წლის ამერიკელი სტუდენტის, ფრენი გლასის იდეალი არა პრაგმატული სამყაროს ქურუმი, მუდამ თვითკმაყოფილი და ყოყორი პროფესორი ტაპერია; ან ვთქვათ, ბრძენ-კაცად შერაცხული პრეზიდენტი რუხველტის ერთ-ერთი მრჩეველი, ვისი კარიერაც სასაქონლო ბირჟაზე დაიწყო, არამედ XIX საუკუნის რუსეთისთვის ესოდენ დამახასიათებელი და მახლობელი მომლოცველი. ფრენის სურს იესოს ლოცვის არსი შეიცნოს და ერთადერთ მიზნად ჭეშმარიტების წვდომა დაისახოს, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა არც თუ ისე ადვილია. რა დაბრკოლებები ელოდება წინ ფრენის? რატომ გახდა მისთვის რთული პავლე მოციქულის სიტყვების — „გამუდმებით ილოცვდით“ — არსს ჩანვდომოდა? ან რატომ მიიყვანა იესოს ლოცვის ხშირმა გამეორებამ ჯანმრთელობის შერყევამდე? რით იყო გამოწვეული მისი სწეულება?

ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, უმჯობესი იქნება, დავიწყოთ უმთავრესით: რა წიგნით ხელმძღვანელობდა ფრენი და რა შეცდომები დაუშვა რელიგიური ლიტერატურის განალიზებისას. როგორც სელინჯერის ნაწარმოებიდან ჩანს, ფრენი გლასს იესოს ლოცვის დაწყების სურვილი ორი პატარა წიგნის ნაკითხვის შემდეგ გაუჩნდა. პირველის სათაური იყო „მომლოცველის გზა“, მეორესი კი — „მომლოცველი გზას განაგრძობს“. საგულისხმოა, რომ ისინი რუსულენოვანი რელიგიური თხზულების თარგმანს წარმოადგენდნენ, რომელსაც ორიგინალში სულ სხვა სათაური ჰქონდა — „მწირის გულწრფელი საუბრები მოძღვართან“. ეს წიგნი XIX საუკუნის II ნახევარში დაიწერა და ფართოდ იყო ცნობილი რუსული საზოგადოებისთვის. თავდაპირველად ის ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ათონის მთაზე ყაზანის ეპარქიის ჩერემის მონასტრის წინამძღვრის, ილუმენი პაისის მიერ, ხოლო მოგვიანებით მონასტრის სახსრებით გამოიცა კიდეც. ვინ იყო ამ წიგნის ავტორი, დღემდე გამოცანად რჩება. ზეპირი გადმოცემით მის ავტორად ხანდახან ვიშენსკის მონასტრის ეპისკოპოსს, თეოფანე დაყუდებულსაც კი მოიხსენიებდნენ, თუმცა არსებობდა სხვა ვერსიებიც... „სრულიად დასაშვები იყო, ის ჩვენთვის უცნობ ავტორს შეექმნა“, რომელსაც „არც ლიტერატურული ნიჭი აკლდა და არც გემოვნება“, აღნიშნავდა სერგიევსკის მონასტრის არქიმანდრიტი პროფესორი კიპრიანე.

წიგნი, მართლაც, ძალიან მარტივი, ცოცხალი სასაუბრო ენით იყო დაწერილი, რის გამოც მალე პოპულარული გახდა და რამოდენიმე ევროპულ ენაზეც კი ითარგმნა. თუმცა, როგორც ამას 1948 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში არქიმანდრიტი კიპრიანე აცხადებდა, მისი მთავარი ღირსება მაინც შინაარსში უნდა გვეძებნა და არა სტილი. რას შეეხებოდა ეს წიგნი? რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვან და ამავე დროს მტკივნეულ თემას — მოხეტიალე მომლოცველობას. რევოლუციამდელი რუსეთი ყოველთვის გამოირჩეოდა სალოსებისა და მომლოცველების სიმრავლით, რაც, ნაწილობრივ, პეტრე პირველის მიერ ეკლესიის მიმართ გატარებული რეპრესიული პოლიტიკითაც იყო განპირობებული, ასევე, 1721 წელს გამოცემული ბარბაროსული ბრძანებულებით, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირებს აღსარების საიდუმლოს გათქმა ევალებოდათ. იმპერატორის რეპრესიებმა უბრალო ხალხს თვითმოქმედებისკენ უბიძგა. უზარმაზარი იმპერიის უკიდურეს გზებზე


სავსე იყო სალოსებით, ფეხშიშველი რომ მიდიოდნენ წმინდა ადგილების მოსალოცად. ისინი კოსმოპოლიტური არისტოკრატისა და სამოქალაქო პირების მიერ მართული ეკლესიის ერთგვარ ანტი-თუხასაც კი წარმოადგენდნენ, იმ ეკლესიისა, რომელიც ხანდახან სერაფიმ საროველისა და იოანე კრონშტანდტელის მსგავსი დიდი წმინდანების აზრების უგულვებელყოფასაც არ ერიდებოდა. სალოსებსა და ღვთის გლახებს (ბოჟიე ლიუძი) თანაუგრძობდა ეროვნულ ფეხებზე ამოზრდილი არისტოკრატიაც, ყოველ შემთხვევაში, მისი საუკეთესო ნაწილი, რაც კარგად ჩანს ლევ ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“. მომლოცველების მეგობარია ვერა ბოლკონსკაია, მათსავით ფეხშიშველი რომ მიუყვება წმინდა ადგილებსკენ მიმავალ გზას. საგულისხმოა, რომ ის მოგონილი პერსონაჟი არ გახლდათ, მის პრო-

კალიას“. ამ წიგნში მომლოცველი ეცნობა „ლოცვის უჩვეულო მეთოდს“...  
რა მეთოდზე საუბრობს ფრენი? საზოგადოდ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ცნობილია ლოცვების სხვადასხვა სახე, მათგან ერთ-ერთს მოკლე ლოცვა წარმოადგენს. „იყვინ და არიან ისეთი მოკლე ლოცვები, რომლებიც შეიყვარებდნენ ერთ მოკლე ლოცვას და იმეორებდნენ უწყვეტად. წმიდა კასიანე ამბობს, რომ მის დროს ეგვიპტეში ყოველთვის ჩვეულებრივი ლოცვა იყო 69-ე ფსალმუნის მეორე მუხლი: „ღმერთო შენვენასა ჩემსა მოხედენ, უფალო შენვენად ჩემდა ისწრაფე“. წმიდა იოანეს ცხოვრებაში წერია, რომ იგი იმეორებდა ასეთ ლოცვას: „სასოება ჩემდა მამა, შესავედრებლად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდა“... თუმცა „უძველესი დროიდან ბევრი ირჩევდა ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე,

რაიმეს და ვერც მოვარდნილი წყალი. მსგავსი მიზანი ჰქონდა ფრენისაც, თუმცა ერთი მიზნის დასახვა და სულ სხვაა მისი შესრულება. რუსი გლეხისგან განსხვავებით ფრენი იესოს ლოცვა არასწორად დაიწყო, „ფილოკალიის“ პრინციპებისა და წმინდა მამების რჩევების გათვალისწინებლად. მისი მიდგომა გამუდმებული ლოცვისადმი ბუდისტურ-ქრისტიანული უფრო იყო, ვიდრე ქრისტიანული, რაც არ უნდა მოგვიგონოს უცნაურად სელინჯერის ძენი გატაცების ფონზე. მით უმეტეს, რომ XX საუკუნეში ამერიკაში ძალიან პოპულარული იყო ამ აღმოსავლური რელიგიიდან ამოზრდილი სექტა — ქრისტიანული ძენი, რომლის მიმდევრები სრულიად დასაშვებადაც კი მიიჩნეოდნენ იესოს ლოცვა ბუდისტურად ეთქვა „კოსმიური ბუდას“ შესამეცნებლად. შემთხვევით არ ამბობს ფრენი, ეს ლოცვა ბუდისტური „ნამუამიდა ბუცუს“ მსგავსიაო.

ქრისტიანული ძენის მქადაგებლები ქრისტიანობის განახლების მოტივით არც წმინდა მამების რჩევა-დარიგებებს უგულვებელყოფდნენ, პირიქით, ისინი დამწყებებს ურჩევდნენ, რომ შემეცნებით მდუმარების მისაღწევად სისტემატურად ეკითხათ ქრისტიანი მოძღვრების თხზულებები და იესოს ლოცვაც ხშირად გაემეორებინათ. თუმცა, მართლმადიდებელი ქრისტიანებისგან განსხვავებით, მათთვის იესოს ლოცვა მაცხოვართან მისვლის გზა კი არ იყო, არამედ მედიტაციის ტექნიკის ერთ-ერთი საშუალება. ფრენიც, ქრისტიანული ძენის მიმდევრების მსგავსად, ერთი და იმავე სიყვარულით საუბრობს ქრისტეზეც და ბუდაზეც, იესოს ლოცვაზეც და „ნამუამიდა ბუცუსზეც“, რის გამოც მის ლოცვას გონივრულად ვერ ვწოდებთ, რადგან ის უფალ იესოს კი არ მიმართავს, არამედ „ხუთ თუ ათ სხვა პირს ერთად“. სწორედ ამ შეცდომაზე მიუთითებს უფროსი ძმა ზუი: „ვფიქრობ, შენ არ გესმოდა იესოსი ბავშვობისას და მგონი არც ახლა გესმის. ჩემი აზრით ის ხუთ თუ ათ სხვადასხვა რელიგიურ პირში გეძლება. ამიტომ, ვერც კი წარმოიდგენია, როგორ უნდა მიაღწიო რაიმე პროგრესს იესოს ლოცვაში, ვიდრე არ გაარკვევ, ვინ ვინაა და რააა“. ზუი დასახსნებს, ათი წლის ასაკში როგორ შემოვარდა ოთახში გადაშლილი ბიბლიით, მაშინ „შენ იესო აღარ მოგწონდა და გინდოდა ამის სათქმელად სიმორისთვის დაგერეკა, რომელიც სამხედრო ბანაკში იყო... გახსოვს რატომ აღარ მოგწონდა იესო? გეტყვი. პირველი, იმის გამო, რომ ის სინაგოგაში შევიდა, მაგიდები აატრიალა და კერპები მიყარ-მოყარა. შენი აზრით, ძალიან არასაჭირო რამ გააკეთა და ძალიან უხეშადაც მოიქცა. მაშინ დარწმუნებული იყავი, რომ სოლომონი, ან ვინმე სხვა, მსგავს რამეს არ გააკეთებდა. მეორე, რაც არ მოგწონდა და რის გამოც გადაშლილი ბიბლიით შემოხვედი, სახარების ეს ეპიზოდი იყო: „შეხვედი ცის ფრინველთ: არც თესვენ, არც მკიან, არც ბელღებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ“. ეს შენთვის მისაღები იყო, თუმცა როცა იესო იქვე ამბობდა: „ნუთუ თქვენ არა სჯობთ ხართ ფრინველთ“ პატარა ფრენიც ჩერდებოდა. ის უკვე ბიბლიას თავს ანებებდა და მზერას ბუდას აპყრობდა, რომელიც ამ მშვენიერ ცის ფრინველთ ადამიანისგან არც ანსხვავებდა... არ მითხრა, მაშინ ათი წლის ვიყავი და არ მესმოდაო. ახლა რასაც ვამბო, იმასთან ასაკს არავითარი კავშირი არ აქვს... შენ ახლაც არ გესმის და არ შეგიძლია შეიყვარო ძე ღვთისა, რომელიც მაგიდებს ატრიალებს... და ამბობს, რომ ადამიანი, ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის პროფესორი ტაპერიც (რომელიც ფრენის ძულდა — თ.გ.) უფრო მნიშვნელოვანია ღმერთისთვის, ვიდრე რომელიმე პატარა და უმწეო სააღდგომო წინილა“.

დაახ, ზუი თავის უმცროს დას ამხელს გაორებაში და არა მხოლოდ გაორებაში, გახუთებასა და გაათებაშიც, რადგან მიანჩია, რომ ადამიანს უფალი იესო სხვა არავიში არ უნდა აეროთ, არც ფრანჩესკო ასიზელში, არც მისეოში, არც სოლომონსა თუ ბუდაში და არც ვიღაც ჰაიდის ბაბუაში. ყოველ შემთხვევაში, როცა იესოსადმი აღაველენს ლოცვას, მხოლოდ მას უნდა მიმართავდეს და არა ხუთ თუ ათ პირს ერთდროულად. ზუის აზრით სწორედ იესოს ლოცვის არასწორად თქმა და ფრენის თავში არსებული დომხალი იყო მისი დეპრესიის უმთავრესი მიზეზი.  
ზუი დას აძლევს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მითითებას — სძულდეს არა



თემურ გაბუნია  
აღმოსავლეთის სიბლი

ტოტის წარმოადგენდა თავად გრაფ ლევ ტოლსტოის და, შამორდინოს მონასტრის მონაზონი...  
ასეთი ლამაზი იყო „ქრისტეში მოხეტიალე რუსეთი“, რომელიც, სამწუხაროდ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უეცრად სადღაც გაქრა. მასთან ერთად დაიშალა ის სისპეტაკე და ისადავე, სალოსებს რომ ახასიათებდათ, და აი, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკელი მწერალი ჯერომ სელინჯერი შეეცადა მკვდრითი აღედგინა ბოლშევიკების მიერ დასამარებული სამყარო. ფრენი გლასის სამაგიდო წიგნების გმირიც, ვერა ბოლკონსკაიას მსგავსად, მომლოცველია, რომელიც ღამეს ხან „გლეხ მეტყველსთან ათევს, ხან ვაჭართან და ხანაც ციმბირის რომელიღაც მიყრუებულ მონასტერში“. მის მთელ ავლადიდებას ერთი ზურგჩანთა წარმოადგენს, რომელშიც ბიბლია და გამხმარი პურია. მოულოდნელად დაქვრივებულს არც სახლი აქვს და არც მატერიალური სიმდიდრის მოპოვების არანაირი სურვილი არ გააჩნია. მის მთავარ მიზანს სულის ხსნა წარმოადგენს... და აი, სამეზობლის დღესასწაულის შემდეგ ეკლესიაში ნირვაზე მყოფი მომლოცველის ყურადღებას პავლე მოციქულის სიტყვები იყვრობს: „მოუკლებლად ილოცვდით, ყოველსა შინა ჰმადიდებთ“ (1 თეს. 5, 17-18). უცებ მას უჩნდება კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს მოუკლებელი ანუ გამუდმებული ლოცვა? როგორ შეიძლება ადამიანმა თან საქმე აკეთოს და თან ილოცოს? მომლოცველი ამ კითხვას ყველას უსვამს — ბერებს, მღვდლებს, მაგრამ სასურველ პასუხს ვერ იღებს და თანდათანობით მოსვენება ეკარგება. ის მზადაა მთელი რუსეთი ფეხით შემოიაროს, ოღონდაც კი ვინმემ აუხსნას, თუ რას გულისხმობდა პავლე მოციქული. სელინჯერის პერსონაჟი ფრენი ასე აღწერს მის მოგზაურობას: „შემდეგ მომლოცველი ხვდება ერთ პიროვნებას, სტარეცს, რომელიც ჩუქნის „ფილო-

ძეო ღმრთისაო, შემინყალე მე ცოდვილი“.  
...ამ ლოცვას იესოსო უწოდეს, რადგან იგი უფალ იესოსადმი მიმართული“ („უხილავი ბრძოლა“ — ნიკოდიმოს მთაწმინდელი).  
როგორც შემდგომ ნეტარი ნიკოდიმოს მთაწმინდელი აღნიშნავს, იესოს ლოცვას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წმინდა მამები: წმ. ეფრემი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ისააკ ასური, წმ. იოანე კიბისალმწერელი და სხვები. მის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საეკლესიო წესდებით მას შეეძლო შეეცვალა ყველა სახლში წასაკითხი ლოცვა და საეკლესიო მსახურება. იესოს ლოცვას ხანდახან ამოკლებდნენ კიდეც. მაგალითად, ჩასუთქვისას ამბობდნენ: „უფალო იესო ქრისტე“, ამოსუთქვისას კი — „შემინყალე მე“. იესოს ლოცვა სწორად ნაკითხულად მხოლოდ მაშინ ითვლება და მას გონიერსაც იმ შემთხვევაში უწოდებენ, თუკი „ის აღველინება არა მხოლოდ სიტყვით, არამედ გონებითაც და გულითაც, მისი შინაარსის გააზრებითა და შეგრძნებით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ყურადღებით ხანგრძლივი გამეორების შემდეგ იმდენად ერწყმის სულის მოძრაობას, რომ ერთი ხდება ლოცვა და სულის მოძრაობა, თანამყოფებად იქცევიან, ისე, თითქოს სიტყვებს არც კი ვამბობდეთ...“ (იქვე).  
ბუნებრივია, სელინჯერის ლიტერატურულ გმირს ფრენის, რომელსაც მოგზაურად და სურვილებით შეზღუდულ კოლეჯის სტუდენტებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა, ძალიან უნდა მოსწონებოდა რელიგიური თხზულებაც და მისი გმირიც, ვის უმთავრეს მიზანსაც, ფრენის ნაცნობებისაგან განსხვავებით, ყველაზე მნიშვნელოვანი განძის — სიბრძნის დაუფლება წარმოადგენდა, იმ სიმდიდრის, რომელსაც ვერც ქურდი მოიპარავდა და ვერც უანგი შეჭამდა, ვერც ციცხლი დააკლებდა

ადამიანები, არამედ მათი საქმეები. ასევე არიგებდნენ ათონის მთის ბერები დამწყებებს. ისინი მათ ურჩევდნენ არ გაბრაზებულყვნენ და არ მოექულებინათ უმეცარი და უღირსი ადამიანები, რადგან ამგვარი საქციელი არა მხოლოდ მოყვასის განკითხვაში, არამედ ღვთის საქმეების განსჯასა და უდიდეს ცოდვაში — ამპარტავნებაშიც კი შეიძლება გადაზრდილიყო.

როგორც მოგვხსენებთ, ფრენის სძულდა პროფესორი ტაპერი, თანაც იმდენად, რომ თვით მის თმის ვარცხნილობასაც კი წყობიდან გამოყავდა. „ეს თვითკმაყოფილი თვალთმაქცი“, რომელსაც მატყლივით ხშირი თეთრი თმა ჰქონდა, ფრენის აზრით, ლექციის დაწყებამდე ტულაზე მიდიოდა, რათა საკისს წინ თმები აეჩქრა. ის უდიდეს ინტერესს იჩენდა საკუთარი თავისადმი, საგნისადმი კი არავითარს. ეს კიდევ ასატანი იქნებოდა, მას გამუდმებით „იდიოტური მინიშნებები“ რომ არ გაეკეთებინა საკუთარი პერსონის „სიდიადეზე“, ის დარწმუნებული იყო, რომ თვითრეალიზირებული ადამიანი გახლდათ და მის მოსწავლეებს უბედნიერეს ადამიანებად უნდა ეგრძნოთ თავი, ასეთი გენიოსი რომ ჰყავდათ ქვეყანაში.

ფრენის აღიზიანებდა არა მხოლოდ კონკრეტული პედაგოგები, არამედ განათლების სისტემა მთლიანად, რომლის უმთავრეს მიზანსაც წარმოადგენდა სიმდიდრის დაგროვება აქ, ამ მიწაზე და არა ზეცაში... ზუიცი თანხმობდა დას, ოღონდ ბოლომდე არა, მისი აზრით კარგი პედაგოგებიც არსებობდნენ და რომ არ იქნებოდა სამართლიანი ყველანი ერთ ტაფაში მოექციათ. რა თქმა უნდა, მასაც ყავდა უღირსი ლექტორები, რომლებიც რასაც ეხებოდნენ, ყველაფერს უინტერესოდ, „აბსოლუტურად უსარგებლოდ და აკადემიურად აქცევდნენ“, მაგრამ მაინც არ იყო მიზანშეწონილი პიროვნული თვისებების გამო მათი მოძულება. თუკი ფრენი განათლების მთელ სისტემას უცხადებდა ომს, მაშინ ტაპერის გამაღიზიანებელ პალესტრასა და თმის ვარცხნილობაზე კი არ უნდა ესაუბრა, არამედ უფრო სერიოზულ რაღაცებზე. უღირსი პედაგოგები კი არ უნდა მოექულებინა, არამედ ის, რის გამოხატულებასაც წარმოადგენდნენ.

ამრიგად, ზუი დას იესოს ლოცვის არასწორ წაკითხვასა და ქრისტიანული სიყვარულის ნაკლებობაში ამხელს. მისი შენიშვნები იმდენად ღრმა და საფუძვლიანია, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაძმის დიალოგმა, შესაძლოა, გამოცდილი ბერების საუბრებიც კი მოგვაგონოს თავიანთ მონაფებთან. თუმცა ზუის განსწავლულობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, რადგან არც ისაა ბოლომდე გათავისუფლებული აღმოსავლური რელიგიების გავლენისგან. ნაწარმოებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ზუი ბავშვობიდანვე ბუდისტური რელიგიის პრინციპებით იზრდებოდა, რაშიც უფროს ძმებს ადანაშაულებს. მისი აზრით, სწორედ მათი ბრალია, შერეკილიყო ყოველი ტრაპეზის წინ ბუდისტურ ლოცვას რომ ამბობს. ერთხელ, ბავშვობაში, გადწყვიტა გამოეტოვებინა „ბუდას ოთხი ალთქმა“, მაგრამ სიმორმა ისე მკაცრად შეხედა, რომ გადაიფიქრა. თუმცა, ზუი ცდილობს გამოვიდეს გარეგნული მდგომარეობიდან, თავი დააღწიოს ორი ბატონის მსახურებას, დაამსხვრიოს ბუდიზმის ბორკილები. მსგავსი სულიერი ბრძოლა, როგორც ჩანს, სელინჯერსაც ჰქონდა, რადგან გლასების ოჯახის წევრები: სიმორი, ბადი, ზუი, უოლტი და უიკერი, ბიოგრაფიული და თუნდაც მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით, თვით ავტორის პირობით რელიგიურ ლიტერატურულ ორეულს წარმოადგენენ. (მართალია, ყველაზე მეტად სელინჯერს მწერალი-განდევნილი ბადი გლასი ჰგავს, მაგრამ მას, გარკვეული თვალსაზრისით, დანარჩენი ოთხი მძაც შეიძლება მივამსგავსოთ...).

ზუისა და ფრენის ინტელექტუალურმა საუბრებმა არ უნდა დაგვაგინოს უმთავრესი, რომ იესოს ლოცვა შეიძლება ითქვას ყოველთვის და ყველგან მოუკლებლად, მაგრამ მას არ შეუძლია ჩაანაცვლოს ნათლობისა და ზიარების საიდუმლოებები. ქრისტიანობა მხოლოდ სიბრძნე არაა, ქრისტიანობა ჭეშმარიტების მიმდევრობაა, ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. საკმარისია მას გამოვაცალით შედგენილი საიდუმლოზე დაფუძნებული საეკლესიო მსახურება, რომ ფილოსოფიას დაემსგავსება. ალბათ, სწორედ ეს სურდათ უნიტარული რელიგიის შექმნის მომხრეებს, ერთნაირი მონდომებით რომ ებრძოდნენ ქრისტიანულ სამებას და ინდუისტურ დოგმატებს.


მათ უცნაური მიზანი ჰქონდათ დასახული — ოთხი რელიგიის (ბუდიზმის, ინდუიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის) სინთეზირება. ისინი ოცნებობდნენ ერთ ეკლესიაში გაერთიანებულიყო „ყოველივე კეთილი, ჭეშმარიტი და მშვენიერი — ინდური აზრის ლობიონება, მაჰმადიანის სინრფელე, ბუდისტის გულმონყალბა...“ (რომენ როლანი — „რამაკრიშნას ცხოვრება“).

რელიგიების სინთეზირებას საკუთარი ცხოვრებით მძლავრი იმპულსი მისცა შივაიტმა რამაკრიშნამ, რომელმაც 1866 წელს ჯერ ისლამი მიიღო, ხოლო შვიდი წლის შემდეგ, 1874 წელს — ქრისტიანობაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოგვიანებით ადვიატას — უფრომოდერნულ მოღვაწეობაში ირგვლივაც უნდა გაერთიანებულიყვნენ ყველა რელიგიის წარმომადგენლები, „რამაკრიშნას მისიამ ჰიმალაების სიღრმეში სამლოცველო აუგო“ (იქვე). „ყველა მდინარე ოკეანისკენ მიდის. იარეთ თითოეულმა საკუთარი გზით!... დიდი მდინარე სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა სიგანის კალაპოტს იჭრის იმის მიხედვით, თუ როგორია რასა, ეპოქა და ადამიანი. წყალი კი ერთია. მიდით, იდინეთ ოკეანისკენ!“ — ასე მოძღვრავდა რამაკრიშნა თავის მონაფეებს, რომელთაც საუკეთესომ, ვივეკანანდამ, მისი აზრები და იდეები მოგვიანებით მთელს ევროპასა და ამერიკაში გაავრცელა. რამაკრიშნასა და ვივეკანანდას იდეებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოხიბული იყო ბევრი დიდი მწერალი. აღმოსავლეთის ხიბლს ვერ გაექცა სელინჯერიც. თუმცა, საგულისხმოა, რომ ის არასოდეს ყოფილა რომელიმე რელიგიის თუ ფილოსოფიური მოძღვრების ბრმა მიმდევარი. ამასთანავე, მწერლის გატაცება ქრისტიანული თემატიკით, მის გვიანდელ ნაწარმოებში „ფრენი და ზუი“, გარკვეულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სელინჯერის მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდებოდა... რამდენად სერიოზული იყო ეს ძვრები? ემიჯნებოდა თუ არა საბოლოოდ უნიტარებს? თავისუფლდებოდა თუ არა მათი გავლენისგან? ამ კითხვებს ალბათ, მხოლოდ მისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების გაცნობის შემდეგ თუ ვუპასუხებთ. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს პასუხი, ერთი რამ უდავოა, 1963 წელს, როცა მკითხველის წინაშე წარსდგა მშვენიერი ნაწარმოები — „ფრენი და ზუი“, რომელშიც ოცი წლის ამერიკელი მომლოცველი დაგვიხატა, თავისი რუსი წინამორბედის გზის გაგრძელებას რომ ცდილობდა, სელინჯერს თითქოს ერთი ნაბიჯილა ამორებდა ქრისტიანულ ჭეშმარიტებას.

### II უმაროლო ქვეყანა

XX საუკუნეში აღმოსავლურმა რელიგიებმა უზარმაზარი ტალღისავეთი გადაუარა ამერიკას, შემდეგ კი მთელ ქრისტიანულ მსოფლიოსაც. ძალიან პოპულარული გახდნენ ინდოელი გურუები, ტიბეტელი ლამები და იაპონელი ძენ-ბუდიზმის მქადაგებლები. სოკოევიით ამოზრდელი სექტების ლიდერებმა კი დაიწყეს იმის მტკიცება, რომ „სხვადასხვა რელიგიათა შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულია, მათი არსი კი ერთია, და, რომ ყველანი ჭეშმარიტებას ქადაგებენ, ამიტომ, კი არ უნდა დაუპირისპირდნენ, არამედ, პირიქით, უნდა გაამდიდრონ ერთმანეთი...“ (არქიმანდრიტი ლაზარე აბაშიძე, „აღსარების საიდუმლო“).

„თანამედროვე ინდუისტები ცდილობენ ადამიანს ჩაუწერონ, რომ არ არ-




სებობს არაერთი რეალური სხვაობა ინდუიზმსა და ქრისტიანობას შორის... და რომ ქრისტიანი, შესაძლოა, უკეთესიც კი გახდეს, თუკი შეისწავლის ვედანტას (მისტიკურ ინდუიზმს)...

სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის, რომ „ინდუიზმიც დღემათა სისტემისგან შედგება, ოღონდაც მათ ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვთ... უფრო მეტიც, ინდუიზმის დოგმები სრულ წინააღმდეგობაშიც კი მოდის ქრისტიანულთან. აქედან გამომდინარე, იმას, რასაც ინდუისტები ბოროტებად მიიჩნევენ, ქრისტიანისთვის — სიკეთეა. ხოლო რაც ქრისტიანისთვის უდიდესი ცოდვაა, ინდუისტისთვის ის უზენაეს სიკეთეს წარმოადგენს“ (იქვე). მაგალითად, ქრისტიანისთვის ამპარტავნება უდიდესი ცოდვაა, რომელიც ადამიანს ეშმაკის გვერდით უშადადებს ადგილს ჯოჯოხეთში. ინდუისტისთვის კი ამპარტავნება ცხოვრების წესია, მეტიც, ამ რელიგიაში უდიდესი ცოდვაა, არ გვეროდეს, „რომ შენ თვითონ ხარ ღმერთი.“ მუქტის (ხსნა) „ერთ-ერთი მთავარი დოქტრინიც სწორედ ამაში მდგომარეობს...“ ქრისტიანი მოძღვრები კი საპირისპიროს გვასწავლიან, მათი აზრით, „ადამიანი საკუთარ თავს კი არ უნდა მიეღოს, არამედ ღმერთს“ („უხილავი ბრძოლა“ — ნიკოდიმოს მთაწმინდელი), რადგან საკუთარი თავის იმედად მყოფი ადამიანი ამპარტავნებაში ვარდება და იღუპება.

გიგე შეიძლება ითქვას ბუდიზმზეც. წარმოუდგენელია ის, ვინც მოდერნისტი გურუების რეკომენდაციით ბუდას მანტრას სუნთქვით ვარჯიშთან ერთად გაიმეორებს, ამპარტავნების ცოდვაში არ ჩავარდეს და აი, რატომ — ფეხმორთხმით მჯდომმა ბუდისტმა ყოველი ჩასუნთქვისას უნდა თქვას: ჰამ-სა, ამოსუნთქვისას კი — ჰამ-სო. ჩასუნთქვა, ამ შემთხვევაში, ღმერთ ბრაჰმას (ანუ ქმნადობას) განასახიერებს, ამოსუნთქვა — შიგან (განადგურების სტიქიას), ხოლო მესამე (უხილავი შუალედური ნერტილი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვას შორის) — უზენაეს ღვთაებას ვიშნუს, რომელიც ქმნადობასა და განადგურებას, ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას, ანონასწორებს. შესაბამისად, ჰამ-სა-ჰამ-სო-ჰამ-სო-ჰამ-სო გამოყოფილი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის შუალედში უნებლიედ წარმოთქვამს სო-ჰამ-ს, რაც სანსკრიტადან ასე ითარგმნება „მე ვარ...“ აი, რას გვირჩევენ აღმოსავლური რელიგიის მიმდევრები, ყოველი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის შუალედში მლოცველმა საკუთარ თავს უნდა ჩააგონოს, რომ ის ღმერთია, „მე ვარ“, ხომ უფლის სიტყვებია?! ნუთუ ბუდას მანტრა რაიმეით ჰგავს იესოს ლოცვას, რომელიც ადამიანს თავმდაბლობისკენ უბიძგებს და არა ამპარტავნებისკენ? „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი“, ამბობს ქრისტიანი, რომელსაც თავში არასდროს მოუვა, ღმერთს გაეტოლოს... ამრიგად, ისმის კითხვა: რატომ უნდა ვერწმუნოთ ბუდიზმისა და ინდუიზმის თანამედროვე მქადაგებლებს, რომლებიც უმეტესწილად რევიზიონისტები არიან და თვით საკუთარ რელიგიებში მიღებულ ტრადიციულ შეხედულებებსაც კი უარყოფენ? როგორ შეიყვარებს საკუთარი ტრადიციების მოძულე სხვისას? ან ცხოვდება კი ადამიანი სუნთქვითი ვარჯიშებით, შრომითა და ფილოსოფიით, ეკლესიური ცხოვრებისა და ქრისტიანული რიტუალების გარეშე? ვივეკანანდა, რამაკრიშნა, რაჟენში და სხვა მოდერნისტი მოძღვრები კი სწორედ ამას ქადაგებენ, ისინი ადამიანს ამპარტავნებისკენ უბიძგებენ, როცა ურჩევენ, მხოლოდ კეთილი საქმეების აღსრულებით (კარმა იოგათი) ან ფილოსოფიითაც (ჯნანა იოგათი) კი შესაძლებელია ღმერთთან მისვლა. ეს აღმოსავლელი ოკულტისტ-თეოლოგები ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასებისკენ უბიძგებენ და სრულიად დაუცველს ტოვებენ ეშმაკის („ღმერთის მაიმუნის“) წინაშე, რომელსაც ღვთის წამბაძველობით თავადაც ცხრა დასი შეუქმნია (დაცემულ სულთაგან) ღვთაებრივ ანგელოზთა დასების საპირისპიროდ.

თანამედროვე გურუები ჩაგვაგონებენ, რომ ქრისტიანული რიტუალები უსარგებლო რამაა და რომ ნათლობისა და ზიარების გარეშე შეგვიძლია დავამარცხოთ ბოროტება. მართლაც, ძალიან ამპარტავანი უნდა იყოს ადამიანი, ნათლობაზე რომ თქვას უარი და ძალიან უმადური — ზიარებაზე, რადგან ამით ის ღმერთის ორ საჩუქარზე ამბობს უარს (მფარველ ანგელოზზე და უფლის სისხლსა და ხორცზე), იმ

სიკეთეებზე, ცოდვით დაცემული კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ამაოდ რომ დაეძებდა და რომლებიც მხოლოდ უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური მოვლინების შემდეგ გახდა ჩვენთვის ხელმისაწვდომი. ზიარების საიდუმლო არის ის, რისკენაც ქვეცნობიერად ილტვოდნენ ძველ შუმერსა და ინდოეთში, რაზეც ოცნებობდნენ ბრძენ-განდევნილები, მაგრამ ძალა არ შესწევდათ, მის არსს ჩასწვდომოდნენ. ნუთუ თავად „მაჰაბჰარატაში“ არ იყო ნათქვამი, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა, როდესაც ღვთაებრივ ცეცხლში დაწვავდა თავისი ბოროტი კარმის თესლებს? სამსხვერპლო ცეცხლზე მიტანილ უნდა იქნეს აჯაო, ნათქვამი იყო „მაჰაბჰარატას“ ერთ-ერთ ლექსში. აჯა სანსკრიტში მოუწიფებლსაც ნიშნავდა და უშობლსაც (ანუ დაუზბადებელს). ინდოეთსა და შუმერში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა



დავა მინათმოქმედებსა და მეჯოგეებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა დაენვით სამსხვერპლო ცეცხლზე აჯახორბლის თესლი თუ აჯა-კრავი.\* ეს იყო კენისა და აბელის დავის ლოგიკური გაგრძელება. სინამდვილეში ღმერთს არც ხორბლის მარცვლების შეწირვა სურდა და არც — უმანკო (სქესობრივად მოუწიფებელი) კრავების, ღმერთს უნდოდა ღვთაებრივ ცეცხლში დამწვარი ადამიანის ცოდვები და ეს უბრალო ჭეშმარიტება მხოლოდ ქრისტეს ამქვეყნიური მოვლინების შემდეგ გახდა ადამიანისთვის ცნობილი. ამრიგად, ჩვენ მაცხოვარმა დაგვაჯილდოვა იმით, რასაც საუკუნეების მანძილზე ამაოდ დაეძებდნენ ბრძენკაცები, განდევნილები და ქურუმები წარღვრამდელ სამყაროში, ასევე, წარღვრის შემდგომში — შუმერში, ინდოეთსა და საბერძნეთში, იუდეასა და სპარსეთში. მაშ, რატომ უნდა ვთქვათ ამ ჯილდოზე უარი და რად უნდა დავუჯეროთ რელიგიების გაერთიანების მოსურნეებს, რომლებიც მიისწრაფვიან რიტუალური და დოგმატური საყრდენი გამოგავაცალიან და რელიგია ფილოსოფიად გვიქციონ? რატომ ვთქვათ უარი მათ გამოდედა ეკლესიაზე, რომელმაც ოც საუკუნეს გაუძლო? ქრისტე იყო ღმერთი და მას რომ ნდომებოდა ღვთის სიტყვა ეკლესიისა და მღვდლის გარეშე მისულიყო ხალხთან, მაშინ თავადვე დაწვავდა სახარებას, მოციქულებსაც არ აირჩევდა და არც ეტყოდა: თქვენ მაროი ხართ ამა სოფლისაო. „უკუეთუ მაროი განქარდეს, რაითა დაიმაროილს“, — ბრძანა მაცხოვარმა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მოციქულებს და მათზე დაფუძნებულ სამოციქულო ეკლესიას. რელიგიების სინთეზირების მომხრეებს კი სწორედ უმაროლო ქვეყნის შექმნა ენადათ. მათ სურდათ, ადამიანი ეკლესიისა და მოძღვრის გარეშე ცხონებულიყო. რაც არა მარტო რთული, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელიც გახლდათ. ეკლესიის უარყოფელი თავადვე ჰგავდნენ უმაროლო ქვეყნიდან ჩამოსულებს, რადგან ის სულიერი საზრდო, რომელსაც ხალხს აძლევდნენ, ერთი შეხედვით, მშვენიერი იყო, მაგრამ — უმაროლო...

\*სიტყვა „აჯა“ ძველ ქართულშიც არსებობდა და ვედრებას ნიშნავდა. მას ვეფხისტყაოსანში ხშირად ვხვდებით „ჩემი აჯა“ (ვედრება), „გაჯავები“ — (გვედრები). სავარაუდოდ მის წარმოშობას რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა მსხვერპლმწიფარსთან, რადგან მსხვერპლმწიფარის რიტუალის აღსრულებისას, ადამიანი ღმერთს რაღაცას ავედრებდა კიდევც...

\*\*\*

ვერცერთი ხმა ვერ დაენია,  
 ისე ზუსტად მიჰყვებოდა მჭიდრო გვირისტებს.  
 ძაფთან ერთად ჩადიოდა თითქოს ბილიკში,  
 ამოდოდა ორ მილიმეტრში  
 და მერე ისევ ორ მილიმეტრში ჩადიოდა.  
 ეს გზა არასდროს მოერღვევა აქაურობას,  
 ასე არავის გაუვლია, ამ თავგანწირვით –  
 არცერთხელ არ გადახტომოდა  
 გვირისტების წყეულ ტირიებს.  
 ვინ დაანევიდა ამ სიგიჟეში რაიმე ნუგეშს?  
 ყველამ მხოლოდ მოკლე გზა იცის –  
 სიყვარულმაც, სიტყვამაც, ფიქრმაც, –  
 ასე გრძელი გზით ვერ გამოგყვება ვერავინ ვერსად,  
 მით უფრო, თუ იციან,  
 რომ ვერასდროს მოაღწევნენ შენს დაღვრულ  
 და შემთხვევით რომც მოაღწიონ,  
 ვერც შენ გაიგებ  
 მოვიდნენ თუ ისევ მარტო ხარ,  
 არც მათ ექნებათ წარმოდგენა,  
 მოგიხერხეს რაიმე, თუ ვერ მოგიხერხეს.

\*\*\*

როგორ ყველას გისწავლიათ,  
 დღეები წელზე იტრიალოთ ჰულაჰუპებით  
 და არ ჩამოგივარდეთ.  
 ხელჩაკიდებულ თქვენ-თქვენ ამბებს  
 აყენებთ წრეზე,  
 რომ რგოლის ფორმა მიეცეთ დღეებს –  
 პლასტმასის რგოლების –  
 მეც მინდა ასე –  
 რელსები დავჭრა, მოვამრგვალო,  
 წელი მქონდეს უდარდებო,  
 ფიქრებდათხრილი,  
 რომ გაუძლოს ამ სიმძიმეს  
 და გზა წრეზე მიტრიალებდეს.  
 მალე ვისწავლი ასეთ სიტყვებს –  
 ვანილივით რომ ექნებათ გარეული  
 მცირედი სევდა – არაფრით მეტი,  
 და ხელს მოვანწერ სიცოცხლის ქვემოთ,  
 რომ ის არსებობს –  
 დავადასტურებ!..

\*\*\*

ვამბობ: თოვლი, რა თქმა უნდა, არ დნება არასოდეს –  
 თოვლი უსიტყვებო წერილივით იკეცება,  
 ცარიელი მესიჯივით იგზავნება  
 უცნობ მისამართზე  
 და მოგდის პასუხი, რომ სხვაგან მოხვდითო,  
 შეცდომით აგიკრეფიათო ნომერი.

### მაია სარიშვილი

რა მტკივნეულია ამხელა ძალას ფლობდე  
 და თავგებთანაც ვერ მეგობრობდე.  
 რა აფრთხობთ?  
 ალბათ ჩემი ტკივილის პანტომიმა,  
 მუნჯი კინოს ფირივით რომ ვტრიალებ უეკრანოდ  
 და არაფერზე ავისახები.  
 ყველა, ვინც ამბობს, რომ ვუყვარვარ,  
 წინ ზენარს მიჭიმავს და კედელს მიშენებს,  
 რომ დაინახოს რას ყვება ფირი,  
 მაგრამ მე მუდამ სხვაგან ვიხედები,  
 ვერაფერზე გამოვისახე.  
 ძნელია ასე?  
 ვამბობ, რომ კი და ვფიქრობ, რომ არა!  
 ვამბობ: თოვლი, რა თქმა უნდა, არ დნება არასოდეს.

\*\*\*

დაიძინეთ, ვერცხლის დანებო.  
 დასაჭრელი აღარაფერია.  
 სტუმრებმა ცისფერი მუცლებით წაიღეს,  
 თქვენ რაც ლუკმებად დაუქუცმაცეთ:  
 რაღაც უნიჭო საქმელი  
 და ჩემი ცხიმიანი ამბებიც,  
 როგორც ფახლავები.  
 სხვა ყველაფერი ავაღაგე,  
 თქვენ მაგიდაზევე დაიძინეთ,  
 დილამდე ვერ გაგრეცხავთ,  
 ღამის დანები სანდონი არ არიან.  
 ერთ სტუმარს დარჩენია კაშნი,  
 მიყვარს, როცა სტუმრებს რაღაცეები რჩებათ,  
 რადგან ეს ისეთი სევდიანია –  
 ნივთების ღამისთევა უცხო სახლებში,  
 სადაც ბავშვებს ემსგავსებიან უმწეობით.  
 სულ არაფერი ხდება საშინო.  
 თოვს ზომიერი ფანტელებით.  
 სახლშიც ყველას სძინავს.  
 გავრეცხავ დანებსაც.  
 მინდა ვიყო ჩვეულებრივი ქალი –  
 დალაქავებული უბრალო წინსაფრით.  
 სარკეში ვიხედები და ზუსტად ასეთი ვარ,  
 ოღონდ კისერზე ვილაცის გრძელი კაშნითი.  
 მიყვარს, როცა სტუმრებს რაღაცეები რჩებათ.

\*\*\*

გადავარჩევი  
 ვინაა გადასაყვანი სხვა ზამთარში,  
 როგორც ლაზარეთში,  
 მაგრამ არ გამოვა.

ყველა ყინვას თუ მე გადავიფენ კრატერებზე  
 და ლავის ზოლებს თოვლით გადავიხვევ,  
 მთელი ზამთარი მეც ძლივს მეყოფა,  
 სხვას ვერავის შემოვისახლებ.  
 ახლა ასეა:  
 როგორც შემლილი, დაბმულია დედამინა  
 მდინარეთა ლურჯი თოკებით.  
 და მეგობართა ყველა ამბავსაც  
 შეკრული აქვს ყველა საკინძე.  
 ანუ არავინ ახლომახლო.  
 და ეს ზამთარიც  
 იქნებ ვერა და ვერ აღმოჩნდეს ისე ძლიერი,  
 მიხვდეს სად მიდგას სიკვდილის ტბა  
 და ჯერ მოყინოს,  
 მერე თოვლის დოღბანდებით გადამეხვიოს...

\*\*\*

მინდა ობობებს დავყვებოდე –  
 ვფიქრობ მხოლოდ მათ იციან ძილი,  
 სადაც ყველაფერი დავინყებულა.  
 აბაზანაში ვდგავარ და ვრეცხავ.  
 რა მორჩილად იხსნება წყალში  
 ჩემი ძვირფასი კეთილი ფხვნილი.  
 მას ნიჭიერად ამოაქვს ამბები ნაჭრიდან.  
 ბავშვის ჭუჭყიან შარვალზე  
 ტალახთან მიხუტებული ტკივილიც დავინახე.  
 და მივხვდი, რომ მაშინ არ უტირია, როცა წაიქცა,  
 მაგრამ, თურმე...  
 ჩემი ძვირფასი კეთილი ფხვნილი ყველაფერს წაშლის,  
 ყველა ლაქის ისტორიას.  
 როცა ვიღლები,  
 უფრო მეტად თმები მეღლება და ფეხისგულები.  
 ეტყობა, გარეთ რომ ვდენი ამბებს,  
 ველარ გადიან ამაზე შორს  
 და რომელიც ზემოთ არბის,  
 თმის ბოლოებში ჩერდება,  
 როგორც უფსკრულის პირას  
 და რომელიც ქვემოთ –  
 ფეხისგულებში მიგუბდება...  
 აბაზანის ჭურზე ორი ობობა დაბობლავს.  
 მესამეს სძინავს და მეჩვენება,  
 რომ ამის ძილს იცავენ,  
 შორს არ მიდიან, იქვე ტრიალებენ.  
 გარკვევით მესმის მათი ფეხის ხმაც.  
 რა მშვიდი რიტმია, რა იმედიანი –  
 იმას, რომელსაც სძინავს,  
 არ ესმის ეს ხმა,  
 მაგრამ როგორღაც იცის, რომ დაცულია  
 და დიდხანს არ გაიღვიძებს.



ჯარჯი ფხოველი

\*\*\*
ლექსის მოვარდნა წყურვილივითა...
ვთქვათ ასე: ლექსი მწყურია!

\*\*\*
პოეტური აღმოჩენები: კუნძულები,
არქიპელაგები, მატერიკები... შორს კი არა,
აგერ, სულ ახლოს: თითქოს ხელისგანვდე-
ნაზე... შენ კი მიწის ქურქი უნდა განარ-
ღვიო, მთები უნდა გადაიარო, რომ მის-
ნვდე, რომ დაინახო, შენი სახელი რომ წაან-
ერო იმათ ნაპირებს, იმათ ნედლ ფოთ-
ლებს: იმათ ღვთისკურთხეულ პირისახ-
ებს...

\*\*\*
„დედაო ღვთისაგ, მზეო მარიამ“... ამ
ლექსს ქმნიდა გენიოსი, მაგრამ ყოველჯამს
გენიოსად ვერ დარჩები: რა ვქნათ, დიდ
გალაკტიონსაც ასე დაემართა!.. მსოფ-
ლიო ლიტერატურის სხვა გენიოსებსაც
ასე დაემართათ და ასე გაგრძელდება მო-
მავალშიც, რადგან ასეა: იმ უკვდავ წამს,
როცა გენიოსი ხარ, ენაცვლება უკვე სხვა
წამი, როცა გენიოსი უკვე აღარ ხარ!.. ხარ
ჩვეულებრივი, რიგითი მელექსე და ნაწარ-
მოებიც ამისი შესაფერისი იქმნება... გე-
ნიოსო, შენ კი უმთავრესი რამ გევალება:
გენიოსობის ის დიდი წამი უნდა ამოიცირო,
გამოიყენო, მიიღო და, თუ შესძლებ, გაიხ-
ანგრძლივო კიდევ!

\*\*\*
კიდევ რამეს თუ დანერო, რომ მეკითხ-
ები... რა გითხრა: ჰაი-ჰაი რო დანერო, დიდი
ლაშარისჯვარი თუკი მიბრძანებს!

\*\*\*
„დიდთა რას ვაქნევთ ლაშქარსა? კარგ-
ნი გვინდან და ცოტანი“... ნურადინ ფრი-
დონის ეს სიტყვები პირდაპირ მიესადაგე-
ბა საქართველოს (და ყველა სხვა პატარა
ქვეყნის) სამხედრო დოქტრინას: როგორც
ჩანს, ეს დოქტრინა უცვლელია რუსთა-
ველიდან მოყოლებული დღემდე!

\*\*\*
ეს მზაკვრული რამ წამომცდა: იმდე-
ნად დაბერდა, რომ ბოლოს მიწის სუნი აუ-
ვიდაო...

\*\*\*
ხანმოთეული, საუკუნეს მიღწეული
მოყმე ვინმე ასე ამბობს გულის სიტყვებს:
ასეა, ვეყო, ჩემს უსწორო გზა-ბილიკებზე
სხვადასხვა რჯულის მრავალი ქართველი
შემხვედრია: ქრისტიანიც, მაჰმადიანიც,
ბუდისტიც და ინდუიზმის ყურმოჭრილი
ყმაც... ჩემი დაკვირვებით და მიხვედრილო-
ბით, სუყველანი გულდაჭრილები და გულ-
მტკივნეულები იყვნენ საქართველოთი... და აი,
კიდევ რას გეტყვი: ჩვენი რელიგია, ჩვენი
რწმენის გულისგული, ჩვენი გამაერთიანე-
ბელი სიმაღლე სწორედ საქართველოა და,
გეუბნები, მწარედ ცდება ის, ვინც სხვა
რჯულის ქართველს ზურგს აჩვენებს და არ
იკარებს! ჩვენ ერთნი ვართ, ვეყო, ერთნი!

\*\*\*
შოთა რუსთაველი არაფერს არა წერს
ჰაიპარად. აბა, დააკვირდი: ის კარგად იც-
ნობს ზღვას, ხომალდს, ნაოსნებს, სანაოს-
ნო საქმეს და ასე შემდეგ...

\*\*\*
პოეზიიდან განდევნილი პოეზია: მაშ,
იქ სხვა რაღა დარჩა?

\*\*\*
„უღმობელი სიმართლე“, რისი უპირვე-
ლესი მტკირთველიც არის პოეზია,
ამეტყველებას, ამოხსნას მოთხოვს. იგი
უცხადესია მხოლოდ მაშინ, როცა თავგან-
წირულობის სიგნალებს გვივ ზავნის...



სელის-გულის ანაბეჭდები

\*\*\*
როგორც ჩანს, ასეთია სამწუხარო რე-
ალობა საქართველოში და ოდნავ
დაკვირვებული თვალის კარგად შეამჩ-
ნევს, რომ მორჩილი მჯდომელ ხელმწიფეს
მანიცდამანიც არ ეპიტნავენა წელგამა-
რთული, დაუყვედრებელი ლუკმაპური
კმაყოფილი მწერალი! ის უდაოდ დაჩო-
ქილი და ჩამხობილი უნდა იყოს ლაფში და
მტკერში და უნდა იყოს ხელმწიფის მახ-
ვეწარი, ხელგამკვერილი... სხვაგვარად ამ
სამწუხარო რეალობას ვერ ავხსნი!.. ჩვენ-
მა მწერლებმა გამოთვალეს, რომ პატარა
ქვეყნებში, სადაც რეალობა თითქმის
იგივეა, რაც ჩვენთან, იქ სახელმწიფო ხე-
ლში იღებს მწერლობის და, საერთოდ,
კულტურის გადარჩენის მინიმალურ მი-
სიას. დღეს, როცა ჩვენი სახელმწიფოს
დოვლათი ათასგვარ საეჭვო პროექტებში
იხარჯება და ნიავედება, ნუთუ ჩვენი სახ-
ელმწიფო ვერ შესძლებს, რომ უღუკ-
მაპუროდ, უბინაოდ და უჰონორაროდ
დარჩენილ მწერალს ხელი გაუწოდოს?! ეს
ჯერ კიდევ იმ შავბეულ საბჭოთა ეპოქაში
იყო მოგვარებული!.. ჩვენს სამეზობლო
ქვეყნებში აზერბაიჯანში, სომხეთში,
თურქეთში, ჩეხეთში და სხვაგან ეს საკითხი
დღესაც მოგვარებულია: ისინი უფლიან,
უფრთხილდებიან თავის მწერლობას,
თავის კულტურას, თავის მომავალს...
ხოლო ჩვენში, როგორც ვთქვი, სულ სხვა
რეალობაა: ჩვენი მორჩილი მჯდომელი
ხელისუფლება ძირითადად უფრთხილდე-
ბა თავის ზემოდახეულ ხელფასებს, ზემოდალ
პრემიებს, უძვირფასეს მანქანებს და
სრასასახლებებს... ხოლო მწერალს რაც შე-
ეხება: ის უნდა ეგდოს ლაფში და მტკერში,
ხელგამკვერილი, მათხოვრად ცეუული, უბი-
ნაო, უმომავლო, უჰონორარო და ასე შემ-
დეგ... კარგად ვიცი: ეს ჩანანერი ვისაც
ეხება, ისინი არ ნაიკითხავენ! მაგრამ, აღ-
ბათ, ჩვენი მწერლები, შავბეული დროის
სიდუხჭირეს ნაზიარები მწერლები ნაი-
კითხავენ და, ღვთის შენეებით, ეგებ ერ-
თიანად ხმა ამოვიღოთ! ნათქვამია, შაძახ-
ილმა ხე გაახმოო, ხოლო ჩვენმა შეძახილ-
მა ეგებ გამოაფხიზლოს საკუთარ კეთილ-
დღეობაზე გადაგებული ეს ჩინოსნები!

\*\*\*
„კაცი და პოეტი“. ასე ერქვა თამაზ ჩხ-
ენკელის გულითად, დარდის უშუალოდით
აღბეჭდილ წერილს, ნიკო სამადაშვილს
რომ ეძღვნებოდა. ამ წერილმა გამაცნო

არა მარტო ნიკო სამადაშვილი, არამედ
თვით თამაზ ჩხენკელიც. ეს იყო ჩემი სტუ-
დენტობის პირველი წლები... მაშინ ჩემი
სიხარული გავეუზიარე შოთა ჩანტლაძეს.
შოთამ თავისებურად მოწკურა თვალები
და რალაც უცნაურად მშობლიური თბილი
სიტყვები წარმოთქვა, რითაც მაგრძობი-
ნა, რომ სამადაშვილი მისი უახლოესი მე-
გობარი და თანამეინახე იყო, რომ მისი ნას-
ვლით გული სანახევროდ დაუცარიელდა...
ღვინის კაცი დავკარგეო, თქვა დან-
ანებით... უბრალოდ: ღვინის კაცი... პოე-
ზია არც უხსენებია, ოღონდ მაშინაც და
შემდგომაც მრავალგზის დავწმუნდი,
რომ ნიკო სამადაშვილი მას დიდ ქართვე-
ლ პოეტად მიაჩნდა...

\*\*\*
მანიც რა არის ის, რას ეყრდნობა, საიდ-
ან მოდის მისი დაუშრეტელი ძალა, მისი
აღმაფრენა და გულსრულობა გაუგო-
ნარი... მინაც, ქვაც, ჰაერიც, ღრუბლებიც
და ვარსკვლავებიც, სუყველა იმას რომ
ემორჩილება... მანიც, რა არის? ჟამიჟამ
იმასაც გაიგონებ, სპონტანურად, ჰაიპარ-
ად ნათქვამს: სიყვარული სამყაროს თვისე-
ბაა...

\*\*\*
აი, კიდევ ერთი საშინელება: სა-
სონარკვეთილი მთავრობა: მან საკუთარ
ხალხს გამოუცხადა ომი!..

\*\*\*
პოეტური ხატი, გულში რომ ვერ
დაიბუდა... ცხადია, ის ლექსის წიაღშიც
ვერ გადნება, მაგრამ იარსებებს პოეტურ
სივრცეში, ობლად, ეულად: უთვისტომო,
უდედმამო ბავშვივით... და დაელოდება იმ
ღვთისნიერ წამს, როცა მისი ცა გაიხსნე-
ბა, როცა პოეზიით პყრობილი ვინმე აღ-
მოაჩენს და ლექსის წიაღში დააშხეფებს,
როგორც უკვდავ, წარუდინელ საღვთო
საღებავს...

\*\*\*
ასე ვიტყვი: ერთია ლექსის თხზვა და
არის კიდევ სხვა: პოეზიის აღმოჩენა. სა-
სურველი შედეგი მოაქვს ქმნადობის იმ
წამს, როცა „ლექსის თხზვა“ და „პოეტური
აღმოჩენა“ თანახვდებიან ერთიმეორეს.
მოკვდავთა გემოვნებისეული შეფასება,
შედევრებად რომ არის ჩათვლილი, ალბათ,

ქმნადობის ამ წამთა შედეგს მიესადაგე-
ბა!.. ვთქვათ ესეც: ტრადიციულ-კონვენ-
ციურ ლექსში უფრო მიიღწევა პოეტური
აღმოჩენები, თუ უფრო თავისუფალ ლექს-
ში, სადაც რითმის, რიტმის და სხვადასხვა
ფორმისეული არტახები და ბარიერები არ
არის?! ძნელია, რომელიმეს უპირატესო-
ბა რომ მიანიჭო, თუმცა, მე მგონია, პოეტ-
ური აღმოჩენების პრიორიტეტი თავისუ-
ფალ ლექსს უფრო ეკუთვნის!.. აქვე ვი-
ტყვი, რომ პოეტური აღმოჩენებით ზოგი
ჩვენი პროზაიკოსის (ოთარ ჩხეიძე, რევაზ
ინანიშვილი...) შემოქმედებაც დიდად
თვალსაჩინოა...

\*\*\*
გეუბნები: გათხარე ენის პირქუში და
მყარი წიაღი, დაინახე ფესვები და უფრო
ქვემოთ: ფესვთა ფესვები და კიდევ შორს
და უფრო ქვემოთ მოიძიე უკვდავი კრი-
სტალები: აღმოაჩინე პოეზია!

\*\*\*
მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი
და მეოცის პირველი ნახევარი: ფშაური
ხალხური პოეზიის ბუმი, რომლის ინერცი-
აც დღემდე გრძელდება... ძველად ხალხ-
ური მოლექსეები ერთიმეორეს „ზეპირად
უგზავნიდნენ“ თავის გამკილაგ ლექსებს.
ამის გამო, ვფიქრობ, რომ ბევრი ლექსი
დაიკარგა: ადრესატამდე ვერ მიაღწია!..
მოგვიანებით უკვე სხვა ვითარება შეიქმ-
ნა: ხალხური მოლექსეები მარტო წერა-
კითხვის მცოდნეები კი არ იყვნენ, ზოგს
უმაღლესი განათლებაც ჰქონდა. ლექსები
წერილის სახით ეგზავნებოდა მეტოქეს,
რაც გამოიციხავდა სხვადასხვა ხალხის
ზემოქმედებას, კარგავდა მკითხველს და
„გამსწორებელ-გადამკეთებელს“. ამ ვი-
თარებამ ერთგვარად გაალარბა ხალხური
ლექსი, დაიკარგა კოლექტიური ავტორ-
მთქმელი, დაიკარგა სიმახვილე და სხვა...
დამთავრდა ხალხური ლექსის ძალზე
საინტერესო ეპოქა!

\*\*\*
რალაც ამის მაგვარი მაშინ გაბრიელ
ჯაბუშანურმაც მითხრა, მაგრამ ეს ორი
სტრიქონი შოთა ჩანტლაძის ნათქვამია:
„რა გინდა შენ ამ ჩარჩოში. გირჩევ, ნახ-
ვიდე, ჯარჯო, შინ!..“ აი, პოეტური სინტაქ-
სის თავისებურება: ბოლო სტრიქონის
ყოველი სიტყვა მძიმითაა გამოყოფილი!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლამაზი, ლალი თათა, თინას ბავშვობის დაქალი, რომლის გამოც ბიჭები ბევრ სისულელეს სჩადიდოდნენ (ახლაც არ აკლებენ), არავის ეგონა, რომ გაუთხოვარი დარჩებოდა და სხვათა, უცხო ადამიანთა მოვლას და მათზე ზრუნვას მოანდომებდა ცხოვრებას. თავიდან უპატრონოთა სახლის აღსაზრდელებს დასდევდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „პრიუტიდან“ გაქცეულებს ზოგს სად აგნებდა, ზოგს — სად. პოეზიობდა. I ტომშია მხედ წის ალბეაში ეხმარებოდა. მათ გამო (ახლობლებზე აღარ არის ლაპარაკი), ბევრ უცნობ, შეძლებულ ადამიანს „ატერორებდა“, ფულს ართმევდა ან რაიმე სხვა სახით მატერიალურ თანადგომას აიძულებდა. კარგ საქმეს აკეთებინებდა. თინასაც ბევრჯერ მოუწია მამიკოს შენუხება და უდემდამო ბავშვებისთვის ხელის გამართვა. წინა ზაფხულს თინას არმაზის აგარაკზე წაიყვანეს ორი დღით პატარები. არც ისე პატარები იყვნენ. თვალები ჰქონდათ ასაკისთვის შეუფერებლად უნდო, თავზედი და დაძაბული. მრავლის მნახველი თვალები. კარგი გარჯა და სირბილი დასჭირდათ თინას და გოგოებს მათ დევნაში. სიგარეტს თითქმის ყველა აბოლებდა. საიდანდაც ნაშოვნი მყრალი არყით დათვრა რამდენიმე და თინას დაქალები ტაშტებმომარჯვებულები დასტრიალებდნენ თავს მთელი ღამე. კარგი დრო ატარეს.

თინამ ერთი პირობა თათასთვის მხარის აბმა გადანიჭა, მაგრამ მალევე დანებდა. ძალიან რთული გზა აღმოჩნდა, სულიერადაც და ფსიქოლოგიურადაც.

თათამ ღრმად ჩაყვინთა მაგ სამყაროში. თინას ცოცხა არაჯანმრთელადაც ეჩვენებოდა მისი თავგამოდებული მოთხოვნილება სხვათა მოვლისა. ერთ-ორჯერ ეჩხუბა კიდევ: „ე, აზრზე მოდი, ყველას ვერ უშველი, და ამასობაში ჩვენც გვშორდები და გვკარგავ.“ მაგრამ ამ შეძახილებს შედეგი არ მოჰყვებოდა და თინაც დანებდა. თათა პატიმარ გოგოებზე გადაერთო. მონაზვნებთან ერთად ქალთა საპატიმროებში დადიოდა და ცდილობდა, განსაცდელი შეემსუბუქებინა მსჯავრდებულებისთვის.

ციხეზე რომ ყოფილიყვნენ წასასვლელელები, თინა უარს ეტყოდა, რადგან ძლიერ აშინებდა ერთ წიგნში ამოკითხული, მძაფრად ჩარჩენილი აღწერა მაგ სივრცესი, სადაც ჩრდილოეთის „კრიტის“ კედლების მიღმა მომწუსხველი და დაუნდობელი ტაიგა უსასრულობამდე გადაჭიმულიყო. გაქცევის იმედის ნაპენკალსაც ყინულის წვეთად აქცევდა საკნის გისოსებიანი ფანჯრიდან დანახული, მწვანე ხეების კენწეროებით დაჩხვლეტილი ჰორიზონტი. „მანდ მოხვედრისთანავე თავს დავიბრძავდი“.

ასაკის და გამოცდილების მატებასთან ერთად, თინა რწმუნდებოდა, რომ ჯოჯოხეთის შექმნის გასაოცარი ნიჭი გააჩნდათ ადამიანებს. ნიჭიერად გამოსდიოდათ. მცდელობას არ აკლებდნენ და სიამოვნებასაც ატანდნენ მის შექმნაში. ხშირ შემთხვევაში, სათავეში სულ სხვა რამე ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ შედეგად ნაირ-ნაირი ყაიღის, „მრის“, მტანჯველ გარემოს იღებდნენ.

თათამ მანქანით მოაკითხა. დიდი, ჯანიანი ჯიპით. მიუვალ ადგილში განწირულ SOS-ზე მიმღწევი მანქანით. „SOS – save our souls — გადაარჩინეთ ჩვენი სულები. გადავარჩინეთ ერთმანეთის სულები ჯობს. ჩემ სულს ვინ გადაარჩენს, ჰა, გეგა?“

— თათა, მითხარი რამე კარგობა, დავილაღე ცუდობებით, — მანქანაში ჩაჯდომისთანავე გაუცინა თინამ.

— არ მონიო მანქანაში, — სიგარეტმომარჯვებულ თინას გამოხედა თათამ.

— არც გაატარაკო. მოვწვე. — გააბოლა თინამ. — იმდენად დადებითიც ნუ გახდები, რომ გამიჭირდეს შენთან ურთიერთობა.

— კარგი, მიდი, ამალჩოლე.

— არ მეტყვი, ვინ და როგორ გოგოსთან მივდივართ?.. პაბები ხომ არ მოვუწყოთ... ვაზნები გაქ. დარიკო, ვაზნები. — ეცინებოდა თინას.

— გეტყვი. მის მიერ დანერგულ ამბავს მოგიყვები, რომელიც უცაბედად ჩამივარდა ხელში.

**ამბავი ლიკასი**


„მართალი ხარ, მხოლოდ თვრამეტი წლისა შეესრულდი, მაგრამ დიდი გოგო ვარ, შენ ხომ იცი. ტყუილად ახურებენ შენი ძმაკაცები. ამ საქმეზე მაინც წამოგყვები. უშიშარიც ვარ, ლამაზიც და შენზე მაგარი შეყვარებულიც. ისე, არც შენ მეგულები მაინცდამაინც ვზროსლი, როგორც მოგაქვს თავი. გოგოზად (მომწონს ეს სიტყვა) რომ სცემ ბოლთას ოთახში და შენ ძმაკაცებს რომ უნძრევ და უხსნი, რომ ჩემი წამოყვანა საქმეს გამოადგება. მე ხომ ლამაზი ვარ, თან უშიშარი. მარტოს არ გაგიშვებ, ეგ იცი. ისინი ვერ გეპასუხებიან. უკმაყოფილოდ იჩივებენ მხრებს. შენ დაუყინებთ აკვირდები ორივეს თვალბში. წინააღმდეგობების ყველანაირ სურვილს უქრობ.“

ოცდაერთი წლის ხარ. ჩემზე არცთუ ბევრად უფროსი. რატომაც ხშირად ამახვილებ ამაზე ყურადღებას, დიდობა მოგწონს, ლლაპს მეძახი, რაზეც მეცინება. ერთხელ გავბრაზდი, აღარც გელაპარაკებოდი კარგა ხანს, როდესაც ვილაც ტიპებს, როგორც „ჩემი უმცროსი და“ გააცანი ჩემი თავი. ბევრი ბოდიშის მოხდა მოგინია. ბოლოს გაპატიე, აბა რა.

გორში რაღა გვინდოდა? ვილაც შენი ნაცნობის სახლში ვიმყოფებით. არ მომწონს ეს კაცი. გაქუცულ თავზე თმა „ტალავერად“ აქვს გადმოვარცხნილი, რახიტულად გამობერილ მუცელს ჩამომდნარი ხელებით ისრესს საუბრისას, თან ნაძაღვარია. საქმის დერეზო თაბუკაშვილი

# დღე მეშვიდე

თავი მომავალი რომანიდან



ტალებს წვრილად ჰყვება. ინკასატორის ბანკიდან გამოსვლის დროს, ადგილს მონდომებით გვიხატავს. საქმეზე თვითონ არ მოდის, — იქაურები ნიღბითაც მიცნობენო. მტყუანის? მშიშარაა ახვარი. შენ ეს წამოწყება რეალურად წარმოგადგინა და წარმატებაში ეჭვი არ გეპარება. მეც მჯერა შენი. კოკამ და ზუკამ ავტომატები ასანვე ტახტში, საბუნებში ჩამალეს. სავარძელში ჩამსხდრები უხმოდ უსმენდნენ მის ენერგიულ ქაქანს და შენს დროულ კითხვებს. ამ პოსლიკას ლაპარაკს ნაკლებად ვუგდეც ყურს. გაკვირდები, და კიდევ უფრო მომწონხარ: საქმიანი, შემართული, ოდნავ დაძაბული. კარგი შესახედი ხარ.

— გარეთ გამოსულელებს ლიკა შეეფეთება, „უცაბედად“ დაეჯახება, ჩანთიდან გადმოყრილი რაღაცების აკრეფისას მათ ყურადღებას მიიპყრობს და წამით შეაყოვნებს... ლიკა, პარიკის და სათვალის გაკეთება არ დაგავიწყდეს. — მე მომმართავ. რა დამავიწყებს, რამდენ ხანს ვარჩიეთ ეგ პარიკი და ლამის სასვარკედ გამოსაყენებელი დიდი შავი სათვალე. ორივე ძალიანაც მიხდება. — ამასობაში, ჩვენც ავმოდრავდებით. მძღოლი შენია, კოკა. მაღალი ბუჩქები მანქანის გასაჩერებელ ადგილთან. კარგად დაიმალება. დაცვის ორ ტიპს და ინკასატორს მე და ზუკა მივხედავთ.

საქმიდან წამოსულეებმა ისევე ამ უსიმპათიო ტიპის, ბონდოიას სახლს უნდა შევფაროთ თავი. რამდენიმე დღე აქ დავიმალეობთ. საიდან გამოჩნდები, უნდა იცოდე? არ მომწონს... საიმედოა, კი გვარწმუნებ, მაგრამ გამქცევს ჰგავს. ექსტრემალურ

მდგომარეობაში უსაქცილოდ სახედა-კარგულს, ვირისფერდადებულს.

ხვალ არა და ზეგ. ველავ კი არა, მაგრად ვმანდრაჟისტობ, მაგრამ შენთან ერთად ყოფნა მამხნევეს. გატყობ, მოგწონს, გვერდით მაგარი გოგო რომ გყავს. ვერავინ მამწნევს შიშს. თავი ღირსეულად მიჭირავს. ოღონდ, მართლა უსისხლოდ, თეზ, მართლა უსისხლოდ. თუ მაინცდამაინც — ფეხებში. ეგრე არ თქვი? ყველას დედაც მოგტყან, მე ხომ პატარა და ბრაზიანი გოგო ვარ, როგორც დამარქვი, მაგრამ არა ბოროტი. დედაჩემს და მამაჩემს ნაღდად აღარ დაგუბრუნდები. მარტო შენთან ერთად მინდა ყოფნა. აქედან წასვლა მინდა. საქმიდან ალბეული ფულით სადმე შორს მოვახერხებთ მოხევას. კარგად ვიქნებით... როდემდე? ღმერთი გვაჩვენებს. ღმერთს ვუყვარვართ, ვიცი, და ყველაფერი კარგად იქნება, ხომ ეგრეა, თეზ?.. გეყოფა ამდენი ქაქანი. მინდა ჩაგეხუტო და დამამშვიდო. შენი სუნი მენატრება. წამო, რა, ჩვენ ოთახში, მონდომებით რომ გაგვიმზადა ბონდოიას დედამ. კეთილი ქალია. გამოპარულები ვგონივართ. რომ იცოდეს ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი. თავის შვილს დააბრალოს. საიდან გამოჩნდები?.. გავიგე, ბატონო, რომ სანდოა, მაგრამ მაგის დედაც... ანდა, დედამის რას ვერჩი? აი, გემრიელი ხაჭაპური გამოგვიცხო და ჩაისთან ერთად მოგვართვა. კოკა და ზუკა ხილის არაყს სვამენ ბონდოიასთან ერთად. წამოიღე ეგ ჩაი, ხაჭაპური და „ჩვენი“ ოთახის ფანფრალ მაგიდასთან. ბონდოია შეშლილივით დაქროდა ოთახებში. „რა ხდება, დედი?“ არც გაუხედავს მშობლისთვის, ისე გაიძახოდა და ოდნავ გადაწეული ფარდიდან იყურებოდა ქუჩაზე.

— გვიჭერენ? — სასონარკვეთით იკითხა.

— ძაღლებს ნაღდად არ ჰგავს ეს ყველაფერი, — თქვა კოკამ და შუქები დააქრო. — მგონი, ომი დაიწყო.

მეზობელი ქალი შემოვარდა ისტერიკაში. ძლივს დაგვანყნარეთ. ბოლო-ბოლო გავარკვეით, რასაც გაჰკვირდა — ომი დაიწყო. დილაზე სახლში დარჩენა გადაწყვიტეთ. გრუხუნი ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა, მაგრამ რიჟარაისკენ სროლის ხმა თანდათან მოახლოვდა. თვითმფრინავების რეაქტიული შხუილიც გახშირდა. საღდაც ძალიან ახლოს გლიჯეს.

მეზობელი ქალი გვანვდიდა ინფორმაციას. რუსები უკვე ჩვენს სოფლებში გამოჩნდნენ, ჩინებიც მათთან ერთად და ათასი მუდრიგო, თავში იშვია ხელებს.

— გავიღეთ, მაგათი დედა მოგტყნათ! — ვერ ისვენებდა ზუკა და სათადარიგო მჭიდებს ქამარში ირჭობდა.

— კარგად გათენდეს. არაფერი ვიცით, რა ხდება. სიბნელები შეიძლება ჩვენიანებმა დაგვცოცონ, — თქვი შენ.

— მართალია, ჯერ გავერკვეთ, რა ხდება, — დავთანხმე კოკა. სავარძელში ჩაჯდა, სიგარეტი გააბოლა და ბოთლში ჩარჩენილი არაყი ჩამოსხა. — ბონდო, გაკავდი. დალიე ერთი ჭიქა და გაყურდი. — იარაღების ჩხაკუნისგან კიდევ უფრო დაფეთებული მასპინძელი დააწყნარა.

ბონდო ვერ მშვიდდებოდა. გადვლებული დაქროდა ფანჯრიდან ფანჯარამდე და ფარდას ამოფარებული იჭვრიტებოდა გარეთ, საიდანაც სხვადასხვა კალიბრის სიკვდილის ცეცხლი ელავდა. ჯერ-ჯერობით მოშორებით.

ინკასატორზე ვინღა ფიქრობდა. ზუკას ბიძა ჰყავდა აფხაზეთში დალუპული, მხედრიონელი. გვთავაზობდა, ვეტერანები, მისი ბიძის ძმაკაცები გვეპოვნა: „არ არსებობს, აქ არ იყვნენო“, და მათ გავყოლოდით.

მართალი გითხრა, გამიხარდა, ჩვენი საქმე რომ ჩაიშალა. ომი სხვაა. ჩემი ამ სახლში დატოვების იდეა წამოიჭრა ისევე. შენც ეთანხმებოდი ამ აზრს. მაგრამ მე — არა. და არც დავრჩი. სად-სად და, ბრძოლაში გამოგადგები თუ გამოგადგები. ზუკა ყვიროდა, აბუზა იქნები, შენ გამო დაგვცოცავენო. მე კი T.T. მეღო მუხლებზე და ვიცოდი, რომ შენ გვერდით ბარე ორზე მაგრად ვიომებდი... ეგრეც იქნებოდა, რომ დაგვეცლოდა...

ქალაქში გასულები უმისამართოდ დავბოდილობდით. ვინმეს გვინდოდა გადავყრიდით, შტაბისკენ გზა რომ მიესწავლებინა (ბონდოია სახლში დარჩა)... გადავეყარეთ. პატრულს. ყვირილით გავაჩრეთ. ვინ ხართო? — გვკითხეს ავტომატმომარჯვებულებს. მოხალისეები ვართ, საომრად ჩამოვედით-თქო, — ვუპასუხეთ. — ჩასხედით, ჩასხედით, ჩვენ მიგიყვანთ შტაბშიო. მიგვიყვანეს. იარაღი აგვყარეს და დაგვაპატიმრეს. მაგარი არეულობა იყო შტაბში. ყველა დაბნეული ჩანდა, მაგრამ ჩვენთვის მაინც მოიცალეს. რა გაუხარდა იმ ეკიპაჟს, რომელიც ჩვენი თბილისში გადაყვანა დაავალეს...

დაკითხვებზე დიდად არ ვუნამებოვართ. დასაშინებლად მაგინებდნენ და ერთი-ორჯერ დამარტყეს. მე პირველ ჩვენებას ვანვებოდი, საომრად ვიყავით ჩასულები-მეთქი. — T.T.-თი რა უნდა გეომა, ან შენ რა უნდა გეომა. გვითხარი, რას აპირებდითო...

არავინ ახსენა ინკასატორის შესახებ. ბიჭები ვერ გატყეს, ვერც ფანჯრიდან ძალის-ძალით გადმოთრეული ბონდოია: „საერთოდ არ ვიცნობ მაგათო“...

ვიცი, ყველა შენზეა გაბრაზებული. ალბათ მაგრად განამეს, რახან თქვი. მე გპატიობ, თეზიკ. მაინც მიყვარხარ. მჯერა, რომ სხვანაირად არ... მოკლედ, მე შენ გვერდით ვარ. ჩემი იმედი გქონდეს...“

— კაროჩე, ამ თეზიკამ ვერ გაუძლო და ყველაფერი დაფქვა. თანამშრომლობაზე წავიდა. ლიკას შვიდი წელი მისცეს. დანარჩენებსაც მაგდენივე. თეზიკას — სამი, მაგრამ ერთიც არ მჯდარა. შეწყალებით გამოვიდა და ეგრევე ვილაც მოიყვანა

ცოლად. — არამიანცს უახლოვდებოდა თათა.

— ეგ ბოზი, — თქვა თინამ.

ცუდი ადგილია საავადმყოფო (სამშობიარო არ ითვლება). კარგ საქმეზე არავინ აკითხავს მას. თინას „არამიანცთან“ პირადი ურთიერთობა აკავშირებდა. კი, მაგრამ უშველეს აქ, როცა მძიმე ავარია შეემთხვა და ტრეპანაცია დასჭირდა გადასარჩენად. იყოჩაღეს ექიმებმა, მაგრამ „საამოდ გასახსენებელი“ არ იყო რენანიმაციაში გატარებული თვეები. უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა ეზოში მოძრავი სასწრაფო მანქანების დანახვისას.

მისაღებში მივიდნენ ლიკას პალატის ნომრის გასაგებად. მცირე რიგი დახვდათ. ორი ექთანს ექიმს აქტიურად ესაუბრებოდა. იქვე, სკამზე, ვიღაც კაცი იჯდა, კრილოსანს ათამაშებდა და უხმოდ აკვირდებოდა გარშემოცოფთ.

თინა და თათა კარებთან იდგნენ და დაინახეს ეზოში დიდი სიჩქარით შემოვარდნილი BMW. ორი ბიჭი მანქანიდან გადმოხტა. უკანა კარიდან სახეგაშავებული მეგობარი გადმოათრია და იქვე, მოლზე დაანვინეს. შემდეგ კვლავ მანქანაში ჩახტნენ და გაგაზეს. სანიტრებმა მიმღების სანოლზე გადმოიყვანეს გონწასული ბიჭი. ახალგაზრდა ექიმმა და ექთნებმა პულსი გაუსინჯეს. საგრძობლად ღელავდნენ. დაჭრილი არ იყო. ნამლისგან გაპარულს ჰგავდა. ტუჩები, ყურები, თითები გაშავებული ჰქონდა. კრიჭა შეკვროდა. ბიჭმა ფართხალი დაიწყო. არაბუნებრივად დაუხტოდა ფეხები და წელი. ექიმი დაიბნა. ხან გული უმუშავა მკერდზე მტყვენების დანოლით, ხან ექთანს აზელინა ყურები.

სკამზე მჯდარი კაცი წამოდგა. ჭაღარა იყო. რუხი ფერის პალტო ეცვა — გეგონებოდა, პატარა აქვს და ჰა და ჰა, შემოასკდებო. უბრალოდ, ჯანია იყო. კრილოსანს ჯიბეში ჩაიღო და მის მაგივრად გასახსენელი დანა ამოიღო. ექიმი გვერდით განია. რამდენიმე კბილის ჩამტვრევით ბიჭს პირი გაუღო, თითქმის გადაყლაპული ენა სასულედან ამოუღო და ექთანს უთხრა, გულაღმა გადმოეწვინათ და ენისთვის ხელი არ გაეშვათ. ექიმი მოყოჩაღდა, „ნარკანი, ჩქარა!“ უბრძანა ექთანს, რომელიც სულ მალე დაბრუნდა სავესტის შპრიცით ხელში.

ექიმმა დიდი ნვალეების შემდეგ მოარტყა ნემსი ვენაში. ინექციის გაკეთებიდან რამდენიმე წამში სასწრაფო მოხდა — ბიჭს ამოახროტინა, გული აერია და გაცოცხლდა. „ეს სად ვარ?“ — იკითხა მიზნედილი თვალებით და ფეხზე წამოდგა. „არამიანცში ხარ. სახელი და გვარი გვითხარი, უნდა გაგაფორმოთ.“ — უთხრა ოფლდასხმულმა ექიმმა. „გივი ვარ, გივი“,

— ზანტად ჩაილაპარაკა ბიჭმა. „გვარი გვითხარი, გივი“. „გაიპარაშვილი ვარ“, — კმაყოფილმა ჩაიცინა და კარისკენ დაიძრა. „ეგრე არ შეიძლება. ჩვენ პატრულს უნდა შევატყობინოთ.“ — თქვა ექიმმა და გზა გადაუღობა. „რატომ მწირავ, ექიმო,“ — სერიოზული სახით ჩააშტერდა თვალებში „გივი“. მერე ასდოლარიანი ამოიღო და ექიმს ხალათის ჯიბეში ჩაუღო. „ეს წაიღე და წადი.“ — ფული უკან მიუბრუნა ექიმმა. „ამ კაცს უმადლოდ გადარჩენას,“ — მიაძახა ექთანმა გოგომ და ჭალარაზე ანიშნა. „მადლობას მოგახსენებთ,“ — მიუგო თავის დაკვრით და კბილებზე მოისვა ხელი, — „კაი ჩლიფინი მომინევს მე,“ — თავისთვის ჩაილაპარაკა და შეძლებისდაგვარად სწრაფი ნაბიჯით დატოვა იქაურობა.

თინა და თათა გამშრალი სახეებით აკვირდებოდნენ მთელ ამ სცენას. ცალი ფეხით კი არა, წელამდე იქით იყო ადამიანი უკვე და უცბად მობრუნდა უკან. — ამაზე შეიძლება ითქვას: ი მ ჩაი ბაბუჩაი. — ნერვიულად გაეცინა თათას. სიცილი სხვებსაც გადაედოთ. ექთანს გოგო იდგა მხოლოდ კუშტად. — ღირს კი ეგეთების გადარჩენა. — თქვა ამრებით.

სიცილი ყველამ შეწყვიტა. — შენ ეგ ხალათი არ უნდა გეცვას. — მკვახედ უთხრა თათამ. — როგორ, როგორ... — აგრესიულად აიჭრა ექთანს. — კარგი, გეყოფათ... თქვენ რა გნებათ? — სიტუაცია განმუხტა ექიმმა. — პატიმარი გოგო გყავთ აქ... — დაიწყო თათამ.


— ლიკა, ვიცი... მე ვიყავი მორიგე, რომ მოიყვანეს. ძლივს გადავარჩინეთ. ვერტიკალურად ჰქონდა ჭრილობები. მე-თოთხმეტე პალატაშია, მაგრამ არ შეგიშვებენ, ბადრაგი იცავს, — თქვა ექიმმა. — მაქვს საბუთები და უფლებამოსილება. — უპასუხა თათამ.

— თქვენ იცით... — ექიმმა რალაც ქალაქები გადააწოდა ექთანს. — ეს ნუნუს აუტანე. გაბრაზებულ-განწყენებული ექთანის მასიური გავის რხევით გავიდა მისაღებბიდან.

საბუთების შემომწყების შემდეგ ბადრაგმა თინა და თათა პალატაში შეუშვა. ერთკაციანი პალატა იყო, ჟამის-მომგვრელი მწვანე ფერის კედლებით, უჭალო, შიშველი ნათურით და გისოსებიანი ფანჯრით. კუთხეში, რკინის ლოგინზე, ბიჭით თმაშეკრეჭილი გოგო იწვა. გამხდარი სახე ჰქონდა. ჩავარდნილი თვალებით ჭერში იყურებოდა. მარცხენა ხელი ფართოდ გადახეხილი ბინტით. გოგოების დანახვაზე წამოჯდა, მხნედ გალიმება სცადა, მაგრამ ძლიერი სისუსტე ეტყობოდა.

— არ ადგე, ლიკა, — სწრაფად მიუახლოვდა თათა. — თავბრუ დაგეხვევა. — არა, ძლიერად ვარ უკვე. — ლოგინის თავს დაეყრდნო ჯანმრთელი ხელით. თათამ ფანჯრის რაფაზე ხილი დაალაგა და ერთადერთ სკამზე ჩამოჯდა. თინა იქვე დადგა, კედელთან. „რა პატარაა,“ — გაიფიქრა ლიკას შემხედვარემ. — როგორ ხარ? — ჰკითხა თათამ.

— კარგად, — ღიმილისმაგვარს არ იშორებდა სახიდან ლიკა. — ცუდი სისხლი გამოვუშვი ორგანიზმიდან და ახლა უკვე კარგად ვარ. — ეს თინაა, ჩემი დაქალი. შეგიძლია თავისუფლად იყო მასთან. — თინა გააცნო თათამ. — სასიამოვნოა... თავისუფლად ვარ... ეტყობა, საჭირო იყო, რაც გავაკეთე. მართლა გავთავისუფლდი რალაც... ჩათლახობისგან. — გოგომ ხელზე დაიხედა. — მეც მქონია მსგავსი მომენტები... — დაიწყო თათამ. — კაცების დედა მოვტყან? — გულიანად გაეცინა ლიკას. — ჰო, მაგადაგვარი. — ყველასი არა, მაგრამ ზოგიერთის — კი... მოვრჩეთ მაგაზე. მე ის მოვკალი. თათა და ლიკა ამნისტიის, სროკის შემცირების ვარიანტებზე საუბრობდნენ. თინა ჩუმად იდგა და უყურებდა ამ თხელ, პატარა გოგოს, ბევრის გადამტანს, და ვენების გადაჭრით თავისი ყოფილი ბიჭის „მომკვლელს“.




### დარეჯან სუმბაძე

#### წერა-კითხვის გაკვეთილები. გზა. -მკვლევნი (ტესტი) მკითხველისათვის

#### ირონიული დისკუსია

ყოველთვის არის ვიღაც, ვინც მას სერიოზულად მიიღებს. უმბერტო ეკო

უფრო ერთგვარად ვმოდრობთ. ეს უნთქავთ. ის ჩემი ყოფნის ყველა ნიუანსს ზედმიწევნით თუ იმეორებს. ის ისეთია, ზუსტად ისეთი. იმეორებს საკუთარ თავთან მსგავსებას როგორც მე ვახერხებ ამას სულ მუდამ. შეიძლება ითქვას ეს კიდევ განგვასხვავებს. რაც ხაზს უსვამს უკიდურეს ერთნაირობას. რალაც მაინც დანერე. რამე. რამე მაინც. უბრალოდ რალაც. დღეს პირველი დეკემბერია. თბილი ზამთრის პირველი ეს დღე. უკვე დაგვრუნდი. ეს ისეთი ხილვა იყო. უამრავი პეინაჟის. და ერთბაშად რასაც თვალს მოკრავ. რასაც სულში გატარებ. მიატოვებ. გაეცლები. თან გაიყოლებ. ეს უსასრულო გასვლა იყო შემოდგომის ტყეების პირზე მოვიტოვეთ ალაზნის ველი. თოვლის თეთრი მაქმანებით დასრულებული. შევუდექით ფერდობს. აქამდე არასდროს დასრულებულიყო. აგვეკრიბა. გამოგვეყოლოდა. ის თან სდევს ჩემი ყოფნის ყველა დროს. აი, ეს ჩემი ათნლეულების ჯოჯოხეთია. გამო-უვალი ბილიკებით. გადახვევებით. არც წასვლით. არც და დაბრუნებით. არამედ სადღაც ზღურბლზე. ვიცი ვერაფერი დამეხმარება. მე აქედან უამსიკვილიოდ. გგონია, ხომ(?) დრამატულიც. მაგრამ ასეა. არასდროს ყველა წინაპირობებს. ავადმყოფურ სინდრომებს რომ უდებენ საწყისს. ის საკუთარ თავთან მსგავსებას იმეორებს. აი, რატოც არასდროს ყველა. ეს უფრო სერიოზულია. ვიდრე, ვთქვათ, დილის ტყისპირა სერზე მგლის სერი. მგლის გათომილი სილუეტი. ის ჩვენს მოძრავ წერტილს თვალსაც არ აცილებდა. გვაცილებდა თავისებურად. ეს, უდაოდ, სერიოზული სევდა იყო მისთვის უფრო, თუ ჩვენთვის მეტად. ვერასდროს იტყვი. ან იქნებ კიდევ იყოს ვინმე. ვინც მეტად უფრო სერიოზულად აღიქვამდა. როცა არ იცი ვინ გადავენებს თვალს: ვაჭარი და მისი ცოლი თუ იდეალური უძილობით შეპყრობილი მკითხველი ვინმე. როგორხარ? კარგად. თუმცა აზრი ერთია. მაინც თვალს გადავენებენ. და დანარჩენი მხოლოდ ნება. თავს ვინ ვისთან აიგივებდა. ვინ ხატად და ვინ სახედ მისად. ანდა სახელად. ირონიად. უძვირფასეს წმინდა არსებად. სარკის მიღმა შემოგყურებდა. ყოფილ -იყავი ასეთ დროს მისგან განსხვავებული. აბსურდი მისგან მეტისმეტად სასაცილოც კი იქნებოდა. ჩემო ძვირფასო. სანატრელო. სიამოვნებით მის წინ თავს ხრიდე. ეს უზადო მარაზში მკვეთრი მისი სახისთვის. ვინც ვინმეს მკვახე გულუბრყვილობას შეექცევა. მოძრაობდეს მსგავსად. სუნთქავდეს. თვალსაც არ ხუჭავს. კბილსაც არ ჭრის.



დარეჯან სუმბაძე

თვალში საცემი

მთავარი კითხვა: *wh* სტრატეგია (*what? where? when?*)

მკითხველი-მღებრი  
ხულიო კორტასარი

სამუშაოები, რომლებიც  
ამ ტიპის აქტივობებს ითვალისწინებს,  
ტრადიციული სწავლებისას  
თითქმის იგნორირებულია.  
სწავლების სტრატეგიები (გვ. 43)


რატომ უნდა იმართლებდნენ თავს პოეტები  
თუკი ყველაფერს გაიგებდნენ დანარჩენები ისე  
როგორც ადამიანს უნდა გაეგო. რომ მარტივად  
არასდროს დასჭირვებოდათ აუხსნათ ანდა  
განემართათ ემოციებზე. რატომ უნდა ხსნიდნენ-  
იხსნიდნენ სიტყვების ცოდვას მათ თვალში.  
მკვეთრი ქმედების ცოდვის მღვრიე ტალღებიდან  
ვალდებულად მოლაპარაკეთ. და -მმოძღვრელთა. მიმ-  
თითებელთა: როგორარწერდე(!) სინდისისგან და  
-მშვიდებულთა. გამგრძელბელთა ცხოვრების: როგორ-  
უნდაცხოვრობდე(!) რატომ უნდა იმართლებდნენ თავს  
(ეს)სიტყვები. ჭაობისთვის სინათლის სხივი მოეფინათ.  
მე მათ გავხდის მნიშვნელობებს თვალში საცემად მათ  
არ შეეძლოთ ამის ჩადენა. ნიანგებს. ცრემლებს  
დამალავდნენ კიდევ ოდესმე იქნებ. მაშინ მათ  
არ შეეძლოთ ამის ჩადენა. მაგრამ სიტყვებს. მე ისინი  
შესაბამისად ადამიანებს მაპოვნინებდნენ. აკეთებდნენ  
განაცხადს შესაბამისობით. ამბობდნენ: *ეს პათეტიკა.*  
*ინფანტილიზმი. სისულელე. სიბრძნე. სიცრუე.*  
*დანარჩენი ბევრი სხვა.* რასაც (თ)ითქმის შეუძლებელია  
აარიდო თავი როცა სიტყვებს ეხები. ისინი მუდამ  
გულისხმობენ კონ -ტექსტურად. და მისგან გაცდენილ  
სულ ყველა მათგანს. ისინი მუდამ იგულისხმობენ.  
მაგრამ მე ხომ არ ვიქნები ამ დროს პირველი. მაგრამ  
მე ხომ არ მომიგონია. გადამხდენია. შემთხვევია. ეს  
ბუნებრივი. განწყობა რაც ყველას თავსაა. ვინც ოდესმე  
სიტყვებთან მივა. როცა შეუძლებელია აარიდო თავი  
მათგანს და. სულ ერთ სიტყვაში *ლექსი* დაარქვა. შენი  
ნებაა. შენი კრიტიკიუმები აშკარაა რამე უფრო მახვილ-  
გონივრულს შეუსაბამებს. ვთქვათ ოცნებას: შეიძლებოდა  
წერა. კალამი არ აიღო ხელში. ფურცელი. არ გადაშალა.  
არ წაშალა სიჩუმე ამ დროს. როცა ძილი თავს გართმევს.  
თავსაც არ განებებს. როცა კარგავ უამრავ მათგანს.  
თუკი ასეც შეიძლებოდა უსმენდე ფიქრს ვინმე.  
სულ თან დაჰყვებოდე. ეს ისეთი ხსნა იქნებოდა. მე —  
ვალდებულად. სადმე მიღმა ამ ჭა -ობის სამყაროს იქით  
სადაც სიტყვებს ექნებათ დრო მშვიდად ცხოვრების.  
მაგრამ ისინი აკეთებდნენ განა -ცხადს შესაბამისობით.  
სიზმარს. ტყუოდნენ. მათი ძვირ -ფასიყურადღება სწორედ  
მათგანთან ჩერდებოდა. ჩაიმუხლავდა. გულს უშლიდა.  
თითქოს შეება. გამო -სავალი. მათში ხსნიდა საკუთარ  
სიტყვას. ავაზაკს. წმინდას. ერთს თუ მეორეს. პირობითად  
და უმეტესად საზოგადოდ. ჩანდა. შესწევდა უნარი ქცევის.  
სხვა ყველაფრის მიუხედავად. (მე, ისინი) შესაბამისად  
მაპოვნინებდნენ ადამიანებს. უდაბნოში წყაროდ თუ თითქოს  
ვაზის ლერწმის მონდომებად. თან -დაყოლილად. ქცეულ-  
იყვნენ სასურველ მახედ. როცა მათგანი შესაბა- მის  
სიტყვასთანხსნიდა თავს. იმუხლავდა. ხელს კიდებდა. შესაბა-  
მისად: *შენ ისინი ჩემთვის ამო -თქვი.* ეს უსიტყვო არჩევანი  
გამო -მჟღავნება. თორემ მათ თუ არასდროს ვეძებ. თორემ  
შეხედე, ისინი თუ არც თუ ისე ცოტა არიან. თორემ ეძებე.  
შენიბრალია ეს სიტყვები, რომლებიც აქ იმიტომ  
მოხვდნენ, რომ შენი ბრალი თვალშისაცემი გაეხადათ.

პატივის ცემა

ნუთუ ოდესმე შეეძლებ გაგრძნობინოთ,  
რომ ნამდვილი და ერთადერთი პერსონაჟი,  
რომელიც მე მაინტერესებს,  
მკითხველია.  
ხულიო კორტასარი

აი, პატივი. ვთქვით. ვიდეკით პირისპირ. ერთხმად  
და ზურგსუკან ორპირი გვცემდა. ეს სიცივის მარტივი  
განცდა არ ყოფილა. ის შლიდა რაღაც ჩავლილს.  
განუცდელს არსებულის შეუცნობელი შიშით ტვირთავდა.  
მოლოდინის ბარგს გვილაგებდა. თუმცა არსად ვემ-  
გზავრებოდი. დასაწყისისთვის ასე ვიცოდი. ყველაფერი  
თავისთავად. თავისდროს. მოვა. აი, ამ ფიქრის ძალის-  
ხმევაზე შემედლო მშვიდად გულ-დაყრდნობილს -ხელის  
დაკრეფა. მოლოდინი შემედლო მშვიდად. არ გეგონოს  
თითქოს ჩემი ლოდინის უნარს თავზე გახვევდი. თითქოს ჩემი  
შესაძლებლობის უთქმელობას მოთმინება შემოლოვოდა.  
ეს უსარგებლო -გონებაა. და არ მინდა გეგონოს  
თითქოს გვესუნთქა ერთად შესაძლებელი ყოფილიყო.  
ეს ამ -ბისკენ გადასვლას გავდა. სიტყვებს შორის  
აზრისთვის ხელის ჩაჭიდებას. ორი ბრმის ცალ-ცალ  
წარმოდგენას. გამთლიანებას. სიმშვიდისთვის ნაპოვნ  
ფორიაქს. და -ულეველ ფორიაქში სიმშვიდის ძებნას.  
*შენ ეს არასდროს მოგბეზრდება.* შენ თქვი თუ მე  
ვთქვი. რაღაც ერთგვარ ხმად მერყეობდა. და ხელს  
უშლიდა სიტყვებს ხმოვნად გადაქცევისკენ. მათგან  
დადენილ ანწყობას. ეს ისეთი უსასრულო დინება  
იყო. ეს ისეთი უკიდევანო. საკუთარი ფეხით მოსული  
თითქოს არსად ჩქარობსო წასვლას. ეს უსასრულო ანწყობა.  
თითქოს ის აღვიწებდა. ყველა სათქმელს. მისით ავსებდა.  
ძირს ეცემოდა. ედევნებოდა. ცხოვრებას. ლოცვად მიყვებოდა.  
წარმართ დენად. უპატიოდ. უცვლელი დროის სიტყვის ამარა  
გადარჩენილს ზურგსულან ქარის. იმ წამამდე, აბა, როგორ-  
წარმოიდგენდი, სადაც სულ -დგმულობ.

(ამ სტრატეგიის შესრულებას უნდა მოჰყვეს,  
როგორცნესი, მკითხველთაშორის აზრთა გაცვლა.  
გაზიარება. დისკუსია. თუმცა მანამდე...)  
უნდა გითხრა. რაც ჯერისევე არავისგან მოგისმენია.  
განა ამას სხვა ვერ გეტყოდა. არა. არჩევდნენ  
არაფერი ეთქვათ. ამაზე. შენთან მაინც. როცა  
ზურგსუკან ნათელია მათი გამო -მეტყველება.  
ამ თემაზე სიტყვა მრავლობა. მაგრამ ამაზე არჩევენ  
თვალწინ არაფერთქვან. ეს მეთოდი ხშირად ამართლებს.  
ანალოგიის. ერთ-ერთი საშუალებაა საგნებსა და  
ქმედებებს შორის რამე საერთოს აღმოჩენის.  
მაგალითად, როცა პროზაზე ჟანრის მახასიათებელს  
ვანვდი. ასეთ დროს. ინტეგრირებით შეუძლია წარმო-  
იდგინოს მართკუთხედის ალგორითი. სიუჟეტის შესაბამისი  
განვითარებით. ექსპოზიციის. კვანძის შეკვრის. მო-  
ქმედების ყულფში მოქცევის. ემოციური კულმინაციის.  
კვანძის გახსნის. უსაყრდენოდ. განზრახულიდან  
ყულფის ჩასწვრივ როგორ ეცემა. ხშირად ამას დასასრული  
შეიძლება არც კი დაარქვა. აქ ამბავი ახალ ამბავთა  
ანალოგიურ ჯაჭვს იკრებს. ახალ. მეტაფორულ პრიზმაში  
ხვდება. ეს წარსულის ამბავია. მაგრამ პროზას. ჟანრის  
მახასიათებელს როცა ვანვდი, ის იდუმალ ძალისხმევას  
იკრებს ასეთ დროს. როგორც ყველა ჩავლილი და  
პროზაული ამბავი, ისე. როგორც, ვთქვათ და, მართკუთხედი  
ჩაკეტილი უსასრულობით სარკმლად აქციო. ბედს  
მინდობილ ნამყოს შემატო ცოტა სიტყვა. იდუმალი შიშით  
შებურო. ის ხელოვნება ვერ იქნებოდა მხოლოდ ასლი  
რომ ყოფილიყო გარდა- და -სულის. როცა სიკვდილს,  
და -ვინცებას გადარჩენილი ამბავი სადმე. შემთხვევითი  
ბედის, წერის გამოისობით, ყულფის ქვეშ ეგდო. აქ,  
წესისამებრ, ყველა დასასრულს მოელოდა. მაგრამ, აბა,  
როგორ მივცემდით ამ -ბავს სიკვდილის საშუალებას. თუ  
შეგვეძლო, მისი გამეორებიდან დაუვიწყარი ყოფნა გვესწავლა.  
და -უვიწყარი. საფიქრალი და განსასჯელი. ეს საგანს და-  
სამახსოვრებელს ხდის. ანალოგიის. ეს მეთოდი ხშირად  
ამართლებს. იყვნენ სიმულაციებიც. როცა ცდილობდნენ  
რომელიმე პერსონაჟის ნაცვლად მოერგოთ სიტუაცია.  
ეს თამაში კოლექტივთან თანაცხოვრებას აიოლებდა.  
და ორ -კესტრის ყველა კომპონენტს უხმატკბილებდა  
უნარს ერთობის. ის შენ და მერე. სადაც როლი არჩევითია  
მას შემდეგ. რაც ჯერაც არ ირჩევ. სადაც ბუნებამ ასე შეგქმნა.  
ჭაბუკობისას. უტყუარი არჩევანისას. სადაც ყველა წარმო-  
დგენილი კრიტიკიუმი წარმოდგენილი ყველა ქცევის ვალიდურია.  
სადაც შედეგი შემთხვევითობას გამორიცხავს. მოულოდნელ  
იმპროვიზებას. შემოქმედებით მიდგომას. მორჩა. ეს სტილია.  
თუმცა აქაც შეგვეძლო კვანძი ჯერ არ გაგვეხსნა. ის არსებითად  
მრავალჯერ ისე უნდა შეიკრას. ვიდრე ყულფში მოიქცევედეს  
სამოქმედო (საგანს. ადგილს. დროს). ჯერ მრავალგზის  
სამოქმედო საგნად აქცევედეს. ვიდრე ტექსტი, ბოლოს და  
ბოლოს, დასასრულს მიუახლოვდება, შეგიძლია სამოქმედო  
საგანი მოხსნა. ეს არ ნიშნავს გაუმართავ ტექსტს. უსრულ  
თხრობას. შეარჩიე მთავარი სიტყვა (ამ -ბის მახასიათებელი).  
შეარჩიე მოქმედების მოტივაცია (რისი გულისთვის). აქ  
შეგიძლია აზრს შეუდგე. იფიქრო კიდევ. გააკეთო პირველადი  
ფაქტობრივი კომენტარი. მეორადი — ემოციური.







ერთხელაც იქნება, გავიღვიძებ და ეს ხელნაწერიც კი ვიპოვებ... (ციკლიდან: „პარაბოლები ქვებზე“)

ჩემს სანერ მაგიდაზე რომ ქვა მიდევს, უბრალო არ გეგონოთ — უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის მეორე კურსელი რომ ვიყავი, მაშინდელი გეოლოგიური პრაქტიკისას, რომელიც ზაფხულობით იმართებოდა ხოლმე, ვიპოვე ატენის ხეობაში — მტკვრის შენაკადს, მდინარე ტანას რომ მივუყვებოდით ატენის სიონის მიმართულებით, პროფესორ ვალოდია ქოიავას ხელმძღვანელობით.

ქვა ნაპოვნია მაიკოპური სერიის თიხებში... მაიკოპური სერია — ეს რეგიონალური სტარტიგრაფიული ელემენტია, საერთო სახელი ოლიგოცენ-ქვედამიოცენური ასაკის ზღვიური ნალექებისა. პირველად გამოყო რუსმა გეოლოგმა და სტარტიგრაფმა ნიკოლაი ანდრუსოვმა ყირიმში. შედგება ოთხიდან მეტრამდე სიმძლავრის ქვიშაქვა-თიხოვანი ქანებისგან და, როგორც წესი, ნავთობის მატარებელია ხოლმე. ასევე მაიკოპური სერიის თიხები ცნობილია მარგანეცის მძლავრი საბადოებით, როგორც, მაგალითად, ჭიათურაში.

მოკლედ, ამ ჩემი ქვის გეოლოგიური სისტემატიზაცია შემდეგი იქნება (ვკითხულობთ ქვემოდან ზემოთ):

- 7. ეონი — ფანეროზოული,
  - 6. ერა — პალეოგენი,
  - 5. სისტემა (პერიოდი) — პალეოგენური,
  - 4. სექცია (ეპოქა) — ოლიგოცენური,
  - 3. სართული (საუკუნე) — რუპელური,
  - 2. ასაკი (მილიონი წელი, მიახლოებით) — 28,4-33,9
  - 1. სტარტიგრაფიული ელემენტი — მაიკოპური სერიის თიხებშია ნაპოვნი.
- ქვას თუ დაუფიქრებდით, შევამჩნევთ ხის ზროსთვის დამახასიათებელ, კონცენტრირებულ წრეებს (რითაც ხის ასაკს განსაზღვრავენ ხოლმე), ხოლო ხის მერქნის სტრუქტურის მქონე ქვაში შეიმჩნევა კვარცის თეთრი, გრძივად დალექილი ძაღვები. აქვე არის ცარიელი ნასვრეტებიც, სადაც კვარცმა, როგორც ჩანს, ვერ შეაღწია...

ეს ყველაფერი კი გვაფიქრებინებს, რომ

დაახლოებით ოცდაათობეტი მილიონი წლის წინათ ეს ქვა მატლებიგან გამოხრული, ბებერი ხე იყო და ჭაობში იდგა. როგორც ყველა ასაკოვანი ხე, ისიც სიკვდილს და ნეშომპალად გადაქცევას აპირებდა, მაგრამ, როგორც უილიამ ბლეიკი ბრძანებს ერთგან — „მარადისობა შეყვარებულია დროის წარმავალ ქმნილებებზე“ და ეს ბებერი ხე ჭაობთან ერთად ჩაიძირა მძლავრი ქანების ზემოდან დანოლის შედეგად და კი არ დალაბა, არამედ უშაეროდ დაინვა და გამყარდა.

ჰო, ბებერი და მატლებისგან გამოხრული ხე ქვად გადაიქცა მილიონი წლების განმავლობაში. დროის გასვლის კვალობაზე გეოლოგიური ვითარება შეიცვალა და ქვადაქცეული ბებერი ხის მატლებისგან ნახრავ სიღრუეებში კვარცი გამოილექა.

მერე დაიმსხვრა, დანაწილდა ქვად

მიხო მოსულიშვილი

# კაჭკაჭის პირით გაუმხელელი საიდუმლო

გადაქცეული ხე და მდინარე ტანას ხეობაში სწორედ მე ვიპოვე მისი ერთი ნაწილი 1982 წელს, ესე იგი, გეოლოგიური ქრონოლოგიის მასშტაბით სასაცილოდ მოკლე დროში — ოცდათერთმეტი წლის წინათ.

მას შემდეგ ეს კვარციანი ქვა ჩემს სანერ მაგიდაზე მიდევს...

არის სულ ეგრე მშრალად და ამასწინათ რომ ავიღე ხელში, ერთი პატარა ნატეხი თავისით მოძვრა...

ვუყურე, ვათვალიერე მონატეხიცა და ჩამოტეხილაც...

და კაიხნის ფიქრის მერე, გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ ამ ხელნაწერს ქვას წყალი სწყუროდა — ოცდათერთმეტი წელი მშრალად იდო და უწყლოდ ვერ გაძლო, იმიტომ დაინყო დაშლა...

ოთხი დღე მქონდა წყლიან ჭურჭელში, რომ ქვას თავის ნებისად მოეკლა წყურვილი...

ეს ქვა დასაკარგავად არ მემეტება, რადგან უამისოდ გამიჭირდება — ხელში რომ ავიღებ და იმის ამბავს წარმოვიდგენ ხოლმე ოცდაათობეტი მილიონი წლის განმავლობაში და მერე ამდენივე მილიონი წლის შემდეგაც, დათრგუნული კი არა, ამის გამძლეობით აღფრთოვანებული და შინაგანი ძალით აღსავსე ვარ და — ეგრე ვუზივარ ხოლმე ჩემს სანერ ბლოკოტებს, ფანქრით ხელში, რომ ხელნაწერმა ქვამ დამინახოს...

ვინ იცის, ეგებ, დაახლოებით ოცდაათობეტი მილიონი წლის შემდეგ გავცვალოთ კიდევ ადგილები — მე ეს ქვა ვიყო და ეს ქვა კიდევ — მიხო მოსულიშვილი...

თუმცა, ხანდახან — ძალიან, ძალიან რომ გამიჭირდება, უცებ ესეც გამიელვებს ხოლმე, — ერთხელაც იქნება, გავიღვიძებ და ეს ხელნაწერი ქვა ვიქნება...

## ლაშარის ფიქალი

(ციკლიდან: „პარაბოლები ქვებზე“)

იმ ქვადაქცეულ ხესთან ერთად, ესეც ჩემს მაგიდაზეა სულ — ლაშარის ჯვრიდან 1988 წელს ჩამოტანილი ფიქალი, და იმ ადგილებზე, სადაც თხელ ფირფიტებად უნდა დაიბოს, სწორედ იქ გასდევს ოქროს ჩანაწინკლები...

მე სულ მეჩვენება, რომ ეს ოქროს ჩანაწინკლები ცაში აკეცილი ოქროს შიბის ნარჩენებიდან არის...

ესეც დასტური ხალხურ ლექსად: ბერი გიორგი მეც ვიყავი, ცას ვებო ოქროს შიბითა, გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა, ჩემს საყმით შემონანირი ღმერთთან ამქონდა იქითა, ხელკრულმა ერისთვის შვილმა ამომიბრუნა ძირითა. ჯერ შვილი-შვილით დავლიე, მერე ქალ-ქალიშვილითა.



ავტოპორტრეტი

## მედაა და მინდია

(ვერიპიდე და ვაჟა-ფშაველა)

ვერიპიდეც ტრაგედია „მედაა“ ის შედეგია, რომელმაც, შესაძლოა, ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი დროის მსოფლიოზე...

არადა, როცა ქრისტემდე 431 წელს პირველად წარმოადგინეს ათენის სცენაზე, ამ პიესამ მხოლოდ მესამე ადგილი დაიმსახურა, ესე იგი, დამარცხდა...

თუმცა ის ორი გამარჯვებული ვინ იყო, ამის თაობაზე დღეს არაფერი ვიცით...

შვილების მოკვლა დააბრალა თუ არ დააბრალა, ქალთმოძულე იყო თუ არ იყო, მედაა მაინც ძალიან საინტერესოდ დახატა ვერიპიდე — ისე, რომ მთელ მსოფლიოს სამუდამოდ დაამახსოვრა. მას შემდეგ რამდენმა დანერა, დახატა, დადგა და გადაიღო მედააზე.

მოკლედ, მედამ შეიპყრო, მედაა აეკვიტა უამრავ მწერალს, მხატვარს, რეჟისორს და მეცნიერს...

რალა შორს ნავედე, მეც ძალიან მიყვრს ვერიპიდე „მედაა“ და სულ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელს“ ვადარებ ხოლმე, იმის მინდას...

თუ კარგად დავუკვირდებით, შეედრებთან კიდევ ერთიმეორეს: ცხოველ-ფრინველ-მცენარეთა ენების ცოდნით, ხასიათითაც, ბედისწერითაც და თუნდაც სახელების ფონეტიკური ჟღერადობითაც კი...

## სულის საამეხლად

2013 წლის 26 ოქტომბერია, ვაჟაობაა ჩარგალში და ვაჟას სახლის ქვემოთ, მდინარე ჩარგალურას გასწვრივ დავუყვებით ნინო სადლობელაშვილი, მანონ ბულისკერია და მე.

მივედით იმ ფაცხებში, სადაც ხინკალს აკეთებდნენ ხოლმე მარიამ რაზიკაშვილი.

სწორედ იქ დაგვიხვდა მარიამი და როგორც კი დამინახა, მაშინვე მიცნო — ბატონო მიხო, მარშან რომ იაპონელი გყავდათ, რატომ აღარ ჩამოგვიყვანეთო...

იაპონელი — ჰორიტიკე მადეა მყავდა მარშან აქ, მანანა გოდერძაშვილი და მარიამ რაზიკაშვილი დაგვიხვდნენ დიდებული ხინკლით. მაშინ ამათი ნაგაზი, სახელად „ბოთა“ მომიჯდა გვერდში და ერთი ცალი ხინკალიც ერგო ჩემგან...

ჰოდა, მოვიკითხე ერთმანეთი, ეს ჩვენი პოეტები გავაცანი და მარიამს ვთხოვე — ანახეთ, როგორ ხინკალს ახვევთ, რომ მერე ამათ ლექსებში გამოადგებათ ნანახი მეთქი.

მარიამმაც ანახა...

მერე რომ გამოვემშვიდობეთ და ფაცხიდან გამოვედით, მოგვებრუნა შუა გზიდან — მოიცადეთ, ქადა უნდა გაგასინჯოთ ჩემი გამოცხობილიო.

მივედით, მარიამმა გადმოგვიღო ქადა და დაჭრა ნინო სადლობელაშვილმა ოთხად.

ძალიან გემრიელი იყო. მადლობა გადავიხადე და სანამ ნამოვიდოდით, იქვე წამოწოლილ „ბოთასთან“ მივედი — მოვიკითხე, მარშანდელს მერე უჩხუბია, ცხვირზე მიმოხვეული ღარი ჩასდევდა და დავტუქე მსუბუქად ამიტომ, მერე ჩემი დარჩენილი ქადაც ვაჭამე...

ვითომ ხო არაფერი, ვითომ ხო არაფერი და...

მე ამ ცხოვრებიდან ეგეთი ეპიზოდები წამყვება ხოლმე დიდხანს — მოსაგონებლად და სულის საამებლად...

რაც ზემოთ მოვეყვი, კიდევ ერთხელ მიდასტურებს ჩემი კაი ხნის დაკვირვებას: მთაში რო ავალ, ძალიან ლაღად ვარ — ეტყობა, იქ მივხვდები ხოლმე, რომ მე მართლა მე ვარ და არა ვილაცა სხვა...

## შუაფხო. ცრემლი

(უცაბედი ჩანახატი)

შუაფხოელები მემდურნიან — რაად არ გვენახულობ, მიხოო... შენ აქ მეორედ ხარ დაბადებული კლდიდან ჩამოვარდნის მერე, ჩვენიანი ხარ, იმის მერე მეოთხედი საუკუნე გავიდა და ერთხელ არ ამოხვალ, ლაშარობაზე მაინცო... სხვებზე არც რას ვიტყვით, მაგრამ შენ არ გეკადრება ჩვენი უნახაობა, არაო... აგერა, გახედე იახსრის გორს, ცაბაურთას, როგორ არ გენატრებოდა ეგენიო...

ჯერ იახსრის დაბინდულ გორს ავხედავ, მერე უფრო მაღლა, ცაბაურთას ავყურებ — იქნებ ცრემლი შევიკავო როგორმე, თავის სამართლებელი სიტყვებიც უგზო-უკვლოდ გადამკარგვია და ამასლა ვპასუხობ: მენატრებოდა...

დაღრუბლულია ცა და ქვეყანა — წვიმას აპირებს...

## ნაღლის მკაზნელი

(უცაბედი პორტრეტი)

გავა დრო და ჩუმად, გულისგულში მიხვდები: შენთვის ნაცნობი და ახლობელი კიდევ ერთი სიმი გაწყდა, ამ ქალაქის გადაპრიალებულ-გადაბრწყვიალებული, ელიტური ცხოვრება-ლონისძიებიდან კი არა, იაფფასიან არყის მსმელთა და სხვა ლოთ-მებრუვეთა სამოთხე-ჯუჯრობებიდან რომ ხედავდა და გამოხატავდა სამყაროს — აი, ეგეთი იყო მოჩვენებითობის თუ სიაფანდობების გვერდის ამვლეელი და ყოველთვის ნაღლის მძებნელი გიგი სულაკაურის სიკვდილი 2012 წელს...

## მართალი კინო. ტატა თვალჭრელიძე. სევდა

კინომცოდნე და კულტურული ნეა ზორკაია თავის დოკუმენტურ მოთხრობაში „ექვსი ნაკიანი თევ“ (ჟურნალი „ნოვი მირ“, 8, 2008), რომელიც შეეხება 1968 წლის კომუნისტური რეჟიმის რეპრესიებს მის მიმართ, რაკი რამდენიმე ანტისამთავრობო, კოლექტიურ წერილზე მოაწერა ხელი, წერს:

„ლუდას (ნეა ზორკაიას კოლეგა) ასპირანტი ჩამოფრინდა თბილისიდან და გაიგო, რომ ლუდა მოხსნილია. როგორც პყვებთან, ინსტიტუტში ისე უტირია, რომ მოსაბრუნებელი გამხდარა. მერე სწრაფად მოინშინდა ცრემლები, გამოიძლოდა ყველანაირი დელიკატესი, გემრიელი ბადრიჯანი იქნებოდა თუ ლობიო, ყოველთვის რომ ჩამოაქვს ხოლმე საქართველოდან, ჩაჯდა ტაქსში და ლუდასთან მოვიდა უმხიარულესი ღიმილით. უამბო თბილისის ახალი ამბები და ჭორები, გზად მაღაზიაშიც შეირბინა პროდუქტებისთვის და ასევე ლუდას გადასცა ერთი თავი თავისი დის-ერთააციისა, ახლახანს რომ დაენერა. თავისი დისერთაციის სატიტულო ფურცლიდან ლუდას გვარის მოხსნაზე, არანაირ შესაძლო უსიამოვნებებზე სიტყვა არ დაუძრავს არასდროს. იმას თავში არ მოუვიდოდა იდეა, რომ, როგორი გარემოებებიც უნდა შექმნილიყო, სატიტულო ფურცლიდან ნაეშალა ლუდმილა ივანოვნა. მას ჰქვია ტატა თვალჭრელიძე და ძალიან კეთილი, მშვენიერი გოგონაა.“

ეს ძალიან კეთილი და მშვენიერი გოგონა 1981-1984 წლებში მშვენირი ქალბატონი გახლდათ და უნივერსიტეტის მეორად, კინოსასცენარო ფაკულტეტის სტუდენტებს (დათო აგიაშვილის და ერლომ ახვლედიანის სახელოსნო) კინომცოდნეობის კურსს გვიკითხავდა და სწორედ მან გაგვაგებინა და შეგვაყვარა: ფედერიკო ფელინის თუ მიქელანჯელო ანტონიონის,

სესილია თაყაიშვილის თუ სერგო ზაქარიადის, მარსელ კარნესა თუ აკირა კუროსავას, ოთარ იოსელიანისა თუ მიხეილ კობახიძის და სხვა ბევრი კარგი რეჟისორისა თუ მსახიობების ნამუშევრები.

თეორიული ლექციების ჩატარების გარდა, ქალბატონ ტატას უნივერსიტეტის ჟურნალისტების კორპუსში მოჰქონდა ხოლმე ჩვენთვის ძალიან საინტერესო ფილმები (ვალერიო ძურლინის „უდაბნო ტარტარი“, ფედერიკო ფელინის „ორკესტრის რეპეტიცია“, აკირა კუროსავას „ჯარისკაცის ჩრდილი“ და ბევრი სხვა) და ამ ფილმების ნახვის შემდეგ გამართულ დისკუსიებში, სადაც ჩვენც თავისუფლად შეგვეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა და ქალბატონ ტატასთან კამათიც, ნამდვილი — როგორც კომუნისტური იდეოლოგიისაგან, ასევე დასავლური მასობრივი სტანდარტებისაგან თავისუფალი, თვითმყოფადი და დაუმორჩილებელი კინოს სიყვარულს გვასწავლიდა.

ქალბატონი ტატას მეოხებით ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით, თუ როგორ ცდილობდნენ დიდი რეჟისორები ეკრანზე წარმოეჩინათ მოვლენების დაფარული არსი, რითაც გასაგები ხდებოდა ის დიდი სხვაობა, რაც არსებობდა ჭეშმარიტ და მოჩვენებით სინამდვილეს შორის...

და ნელ-ნელა იმის მიხედვრასაც ვინც ვხვდებით, რომ კინოში მთავარი არც დეკორაციაა, არც რომელიმე ტრიუკი, არც ლამაზად გადაღებული ბუნება და, თქვენ წარმოიდგინეთ, არცაა ლიტერატურული ტექსტი, სიტყვის რაოდენ დიდ ოსტატსაც არ არ უნდა დაეწეროს — მთავარია, რომ ფილმმა კინოს სპეციფიური ხერხების მეოხებით მაყურებელი ააღელვოს აზრის სიღრმითა და ემოციური ძალით...

მე იმითაც ამაყი ვიყავი, რომ ქალბატონი ტატა დიდი გეოლოგის, ალექსანდრე თვალჭრელიძის ოჯახიდან იყო და მისი ძმა, სანდრო თვალჭრელიძეც ჩემი ლექტორი გახლდათ — ის კიდევ მინერალოგიაში მიკითხავდა ლექციებს გეოლოგიურ (ძირითად) ფაკულტეტზე...

იმასაც ვიტყვი, რომ ჩემ სამაგიდო ნიგნებს შორის ყოველთვის იქნება 1981 წელს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ დაბეჭდილი ტატა თვალჭრელიძის ნიგნი „სიმართლე ეკრანზე“, რომელიც კინოზე სტატიების კრებულია და იმათგან რამდენიმე წერილი — ფედერიკო ფელინის, მიქელანჯელო ანტონიონის და აკირა კუროსავას შესახებ ჩემი ფანქრით ხაზგასმული აზრებით არის სავსე. დღესაც ამ ნიგნიდან ვისხენებ ხოლმე, თუ რატომ უყვარს ანტონიონის ისე ძალიან საგნები, რომ სულ იმათ იღებს და ამ საგნებს როგორ ალაპარაკებს ეკრანიდან; როგორ მოძრაობს მარსელ კარნეს კინოკამერა და ეს რანაირად უნდა დავინახოთ კადრებიდან; რომელი ფანტასტიკური ხერხებით ქმნის აკირა კუროსავა თავის ფილოსოფიურ იგავებს დაძვინჯურ სისუსტეებზე თუ ბუნების დიდებულებაზე...

ტატა თვალჭრელიძე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა და...

იმ დროიდან სულ იმისგან ნასწავლ სიმართლეს დავეძებ ეკრანზე და ათასში ერთხელ თუ გადავეყარე სადმე, მერე სულ ჩემს ლექტორს ვუყვები ხოლმე გუნებაში... ვუყვები და ვეკამათები კიდევც...

და, ახლაც, ამდენი ხნის მერე, ისე გავხდები ხოლმე ტატა თვალჭრელიძის სტუდენტი, ვერც კი ვიგებ...

**სანამ...**

მე კი ისევ დაბეჯითებით შეგახსენებთ, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლულია ყველა ჩვენგანის უსიტყვო თანხმობით 1907 წელს ილიკო იმერლიშვილის მიერ ერთადერთი ზუსტად ნასროლი ტყვიით მეკრდის არეში, მეშვიდე და მერვე ნეკნებს შორის გამოსვლით ზურგის მხრიდან და — სანამ ამ ცოდვას არ მოვინანიებთ, არაფერი გვეშველება კიდევ დიდხანს...

**ბაკაჩოს „დინოლა“**

მარიამ ხაჭვანის, იგივე ბაკაჩოს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი (15

წუთი) „დინოლა“ — ეს არის მითო-რიტუალური კინემატოგრაფი; სასტიკი, დაუნდობელი და პოეტური ამბავი კავკასიის მთებიდან...

**სან-კლოს თამბაქო**

სამხრეთ საფრანგეთში, შარანტის დეპარტამენტში სოფელი სენ-კლო (Saint-Claud) ყოფილა, სადაც საჩიბუხე, ნატურალური თამბაქოც მოჰყავთ და სათანადო ჩიბუხების კეთებითაც არიან ცნობილნი...



ოლონდ ჩემი ეს დასადაგამი ჩიბუხი Stuart-ის ფირმისა გახლავთ.

მაშინ გახარებულმა სწორედ ამ ნაჩუქარი ჩიბუხით მოვნიე ეს სენ-კლოს თამბაქო და — მართლა კარგი იყო, არანაირი არომატი არ ჰქონდა...

ომარ თურმანაული იყო ჩამოსული თავის Christiane-სთან ერთად და იმან ჩამომიტანა საჩუქრად, თორემ მე არც სტიუარტის დასადგმელი ჩიბუხი გამეგონა და არც სენ-კლოს ნატურალური თამბაქო...

ეჰ, კარგია, კარგი, მაგრამ ომარისნაირი პოეტებს აქაც ხომ უნდა ეცხოვრებოდეთ?..

**გაიხარე, მკითხველო, ნამეაბულო...**

(გოდერძი ჩოხელი) რჩეული ნოველების ნიგნი

სექტემბერის ამ საღამოს საბაჟოში საქმეების კეთებით დაღლილი მამა ანდრია ჯალაბიძე ამოვიდა ჩემს ქუჩაზე, გადმოვიდა მანქანიდან და „გრიგოლ ხანძთელის ფონდის“ მიერ გამოცემული გოდერძი ჩოხელის რჩეული ნოველების დიდი ნიგნი „ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“ გამომიწოდა — დღეს ჩამოვიდა სტამბოლიდანო.

ვიცოდი, რომ იქ იბეჭდებოდა. არადა ჯერ კიდევ 2010 წელს მქონდა რედაქტირებული გოდერძი ჩოხელის რჩეული — 164 ნოველისა და ჩანახატის ამორჩევით, თანმიმდევრობის აწყობით, სათაურის დარქმევით, კორექტურითაც კი გამზადებული ნიგნი, ჩემივე ბოლოთქმით: „სულის პეკელა“.

მერე ამ ნიგნისთვის ლევან ხარანაულს, რომელმაც 1988 წელს მთავარი როლი ითამაშა გოდერძი ჩოხელის ფილმში „აღდგომის ბატკანი“, თხოვეთქამდე ილუსტრაციას სთხოვა გამომცემლობა „გრიფონმა“, ლევანმა კიდევ ოცდაერთი დახატა, ზედაც ნიგნის ყდის რამდენიმე ვარიანტი, ბოლოს კი მზესუმზირის ამორჩევით.

ნიგნს გარედან ოქროსფერასობიანი და ლევან ხარანაულის მზესუმზირიანი გარეკანი აქვს, გოდერძი ჩოხელის ხელნერი თესრულეული თავისივე სახელითა და გვართ, მერე კი იგივე დიზაინის მუყაოს ყდა და სუპერზე ქალაქის ფაქტურის გამოყენებით დახატული, გადაშლილი ნიგნის კონტური, ბატის ფრთის თანხლებით...

ამ ნიგნით კიდევ ერთხელ დარწმუნდება მკითხველი, თუ როგორი დიდი სიყვარულით აფარდაგებს თავის ლალად სა-

კითხავ, ფერად-ფერადი ამბებით სავსე ნოველებს გუდამაყრის ხეობის უნიჭიერესი მემბრანე — გოდერძი ჩოხელი.

ჰოდა, მეც, როგორც ამ ნიგნის რედაქტორმა, გახარებულმა უნდა შევძახო: „გაიხარე, მკითხველო, ნამეაბულო...“

**მწარალი ზღვის სტილით**

სოსო პაიჭაძე 2013 წლის 21 აგვისტოს სამოცდაათი წლის გახდებოდა...

ჰოდა, აიღებ იმის ბოლო ნიგნს „სადაით

დაეცი“, მწერლის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, 1995 წელს რომ გამოვიდა და კიდევ ერთხელ კითხულობ...

თავისებური სტილი — ღონიერი წინადადებები, თითქოს რომ ანაცნაურებს საგნებსა და მოვლენებს, თან ფარავს კიდევც.

სტილი, რომელსაც გაუგონარი სიღრმეები აქვს — ზღვას ჰგავს, ზღვას, დიდასა და ვრცელ, პირველყოფილ სტიქიას. იქვე ჩანს გრძობების მორევები — აციმციმებული, მარადცვალებადი, თუმცა ზღვა ნამებში გაქვავებული (და არც გაქვავებული) პერსონაჟების ცხოვრება, შესს საკუთარ გამოცდილებასაც რომ შეგახსენებს უსათუოდ.

რაც უცნაურ, ბოლომდე გამოუცნობ მოვლენასთან გვაქვს საქმე — სწორედ ეს ამოუხსნელი, სიტყვაში გამოუხატავი (თუ გამოხატული) ქმნის იმ თავისთავადსა და განუმეორებელ მთლიანობას, ზღვისებურ მთლიანობას, რომელიც ზღვის სიმფონიად გამახსოვრდება და ჩაგესმის მერეც.

და ამას, ამნაირ პროზას ქმნიდა მწერალი, ვინც ბათუმში დაიბადა და მთელი ცხოვრება თან გამოიყოლა იქაური ზღვა და იმისი განსაკუთრებული სურნელი, მერე ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგედ რომ მუშაობდა, სოსო პაიჭაძე — წყნარი, ფიქრიანი, თავის თავში ჩაღრმავებული მზერით... იურა ბაქანიძის, „ბრატის“ არცთუ მრავალრიცხოვან მეგობართაგან ერთ-ერთი...

იურა ბაქანიძე ტყუილად არ მიხსენებია, სწორედ ის მიმჩნია, თუ შეიძლება ასეც ითქვას, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს პროზის სკოლის, გინდაც „ზღვის სკოლის“ ერთ-ერთ წარმომადგენელად, სოსო პაიჭაძესთან ერთად...

და რა უცნაურია, რომ ეს ორი „ზღვის სკოლის“ პროზაიკოსი ბედისწერიტაც როგორ გამოემგვანა ერთმანეთს...

იურა ბაქანიძის არ იყოს, სოსო პაიჭაძეც ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან — 1994 წლის 30 აგვისტოს გარდაიცვალა, ორმოცდათერთმეტი წლისა, და შენც რომ უკვე იმისი ტოლი ხარ, ეგებ დაიდარდო კიდევც — რომ ეცოცხლა, რამდენ რამეს დაწერდა და მოასწრებდაო — მაგრამ რაც დაგვიტოვა, ნაღდი, ღრმა და ტკივილიანი პროზა — და იმის ბოლომდე აღქმასა და დანახვას დიდი დრო დასჭირდება კიდევ... მიქელანჯელო ანტონიონის კინოს მომავლებს სხვაც ბევრი და, განსაკუთრებით, ერთ-ერთი იმისი დიდებული მოთხრო-

ბა „თბილი, გრძნული წვიმა“ და სწორედ ამ ნათქვამით მაქვს გადაცემული ეს ნიგნი ჩვენი ერთ-ერთი ცნობილი კინორეჟისორისთვის, რომ ეგებ ამისი ფილმად გადაღება ისურვოს და როგორც ამ შემთხვევისთვის სცენარისტი, თავს არ დაეზოგავდი — თუ ინდომებდა, რასაკვირველია...

**სამოთხისგავ ჯარ ლაქუნ, შირკადინ...**

ამ ცხოვრების საფათერაკო გზებზე თავის მარტოობას დაჰყვებოდა შერმადინ ქალდანი.

შემოგხვდებოდა და გული მაშინვე გიგრძნობდა, რომ ამქვეყნიურ ამო დიდებას ის არასოდეს გამოედევნებოდა, რაც არ უნდა შეცვლილიყო ჟამი.

იმისი ქორონიკონი მარადიულ საქართველოს დროზე იყო მომართული და ვერანაირი ამქვეყნიური ზადი ახლოს ვერ მიუვიდოდა.

აი, იმ დიდი ჟამიდან უწერდა უღალატო და მართალ ლექსებს თავის ნიღბვედრ, მარადიულ სამშობლოს, რომლის სიხარულის თუ დარდის გაგება იმ თავისი მარტოობიდან უკეთ შეეძლო და იმისი დაწერილი ლექსები რომელღიმე პრემიად ანდა სახელის მოხვეჭის სხვა საშუალებად თუ გამოდგებოდა, არაფრით სჯეროდა ამისი.

ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც ნამდვილის და ნაღდის დაფასების ნიჭი რომ ჰქონდა მომადლებული, ესეც იმისი მარადიული საზომებიდან მოდიოდა...

და ახლა, როცა იმ თავისმა მარტოობამ ზეციური სანახებისკენ წაიყვანა, ამას თულა დაადევნებ გზად:

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შერმადინ...

ბოლოს კი, საჩვენოდ, ისევ შენი ლექსი, „წერილი მეგობარს“ უნდა გავისხენო:

„მშობლიურ მთებზე, სისხლიანი მზე იღიმება, ვერ მოვიპოვე სიმშვიდე ბრბოში. ზოგი მეფეთა სიცოცხლეზე ლოცვით იღლება, ზოგი მონაა გაცვეთილ გროშის. მე ვიცი: გული საღვალე ტყვიით განიგმირება, არ ვუღალატე, რადგან ღირას ამ თახსირ დროში“.

**როგორ ლაპარაკობანი პიკასო და ფიროსმანი...**

(ილია ზდანევიჩის სამადლობელი)

პაბლო პიკასო, ილიაზდი — „ფიროსმანაშვილი. 1914“, 36 გვერდი. ილუსტრირებული პიკასოს მიერ. პატარა ფოლიანტი, 322 ხ 230 მილიმეტრი, შეკრული ორიგინალურ პერგამენტში, ყვითელი papier de boucher-ის სუპერყვითი, დაცული გამომცემლის შექმნილი ნაჭრის ფუტლიარში. პარიზი: ილიაზდი, 1972.

ასეთი გახლავთ მონაცემები ილიაზდის (ილია ზდანევიჩი, 1894 -1975) ნიგნის პირველი გამოცემისა, სამოცდათერთმეტი ეგზემპლარად რომ დაიბეჭდა, Japon Ancien-ის ქალაქდებზე; გამოქვანილ მონაცემებთან ხელმოწერილი წითელი ფანქრით: Iliadz და ორიგინალური გრაფიურით, ხელმოწერილი: Picasso. „მშრალი ნემსის“ ტექნიკით შექმნილი ეს გრაფიურა დაიბეჭდა ატელიეში Lacourière Frélaud.

„მშრალი ნემსი“ გრაფიკების ისეთი ტექნიკაა, როცა, მონაშვლის გამოუყენებლად, მეტალური დაფის ზედაპირზე მაგარი ნემსით ამოიკანონება ხოლმე შტრიხები. დაფაზე მიღებული გამოსახულება წარმოადგენს ღრმა ბეჭდვის ფორმას, რომლის განსაკუთრებულ თავისებურებას ქმნის შტრიხის „სირბილე“: გრაფიკის მიერ გამოყენებული ნემსები მეტალზე ტოვებენ ჩაღრმავებულ ღრუებს ანუ უღი ხიწვებით — ბარბოტი. თითოეულ შტრიხს აქვს მკვეთრი დასაწყისი და დაბოლოება, რაკი მახვილი ნემსით არის ამოკანონული...

ილიაზდი (ილია ზდანევიჩი) სამშობლოში დაბრუნდა 1912 წელს და შეხვდა ნიკო ფიროსმანაშვილს (1862-1918). რაც ფიროსმანამა მისი პორტრეტი დახატა და

მანანა დუმბაძე

მწერალი ჯემალ თოფურიძე 1978 წელს, 31 წლის ასაკში, ტრაგიკულად დაიღუპა. დატოვა ცხრამეტი მოთხრობა და რამდენიმე ლექსი, მაგრამ სანამ ილაპარაკებენ ქართულ მწერლობაზე, ქართულ ლიტერატურაზე — ილაპარაკებენ ჯემალ თოფურიძეზეც, მის ნაწარმოებზე, დღესაც რომ ინარჩუნებს სიცოცხლეს და ზემოქმედებს მკითხველზე.

მოთხრობებს პირველად მაშინ გავიცანი, როცა მწერლის მეუღლესთან, მანანა დუმბაძესთან ინტერვიუსთვის ვემზადებოდი. ნავიკითხე და ჩემთვის აღმოვაჩინე მწერალი, რომლის შემოქმედებაც როდენობრივად — ასე მცირე, სულიერად კი ასეთი მდიდარია. სადაც, უბრალოდ ყველა ისტორიებს, მაგრამ მისი მოკლე მოთხრობებიც კი გმირების ლამის მთელ ცხოვრებას იტევს. მხოლოდ ოსტატები ახერხებენ, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების — პერსონაჟების ყოველდღიურობაში საკაცობრიო ტკივილი, სევდა, სიხარული — მარადიული თემები გააცოცხლონ. ალბათ ამიტომაცაა მისი ნაწარმოებები ასეთი სიცოცხლისუნარიანი, თავად კი უაღრესად თანამედროვე ავტორი.

მწერლის არქივს ქალბატონი მანანა პატრონობს. გამოიტანა და მიჩვენა: ხელნაწერები, პატარა-პატარა ჩანაწერები, წერილები მადლიერი მკითხველისგან, კრიტიკული წერილები მწერლის შემოქმედების შესახებ, ბევრი ფოტო და ხუთი წიგნი, რომელიც ჯემალ თოფურიძის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ის მიყვებოდა სამ წელიწადზე, ერთად რომ გაატარეს — თითქოს მთელი ცხოვრება დაიტია იმ სამამამედროვე ავტორი.

— მწერლის სიცოცხლეში მისი წიგნი არ გამოცემულა. თუმცა, როგორც ვიცი, მოთხრობები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში იბეჭდებოდა.

— პირველად 1974 წელს „ნობათში“ გამოქვეყნდა მისი „ნუციკო ემხვარი“. სხვადასხვა დროს დაიბეჭდა მისი „ლექსო“, „მარტო“, „თედოს ოცნება“, „გოგია“, „მურზა პაპას ზღაპარი“. სამი მოთხრობა — „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“, „გამოუსწორებელი“ და „ტროლეიბუსი“ „ცისკარში“ ჰქონდა მიტანილი, მაგრამ მათ გამოქვეყნებას ვეღარ მოესწრო. მახსოვს, ჯანსუღმა დაურეკა, ძალიან მოგვეწონა და ვბეჭდებოდა. როგორ გაუხარდა! აპრილში სამსახურიდან ქუთაისში წავედი, ექსკურსიაზე, და ორ-სამ კვირაში, 22 აპრილს გარდაიცვალა. მოკლედ, პატარა აღიარებას მოესწრო. მაშინ სხვაგვარი ურთიერთობები იყო, ერთმანეთის წარმატება უხაროდათ. შეიძლება ახლაც ისეთივე ურთიერთობებია, არ ვიცი. ჯემო მწერლებში დიდად გარეული არც ყოფილა. როცა დავექორწინდით, შემოქმედებით წრეებს მაშინ უფრო დაუახლოვდა. იქამდე, ძირითადად, უბნელებთან, კლასელებთან მეგობრობდა, ცნობილი თბილისელი ბიჭი იყო, შეეძლო ასაკით მასზე ბევრად უფროსებთანაც ეძმაკაცა — ლიტერატურის ინსტიტუტში ხანდაზმული მეცნიერები მისი მეგობრები იყვნენ, ყველას ძალიან უყვარდა.

— გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტიდან ლიტერატურის ინსტიტუტში, ალბათ, მწერლობის, ლიტერატურის სიყვარულმა მიიყვანა.

— ჯემო თავიდანვე ლიტერატურულ, ბოჰემურ გარემოში ტრიალებდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ის ხომ ბიძის,

ნიაზ დიასამიძის გაზრდილია. ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ნიაზი კი, მოგეხსენებათ, წარმოადგენდა არისტოკრატობას, ინტელექტუალურ საზოგადოებას, თბილისს. ასე რომ, ჯემოს გენეტიკურადაც მოსდ-

„ მუდმივად ვკოულვ ჩანანერებს “

გამდა წიგნიერება, არისტოკრატულობა. მამამისი ცნობილი არქიტექტორ-მშენებელი იყო, დედა ექიმი ჰყავდა. მშობლები დაშორდნენ და კარგი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამიტომ ჯემოს მამაც, მეგობარიც, იდეალიც ნიაზი იყო. მისტიროდა მას, ვერ მოინულა მისი სიკვდილი — ესიზმრებოდა. ერთი-ორჯერ ნამოცმცა კიდევ, დაანებე თავი რა, ნიაზ, ამ კაცს-მეთქი.

სკოლაში კარგად სწავლობდა. სამედიცინოზე უნდოდა ჩაბარება, მაგრამ იქ მოხვედრა მაშინ ძალიან რთული იყო, ამიტომ სკოლა ვერცხლის მედალზე რომ დაამთავრა, უნივერსიტეტი გეოგრაფია-გეოლოგიურზე შეიტანა საბუთები. შემდეგ კი ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში მოეწყო და იქ რამდენიმე წელიწადი იმუშავა. მაგრამ არ უყვარდა ის საქმე, მერე არასოდეს გაუხსენებია ის წლები.

— თქვენ როდის გაიცანით ჯემალ თოფურიძე, როგორც მწერალი?

— ჯემალის „ნუციკო ემხვარი“ რომ გამოქვეყნდა, მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობდი. ნავიკითხეთ ის მოთხრობა. ზოგს მოეწონა, ზოგს — არა. როგორც ხდება ხოლმე. მე კი ძალიან მომეწონა. მოგვიანებით გავიგე თანამშრომლისგან, რომ ჯემალ თოფურიძე ჩვენთან იწყებდა მუშაობას. მერე ჯემო მიყვებოდა, რომ მისი გადაყვანა ლიტერატურის ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის, აკადემიის ილია ვეკუას ჩარევით მომხდარა. დედამისის ნათესავი იყო, მასთან ჯემოს დედა მისულა თხოვნით. მოკლედ, გადმოვიდა და ახალი საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებაში დაინყო მუშაობა. მალე დავექორწინდით, ორიოდ თვეში.

— პირველი ნაწარმოებების დაბეჭდვის შემდეგ, ალბათ, ჯემალ თოფურიძე იმდროინდელი ლიტერატურული წრეებისთვის აღმოჩენად იქცა.

— საქართველოში ძალიან უჭირთ ვინმეს „აღმოჩენა“ დაარქვან, თუნდაც ეს დანტე ალიგიერი იყოს. თუმცა, მეორე მხრივ ის გამოჩენისთანავე გახდა ლიდერი თავისი თაობის მწერლებს შორის. მამაც ამბობდა, რომ ჯემალს შემოქმედებითი მოთელვის პერიოდი არ ჰქონია, ზრდის პროცესი არ გაუვლია, როგორც მწერლებს უმეტესობას, არამედ თავიდანვე ძლიერად დაინყო, მაღალი დონის მხატვრუ-

ლი ნაწარმოებები შექმნა.

— ქართველი კალსიკოსის, ნოდარ დუმბაძის სიძეობა, ალბათ, ადვილიც იყო და რთულიც. მათ ურთიერთობაზე მიაჩნებოდა.

— კატეგორიულ უარს ამბობდა, ოდნავ მაინც ესარგებლა რაიმე პრივილეგიით. ერთგვარი კომპლექსიც კი ჰქონდა, ნოდარ დუმბაძის სიძე რომ ვარ, ჩემს ხელშეწყობას დაინყებენო და, ამიტომ ყველაფერზე უარს ამბობდა — ლიტერატურულ ღონისძიებებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობაზე, მოსკოვში მიწვევებზე. მისი ამგვარი დამოკიდებულება პრობლემად გვექცა. იქამდე რომ, ერთხელ მამაჩემმა გამოგვიგზავნა „კინოს სახლის“ ბილეთები, მაშინ ყველას არ ჰქონდა იქ მოხვედრის შესაძლებლობა. არ მინდაო, უარი თქვა წასვლაზე. თვითონ მივიდა „კინოს სახლის“ დირექტორთან, რომელთანაც უზნიდან მეგობრობდა და რომ მეგონა, აღარ მივდიოდით, შინ ორი ბილეთით დაბრუნდა.

რაც შეეხება ურთიერთობას მამაჩემთან — ეს მისთვის ერთი სიამოვნება იყო. სიგიჟემდე უყვარდა მამაჩემი, საოცარი ერთობა ჰქონდათ, ორივე უმამოდ იყო გაზრდილი, ერთმანეთისთვის ნაცნობ ტკივილს ატარებდნენ, საათობით შეეძლოთ ესაუბრა.



— და როგორც ორი მწერალი, როგორ ურთიერთობდნენ?

— ჯემოს ბევრი მოთხრობა აქვს მამაჩემის რიტმში დაწერილი. იმ პერიოდში მამა რომანებს ალარ წერდა — დაიბეჭდებოდა მისი მოთხრობა, ნაკითხავდა ჯემო, მოეწონებოდა, დაწერდა ისიც. მახსოვს, მამაჩემმა დაწერა მოთხრობა „ანდეს“, ლოთზე. ჯემოს ძალიან მოეწონა, თან იმას ამბობდა, მე თვითონ ლოთი ვარ და აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, დამეწერაო. ვუთხარი, შენ ისეთი პორტრეტი გყავს-მეთქი, ნიაზის სახით... ასე შეიქმნა მოთხრობა „მარტო“. მამაჩემი ხუმრობდა, მოთხრობა ვერ დამიწერია, ესეც რომ არ გავარდეს და დაწეროსო. ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ. არჩვეულებრივი. ხუმრობის გარეშე კი — ის ძალიან კარგად ხედავდა ჯემოს შემოქმედებით პოტენციალს. იცოდა, რა ნიჭის პატრონიც იყო.

— რა ეფიქვ იმ მოთხრობას, ბატონმა ნოდარმა რომ ისურვა, ნეტავ ჩემი იყოსო?

— მოთხრობას „გოგია“ ჰქვია. ის რომ დაწერა, ცოტა ხნით ადრე ძალიან ვიჩხუბეთ. ჩემებთან ვიყავი. მოვიდა და ნაწერი მომცა, არ მელაპარაკებო, მაგრამ ნაკითხეო. თან მითხრა, სათაური არ მაქვსო. კარგი-მეთქი. ნავიკითხე და ცუდად გავხდით, მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა, ამ ადამიანს არ შევერვიებოდი. მერე მამაჩემს მივეცი ნასაკითხად.

ნამოვით ისახლში. მამას ორჯერ ჰქონდა ინფარქტი გადატანილი, დედას ტრეპანაცია ჰქონდა გაკეთებული და დილის 6 საათზე ტელეფონის ზარი რომ გაისმა, ვიფიქრე, რაღაც უბედურება მოხდამეთქი. გავკეცვი, ჯემოს ვუთხარი, შენ უპასუხე-მეთქი. ჯემო დიდხანს იდგა ყურმილით ხელში, ხმას არ იღებდა, უსმენდა. მერე რაღაც თქვა და გათიშა — მამაშენმა დამირეკა, მოთხრობა ნავიკითხე და მთელი დამე არ მიძინია, ნეტა მე დამეწერაო. მახსოვს, შევთავაზე, „გოგია და მარინა“ — დავარქვათ-მეთქი. ასეც დაარქვა. მოგვიანებით, ნაწარმოები „გოგიას“ სახელით დაბეჭდეთ მაინც.

— ფიქრობ, გარდაცვალების მერე უფრო ახმაურდა ლიტერატურული საზოგადოება მისი ტექსტების გამო — იმავე წელს წიგნი გამოიცა, შემდეგ მოთხრობები ითარგმნა, ერთ-ერთი მოთხრობა წლის საუკეთესო ქართულ

მოთხრობად დასახელდა.

— „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ წლის კი არა, შეიძლება, საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვალოს. ლიტერატურათმცოდნე ვარ და თავს ამგვარი შეფასების უფლებას ამიტომაც ვაძლევ. ახლა გადავიკითხე სწორედ წერილი, რომელიც მოსკოვიდან მოვიდა — თქვენი სამი მოთხრობა თარგმნილია რუსულად, ჩვენ ისინი დაბეჭდეთ ჟურნალში „დრუჟბა ნაროდოვ“, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ წიგნი, თქვენი ნაწარმოები. წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ იყო. შემდეგ მე ვუპასუხე, ჯემოს ნაცვლად. მიგწერე, წიგნი ჯერ გამოცემული არ არის-მეთქი. მამაჩემს მკითხველთა წერილების ზღვა რაოდენობა აქვს, ძირითადად, რუსები უგზავნიდნენ. ქართველის ხასიათში არ ზის მწერლებისთვის წერილების მიწერა. ჩვენ სხვა ტიპის ხალხი ვართ. ჯემოსაც უგზავნიდნენ, როცა ის უკვე აღარ იყო. ერთ-ერთი ვათარგმნინე და გამოქვეყნდა „დილის გაზეთში“, ვინმე სტრულოჩკინი წერდა შთაბეჭდილებაზე, რომელიც „გამოუსწორებელი“ მოახდინა მასზე. იწერებოდა, ალბათ, ამ მოთხრობის ავტორს ძეგლს დაუდგამთ და მინდა, ამ საქმეში მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანო. ასეთი წერილი არა მგონია, ბევრ ქართველ მწერალს მიეღოს.

— არაერთხელ იქცა, რომ „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ საუკეთესოა მის მოთხრობებს შორის. როგორც მკითხველს, არ მგონია სხვა ნაწარმოებები მასზე ნაკლები იყოს.

— „დიოსკურიაზე“ მართლაც ასე ამბობენ, თუმცა გასხვავებული აზრებიც არსებობს. მაგალითად, ლაშა თაბუკაშვილს საუკეთესო მოთხრობად „გამოუსწორებელი“ მიაჩნია. მასში მართლაც საოცარი ჰუმანიზმია.

— ჰუმანიზმზეც რომ არაფერი ვთქვათ, მწერლის ხეც, წერის მანერა ისეთ მხატვრულ სურათებს ქმნის, ძნელია იმ ცხრამეტი მოთხრობიდან რომელიმე გამოარჩიო. ყველა ერთმანეთზე უკეთესია. ის არ კეკლუცობს, ხელოვნურ ფორმებს არ მიმართავს.

— მკითხველზე სწორედ ეს ახდენს შთაბეჭდილებას, ეს მოქმედებს. ერთხელ მამაჩემს მეგობარმა უთხრა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დაწერას რა უნდა, ორ დღეში დაწერო. დაწერეო, მამამ. მოვიდა მერე და, ვერ შევძელიო. ასე რომ, ყველაზე ძნელი ასე წერა.


— ვიცი, რომ რუსულენოვან პერიოდიკაში ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები ბევრს წერდნენ ჯემალ თოფურიძის მხატვრულ სტილზე, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებზე, პერსონაჟებზე. ასეთია, მაგალითად „Авдеев А.А. и др. О творчестве М.Т. Тофуридзе“ და ა.შ. ქართველი კრიტიკოსები რამდენად აქტიურად ეხმაურებოდნენ მწერლის შემოქმედებას?

— სულ ბოლოს ზაზა გოგიამ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი ჯემალზე. პირველად კი გურამ ასათიანმა დაწერა მასზე, შემდეგ — გურამ გვერდნიტელმა. მახსოვს, სოხუმში ვიყავით და დედაჩემმა ტელეფონით გვითხრა, „ლიტერატურალ საქართველოში“ გურამის ვრცელი წერილი დაიბეჭდა, წლის პროზას მიმოიხილავს და მათ შორის ჯემოს მოთხრობებსაცო. ისე გაუხარდა... ძალიან კარგი კუმულიკაციები აქვთ, ასევე, მანანა კვაჭანტირაძეს, მარინა ვაშაყმაძეს...

— მკითხველმა დაგვიანებით შეიტყო, რომ ბატონ ჯემალს ლექსებიც ჰქონდა. ისინი „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა — ოთხი უსათაურო ლექსი გაყვითლებული უბის წიგნიდან.

— იქ დავწერე კიდევ, რომ ტყავისყდიანი ბლოკნოტი ჯემოს ლექსებით დედამისმა შვილის გარდაცვალების შემდეგ შეინახა და დარჩენილი სიცოცხლე ჩანთით ატარა. მერე იქ დარჩა, თავის დასთან, ტუსა დიასამიძესთან. მან კი, სიკვდილის წინ, თავის ძმისშვილს, ნიაზ დიასამიძის ვაჟს, თემურს გადაულოცა. თემურმა — მე. ახლა ჩემს არქივშია ის ბლოკნოტი, ხელნაწერი ლექსები. ჯემოს დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით ვაპირებ გამოვცე მისი კრებული, რომელშიც ლექსებიც შევა.

— ჯემალ თოფურიძის წიგნი ბოლოს 2008 წელს გამოვიტო. ეს მისი სრული კრებული იყო, ვგულისხმობ — ლექსების აღმოჩენამდე. ასეა?





— დიას, ის წიგნი, ანდრო ბუაჩიძის არაჩვეულებრივი შესავლით, მისი 60 წლის იუბილეზე გამოიცა. პირველი წიგნი კი — 1979-ში. შემდეგ გამოცემილია „მერანმა“ რუსულად თარგმნა და გამოსცა მისი მოთხრობები. იმ კრებულს კი 2003, 2008 წლების ქართული გამოცემები მოჰყვა.

— ამ წლების განმავლობაში მწერლის არქივი მდიდრდებოდა. ახალ ნაწარმოებებს აღმოაჩენდით ხოლმე. თავიდან 6 მოთხრობა იყო, ახლა ცხრამეტი, ოთხიც — ლექსი. ახლახან ექვსი ლექსი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა...

— ზოგიერთი ძალიან „შავად“ ნაწერი მოთხრობიდან, ზოგიც სხვადასხვა ხელნაწერებიდან შევაკონინე, რედაქტირება გავუკეთე, დაახლოებით ხუთი მოთხრობა მისი რომანის თავებისგან შედგა — რომანის დაწერას აპირებდა, დაიწყო კიდეც, იქ არის თავები, ცალკე მოთხრობებადაც რომ იკითხება. სიტყვაც არ მინდა დაიკარგოს, ამიტომ ვაკონინებ.

სულ რაღაცას ვპოულობ, სასწაულია,

1978-ის შემდეგ რამდენი წელი გავიდა და დღეისთვის, რომელიმე ჩემი შვილის დაბადებიდან პატარა-პატარა ჩანაწერებს ვაკეთებდი, რამდენიმე დღის წინ პირველად გადავანყედი ჯემოს ჩანაწერს. იქამდე მეგონა, რომ ჯემალს შიგნით არასოდეს არაფერი ჩაენერა. ძალიან ცუდად გავხდი, რომ ნავიკითხე. მიკვირს, საიდან? თითქოს ყველაფერი ჩემთან არის, მაინც მუდმივად ვპოულობ ჩანაწერებს. ალბათ, სიკვდილის წინ კიდეც რამეს ვიპოვი.

— ერთი პატარა ჩანაწერიც გაქვთ, იუმორით სავსე, რომლითაც ჯემალმა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის შენიშვნას უპასუხა.

— ლიტერატურის ინსტიტუტში საოცარი ხალხი მუშაობდა. სხვადასხვა ასაკის მიუხედავად, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. მე და ჯემალი რომ გავიპარეთ, დირექტორს ჯემო მოუკითხავს, სად არის, სამსახურს აცდენსო?! ის და მანანა დუმბაძე გაიპარნენო, უპასუხიათ. შემდეგ, როცა ინსტიტუტში დავბრუნდით, დავგვიბარა,

გილოცავთ, მაგრამ მეორედ არ გაბედოთ სამსახურის გაცდენაო, გვითხრა. ის „განცხადება“ ჯემომ სწორედ მაშინ დაწერა და მოგვიანებით, 8 მარტთან დაკავშირებულ შეკრებაზე ნავიკითხა: „წარსული წლის 13 ივნისს ინსტიტუტიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან მანანა დუმბაძე და ჯემალ თოფურიძე. მანანა დუმბაძე — შავგვრემანი, აქვს მაცდური ღიმილი, ჯემალ თოფურიძე — მაღალი, უხვი, მდაბალი, უყვარს ლუდი. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ ვინმე თვალს მოკრავთ“.

— საუბრის დასწყისში მითხარით — ბუნინი უყვარდაო.

— ბუნინი მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი იყო. განსაკუთრებით უყვარდა მისი მოთხრობა „I naïf ü“, იქიდან მეუბნებოდა ხოლმე ფრაზას: „Où i i æ è è, i i ð ä ä ö ð i à y ò i ñ ä ä ö, à i i ò i i ð è ò à è i i ä“.

ესაუბრა თამარ ჟურული

მიხო მოსულიშვილი

კაჭკაჭის პირით გაუმხელელი საიდუმლო

დასასრული

კარგად გაიცნეს ერთმანეთი, ილიაზდი შემფოთდა იმ მძიმე პირობებით, რომელშიც ფერმწერი იყო და თავდაპირველად, 1913 წლის 10 თებერვალს გაზეთ „ზაკავკასკაია რეში“, ფსევდონიმით „ივიჩი“, დაბეჭდა თავისი სადებიუტო სტატია „თვითნასწავლი მხატვარი“, რითაც, ფაქტურად საზოგადოებას აღმოუჩინა ფიროსმანი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ დაწერა წერილი-მანიფესტი „ნიკო ფიროსმანაშვილი“, სადაც განზრახ გამომწვევი, ეპატაჟური ფორმით კიდეც ერთხელ შეეცადა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო ნიკალას დრამატული ბედისთვის: „ფიროსმანმა იპოვა თავისი ეპოქის სტილი, და მხოლოდ მან, ერთადერთმა, რადგან ეპოქის სხვანაირად გადმოცემა, ვიდრე მან გადმოსცა — შეუძლებელია“.

ეს მანიფესტი დაიბეჭდა თბილისში გამოცემულ რუსულ გაზეთში „ვოსტოკ“, 1914 წლის 29 ივნისს...

სამოცი წლის შემდეგ, 1971 წლის ზაფხულში ილიაზდმა გადაწყვიტა ხელახლა გამოეცა ეს სტატია-მანიფესტი. ამჯერად ფრანგულ ენაზე. მან გაამზადა სპილენძის პატარა დაფა და თავის მეგობარს, პიკასოს წაუღო, იმ იმედით, რომ მხატვარი შექმნიდა გენიალური ფერმწერის ფრონტისპისს.

პიკასო ამ დროს მარტო იყო დარჩენილი საკუთარ თავთან და, მართალია, შეკვეთებს გაურობდა, მაგრამ ილიაზდის ნაამბობმა ქართველ მხატვარზე და შემდეგ ნაკითხულმა წიგნმა, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

პარიზში წიგნის ბეჭდვა 1972 წლის დეკემბერში დამთავრდა, პიკასოს სიკვდილამდე ოთხი თვით ადრე.

1972 წლის 21 თებერვალს ილიაზდმა პიკასოს ჩაკითხა მუჟინში, რათა უკვე წიგნში დაბეჭდილი ნამუშევარი ეჩვენებინა — ნიკო ფიროსმანაშვილის თავისთავადი, მეოცე საუკუნის გენიალური მხატვრის განუმეორებელი ხელწერით შესრულებული პორტრეტი.

ვინც მხატვრობაში ჩახედულია და მიანიხ, რომ დასახატ საგანთან ნებისმიერი კარგი მხატვარი თავისებურ დიალოგს გამართავს ხოლმე, რაც მერე კარგად ჩანს სურათზე, ამ გრავიურას რომ ნახავს, მაშინვე მიხვდება, რომ პიკასო ისე არ ელაპარაკება ფიროსმანს, როგორც ზოგიერთებისგან აკვირებულ „პრიმიტივისტს“, არამედ ისე, როგორც ტოლფარდ და თანამოაზრე კოლეგას — რადგან ორივენი ძველი მითებიდან და რიტუალებიდან მოდიან, რომ ჩვენც იქ ნავიყვანონ...

ჩვენ კი, მხოლოდ ისლა დაგვრჩენია, რომ მადლიერებით თავი მდაბლად დაუხაროთ თავდაც დიდ და ღირსეულ შემოქმედს, ილიაზდის, იგივე ილია ზდანევიჩს.

სახელი რომ ნაწარმოებს გაასწავს...

არადა, პირიქით უნდა იყოს... ამ ჩვენს გლობალურ ხანაში, როცა რეკლამირდება ხელოვანის გვარ-სახელი და განზრახ მრუდედ შეფასდება ხოლმე მისი შექმნილი ნაწარმოები, ანუ როცა სახელის შექმნის ინდუსტრია ბევრად წინ არის იმაზე, რასაც ხელოვანი აკეთებს სინამდვილეში, ნულარ გვიკვირს, ამისთანა „სახელიანების“ უნიჭო ნაწარმოებებს შედეგებად რომ შემოგვასაღებენ ხოლმე...

როდის ჩამოატარავენ კუპოს შენი გვამით

— რას აკეთებთ, პოლკოვნიკო?  
— აი, ვზივარ, — მიუგო, — ველოდები, როდის ჩამოატარებენ კუპოს ჩემი გვამით.

გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელიწადი“

ალბათ, შემატყობდით, მარკესის დანერვილები რომ მიყვარს და სწორედ მაგისი ნათქვამია — „მე ვემსახურები ჩემი სამშობლოს ხალხს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას“—ო.

აი, ზუსტად ეგრე უნდა იყოს...

ესენი მოვიდნენ, ისინი წავლენ, მერე ესენიც წავლენ და სხვა მოვა „ტურფანსა საბალნაროსა“, მაგრამ შენ როცა რაღაცებს ჯღაბნი შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის დონის მწერლების პატრონი ხალხისთვის, მარტო ამ ხალხისთვის და დედამიწის დანარჩენი ხალხებისთვის უნდა ჯღაბნი, თუ მაინცდამაინც ნიჭით ვერ გამოემგვანები ამათ — და არა რომელიმე ქვეყნის რომელიმე მთავრობისთვის, შენი ქვეყნის მთავრობიდან დანყებული...

იოლი გზა სულაც არ არის ეს, შეიძლება შენი რომელიმე უკეთესი დაჯღაბნილი არ ითარგმნოს ხელისუფლების ფინანსური დახმარებით და საზღვარგარეთ გატანა დაუგვიანდეს, მაგრამ...

თუ მართლა კარგი გამოვიდა შენი ნაჯღაბნი და იმისთვის „დანერილის“ დარქმევაც შეიძლება, არ დაიკარგება, იმას ხალხი მოუვლის მაინც.

და ხალხის მოვლა კიდეც ისიც არის, რომ — საძიებელ სისტემა „გუგლში“ როგორც კი აკრიფავს ორ სიტყვას შუაში დეფისით, აი, ეგრე: „ვაჟა-ფშაველა“ (ბრჭყალების გარეშე), მაშინვე უამრავ საიტს ამოგიგდებს...

ხალხის სიყვარული ჰქვია ამას და თანხაში გამოსხატულ მილიონებს თუ მილიარდ „ნობელის პრემიებს“ სჯობს...

ამიტომ ჯერ შენც უნდა ჯღაბნი, მერე კი გაბრიელ გარსია მარკესის პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასავით დაჯდე და დაელოდო, როდის ჩამოატარებენ კუპოს

შენი გვამით, ხოლო შენი ნაჯღაბნიებიდან რომელიმე „ნაწერი“ დაერქვას თუ არა, ამას შენი მშობელი და დედამიწის დანარჩენი ხალხები გადანყვეტენ და არა რომელიმე ქვეყნის რომელიმე მთავრობა...  
სულ ეს არი...

კაჭკაჭის პირით გაუმხელელი საიდუმლო

მაკბეთი:  
სისხლს სისხლი მოაქვს.  
მართალია, რასაც ამბობენ.  
ქვები დაძრულა, ხეებს ენა ამოუდგიათ, ყოფილა, მისნებს  
გაუმხელიათ საიდუმლო  
კაჭკაჭის პირით და  
მკვლელობაში დამნაშავე  
ბოლოსდაბოლოს გაცხადებულა.  
რა დრო არი?

უილიამ შექსპირი „მაკბეთი“, მესამე მოქმედება, სცენა მეოთხე (თარგმნა მანანა ანთაძემ).

მისნები რომ კაჭკაჭის პირით ამხელენ ხოლმე საიდუმლოს, როგორც მაკბეთი ამბობს, ეს მერე გამახსენდა...

მანამდე კი...

ამ დილას შინ რომ ვბრუნდებოდი, ცაცხვის კენწეროდან რაკვანით დაეცა ჩემს მანქანას კენჭივით რაღაცა, ჩაირთო სიგნალიზაცია და ატეხა მანქანამ ყვირილი — არიქა, მიპარავენო!

აბა, ჩემს თვალწინ ხომ არ მოიპარავენ ამ ძველ მანქანას და მივედი — აბა, ერთი, ვნახო, რა დაეცა მეთქი და კაინის ძეგლის შემდეგ ვიპოვე შუაზე გადასკდარი რკო... ავიხედე მაღლა, ცაცხვის კენწეროზე. ერთ ტოტზე შემოსკუპებულა კაჭკაჭი

და მეჩხუბება რაღაცას იქიდან თავის ენაზე — რას ერჩი, ეგ ჩემი მოტანილი რკოა და მაღლიდან იმიტომ ჩამოვადე, რომ გამსკდარიყო და მეჭამა მერეო... თან რაღაცაც უნდა მემცნო და არაფერსაც აღარ გმტყვიო...

იმის მერე აღარ მაცდის ჩემი საქმის კეთებას — მოიტანს რკოს, დასცემს მაღლიდან ჩემს მანქანას, ჩაირთვება სიგნალიზაცია და ჩხუბობს მერე ის კაჭკაჭი...

გავფუარდები, ვეხვეწები — წადი, სხვაგან ჩამოყარე ეგ შენი რკოები მეთქი — და...

არაო, აქ კარგი ქვაფენილიაო... მოკლედ, მე მგონი, კიდეც რაღაცის თქმა უნდა და არ მეუბნება, მაკბეთის კაჭკაჭის ყაიდაზე...

ჰოდა, აი, ამ ჩვიდმეტე ოქტომბერს, 2013 წელს დამითქვია, რომ რასაც ახლა ვწერ სამი ადამიანისმაგვარი ურჩხულის მონანილეობით, თუ დამარცხდა, ამ კაჭკაჭის ბრალი იქნება...

და თუკი რაღაც გაუგებრობით წარმატებული იქნა, ესეც ამისი მეშვეობით მოხდება...

მინანერი:

უინსტონ ჩერჩილი ამბობს, რომ წარმატება ნიჭია ერთი წარუმატებლობიდან მეორისკენ ერთუზიანობის დაუკარგავად მოძრაობისა.

მაგრამ ეს მხოლოდ დიდ ბრიტანეთს და მისნაირ ქვეყნებს შეეხება...

საქართველოში წარმატება ნიჭი კი არა, მლიქვნელობაში გამეცადინებულის დაუღალავი და გაიძვერული ძრომილია, ვის „სასტავში“ იყოს და ვის არ გადაურბინოს წინ, ვის დაუჭიროს მხარი და ვის არა, რომ მერე ამისთანა უნიჭოსაც ნიჭივითა გვაგმებზე გადავლით გაამარჯვებინო...

ალბათ, ამ საიდუმლოს თქმა თუ ენადა იმ რკომტრევივა კაჭკაჭს...



ასკილი

ტოტებზე თოვლის ფიფქი ყვავილობს,  
მხრებზე მოსხმული ნისლი კლებულობს,  
ვის ელოდები, ნეტავ, ასკილო,  
პატარადალივით გარინდებულო.

ვიდრე გადამრევს ეს სიყვარული,  
და მონატრება მომიღებს ბოლოს,  
მითხარი მაინც, ვის გზას გაჰყურებ,  
ვის შეაგებებ ქარების ქოროს.

მოვდივარ, თვალი არ მომაცილო,  
უსმინე, მღერის თოვლი ფხვიერი,  
ვის ელოდები, ნეტავ, ასკილო,  
მე ხომ არა ვარ ის ბედნიერი?!

ჯვართამაღლება

დღეს მწარე ფიქრები შემშლიან, ღმერთმანი,  
გაგვნირეს მკვლევლებმა და არაკაცებმა.  
ეს ორი ტკივილი როგორ ჰგავს ერთმანეთს —  
სოხუმის დაცემა!  
ცხინვალის დაცემა!

ნისქვილის დოლაბმა ჩვენს ზურგზეც იგორა,  
დამძიმდა ცხოვრება წლებით და ჭაღარით.  
ვინ იგრძნო ნეტავი,  
ან ვინ გაიგონა,  
სამშობლოს ხერხემლის ქახანი!

\*\*\*

თვალეები,  
თვალეები,  
დაღლილი თვალეები,  
დაღლილი ლოდინით,  
დარდით და ვალეებით.  
დაღლილი ოჯახზე  
ზრუნვით და კაემნით  
(რას არ ნაიკითხავ  
უძირო თვალეებში).

დედების ხვედრია,  
ლოდინი, ლოდინი,  
შეუნთოს ჩაიდანს,  
გაგითბოს ლოგინი.  
თოვლში დგას ღამე და  
მთვარეა ჩახჩახა,  
შეჰყურებს ციფერბლატს —  
სადა ხარ,  
არ ჩანხარ!

აჰყვება შიში და  
რომ მოაძებნინოს,  
მისდევს თავის ჩრდილი  
შალმოსხმულ დედიკოს.

უშენოდ ნაღვლობს და  
შენთან კი მზიანობს:  
— დედა გენაცვალოს,  
არ დაიგვიანო!

მისი სათხოვარი  
მარტოდენ ეს არის,  
ჭიშკართან, სარკმელთან  
დგას ალვის ხესავით.

ბოლოს, მოწყენილი,  
შერჩება აივანს,  
ქორწორა ბიჭს როცა  
სხვა ქალი წაიყვანს.

დედები, დედები,  
საბრალო დედები,  
კვლავ იმათ კალთაში  
ბავშვებად ვბერდებით.

გული, გაბოჭილი  
ინფარქტის მარწუხით,  
სულ ჩამოსავარდნი  
წვეთივით ჰკიდა.

უცებ გვეცლებიან —  
რომ არ შეგვანუხონ,  
თვალეებს ხუჭავენ და  
მიდიან, მიდიან...

გაელი

ჯარჯი ფხოველს

დაჭრილ ქორივით ფრიალებს ქარში  
გაუქრეფავი კენწერო ანწლის.  
აგერ, შენსავით მარტოა კაცი  
და მის ოცნებებს ათოვს და აწვიმს.

ვანო ჩხიკვაძე



თავისუფლებას როცა დასცინეს,  
როცა სისხლს ნოვდა მზეს მორიელი,  
ცოდვილი სულის გადასარჩენად  
ქალაქს არჩია ეს ვოლიერი.

ირგვლივ მთებია და მარტოსული,  
ხევისბერივით ბრძენი, კეთილი.  
მარადიული სევდით მოსილი,  
ცხოვრობს ზეგვებით გამოკეტილი.

ოცნება — თხილის სტივირით ნელი,  
სტრიქონი — მისი სულივით ნალი,  
მსახურმა ყარიბ პოეტთა ხვედრის  
მუზას ამ მთებში დაუდგა ტახტი.

გადაათეთრა ოხვრამ მოძმეთა,  
ჯავრით უჩუმრად გადაიჭირხლა,  
მაინც ველური სიტკობი მოწვეთავს  
მისი ფიქრიდან, როგორც ფიჭიდან.

მგელი კი არა, შიმშილის ლანდი,  
დაძრწი, ამაოდ ითხოვ შენდობას.  
მარტოა კაცი,  
მიეცი თათი,  
ერთად შეჰყმუველეთ თქვენს უბედობას.

\*\*\*

არსად მამალი არ ყივის,  
ნანგრევები და ქვებია.  
მიტოვებული სახლები  
ერთმანეთს ეხუხებიან.

ზღურბლთან მომდგარა ბალახი,  
გზისპირს მოედო იელი,  
დაძახებაც კი არა ღირს,  
გამქრალა ძეხორციელი.

ქარი თუ გააქანავებს  
კარებზე კლიტის აკიდოს,  
კიდეც რომ იყოს მამალი,  
ვინ უნდა გამოაღვიძოს?

ორი სურათი

ალარც დოღოა,  
ალარც — დავითი.  
სასაფლაოზე წვანან თავისთვის.

ალარც ის სახლი —  
წერეთლის კუთხე.  
მონვეთავს ცრემლი წათხივით მწუთხე.

დღეები დღეებს,  
ფოთოლი ფოთოლს,  
მისდევს, სულ მალე ვერცხლისფრად მოთოვს.

ნოემბრის ქარი —  
ზამთრის მსტოვარი.  
უხმო, უსიტყვო შესანდობარი.

მარმარილოზე დაწყვილდა ფოტო —  
ალარც დავითი  
და ალარც დოღო.

\*\*\*

შუბლში ტყვიით და ზურგში ხანჯალით,  
რამდენი ვინმე გზამართალს არის.  
მეტი რაღა ვქნათ, სულელიც, ქველიც,  
გვინდა თუ არა,  
ჩვენი მტრების სიმღერებს ვმღერით.

შენ კი სამშობლო  
ვალეებით და ბოღმით დაზურგე,  
მალე ბედაურს მოგართმევენ,  
შეჯექ, გაქუსლე.

შეირგე წყველა, გინებასაც წაღმა გებულობ,  
ნერონის ძმაო, ძალის ბედზე დაბადებულო.

პანსიონარი

თუმცა წუთისოფელმა გაჩეჩა და დალალა,  
მაგრამ რადგან აქამდე მაინც მოაჩანჩალა,

მაინც უნდა რომ კიდეც ამშვენებდეს ამ ქალაქს,  
თავის დაკვრით ხვედებოდეს  
მეგობარს და ამხანაგს.

როცა ძველი ჯიგარი ჩამოჭკნა და დაობდა,  
წირვა გამოუტანა საუკუნემ თაობას.

როცა ყველა გტოვებს და როცა ყველა იქ არის,  
შენს სახელზეც ითლება სასაფლაოს ფიქალი.

\*\*\*

მაინც რამდენი უნდა მეხატა,  
შენი ვალი რომ გადამეხატა,  
მინა მეხნა და ლოდი მეკოდა,  
შენი წყალობა რომ შემწეოდა.

მაინც რამდენი,  
მაინც რამდენი,  
მარილიანი ცრემლის ნადენი,  
ლალატი, ჯვარცმა და უპირობა,  
შხამავდა სულს და გულზე ჭრილობას.

უნდა შემინდო,  
ვერ მოგიცადე,  
მეც შევეგუე ბნელ და იოლ გზას.  
თავი დახრილი მქონდა მიწამდე  
და სიმძიმისგან მხრები მტკიოდა.

გათენდა, სანთლებს ჩუმად მიქრობენ,  
თუმცა მდევნიან ძველი ვალეები,  
ერთხელ ხომ მაინც მეც ჩავიქროლე  
ეტლში შებმული „ბანქოს ქალებით“.

შენი ვალი რომ გადამეხატა,  
ნეტავ რამდენი უნდა მეხატა?

\*\*\*

მოდის ბოროტი და მოუღლეელი —  
ველარ დაადგეს ამ ღორს უღელი.

ყური არ ვუგდე შენს შეგონებას,  
უხვად გავფლანგე მიწაც, ქონებაც.

როგორ გავაძღობ, ტახი ტახია,  
უფალო, რომ მსჯი, ჩემზე ახია.

მართლაც მეკუთვნის ტაში „მქუხარე“,  
ღორს მარგალიტი მე დავუყარე.

ანგრევს ღობეებს,  
ვერ გამოიგია,  
ყველგან ჩაწრილი ღორის დინგია...

ხომ უნდა ვპოვოთ ნავსაყუდელი —  
ველარ დაადგეს ამ ღორს უღელი.

სახელური

შედიან, გადიან,  
გადიან, შედიან,  
ყველას ეგებები,  
ვისაც კი ბედი აქვს.

ძველ „მოგვეს“  
ახალი ბრიყვები შეცვლიან.  
„რაც ჭამეს, შეარგოთ!..“  
„ცოტაც რომ ეცლიათ!..“

ხელს ვართმევ ერთი და  
იგივე სახელურს,  
რამდენი ხანია,  
რამდენი წელია,  
უიღბლო ქალაქში  
ახალიც ძველია,  
მე აქ ვინ მიბოძებს  
ჯილდოს ან სახელს.

მდევნიდნენ ძველები,  
ახლებიც მდევნიან,  
მიღრენენ კიბესთან  
დაბმული ჯიშები.  
შედიან, გადიან,  
გადიან, შედიან,  
ნასუჭი ღიბები,  
დინჯი ნაბიჯებით.  
ყოფილ გაიძვერებს,

თუ დამწყებ „ბარიგებს“, ცოდვის სავარძელი ყველას მოარიგებს.

ვინ არის დამნაშავე? — ეკუთვნის საყვედური. რაღა ფიქრი უნდა — კარის სახელური.

რამდენ ჭუჭყს იტანდა, იტანს და აიტანს, ასეთი გაძლება, ღმერთმანი, საიდან!

„ადე, ვერ ავდგები!“ „ადე, ვერ ავდგები!“ — მომხვეჭელები და სულით ვერაგები, ცხადშიც მელანდებით, ძილშიც მელანდებით, დიდრონ სავარძლებში ციცქნა ბელადები.

რას იტყვი, ძვირფასო, ძმაო და კოლეგა. დროებამ ახალი ნახირი მორეკა. შედიან, გადიან, ზოგი დგას, ზოგი დევს. სამშობლო ავადმყოფ ბავშვივით მოგვიგდეს.

აქეთ გენევიან, იქით გენევიან, კარის სახელური ნუთუ არ იღლები.

ხალხი მომთმენია — ძროხა მენველია, სეზამ, გაიღები! სეზამ, გაიღები!

ვინ ვისი მამიდა, ვინ ვისი გადია, გადიან, შედიან, შედიან, გადიან...

**ჭიპა**  
(იუმორესკა)

აქეთური, იქითური, ყველს რა უნდა? — ცხელი პური. პურს — ლავაში, ლავაშს — ფლავი, ხარს — გუთანნი, გუთანს — კავი. სამხარი და დოქით ღვინო, რომ დავსხდეთ და ვილიღინოთ: „ჩემი ჯიბრით, შენი ჯიბრით, ყველაფერი დააქვს ჯიბით — ჩიპი, ჭიპი, ღიპი, ჯიპი... ყოვლისშემძლე არის იგი...“

ერთხელ მაინც წაეკითხა სარკოფაგზე ეს იგავი: „ის, რაც მე ვარ, შენც იქნები, რაც შენა ხარ, მეც ვიყავი...“ ჩვენი ბედნიერი ჭიპა, იქცა ჩიპად, იქცა ჯიპად... დაუძახა მაინც მინამ, გულხელდაკრეფილი მინვა. თან ნაილო ღიპი, ჭიპი. აქეთ დარჩა ჩიპი, ჯიპი.

აქეთური, იქითური, ყველს რა უნდა? — ცხელი პური.

**ქვითახვის ციკლი**

\*\*\* შებუდებულა ზარებში „ნაუ“, ზამთარს ჩვეული მოაქვს მოწყენა. გადაჩვეული ქარების ხმაურს ტყეების ფერხით წეწ ფოთოლცვენა.

და წირვის შემდეგ, როგორც წესია, პირმოკუმული დუმს ეკლესია.

მივდევ ბილიკებს. ქუსლებს მისერავს, მშობლიურ მხარის ტკბილი ეკლები. და სულ მგონია, რომ ფეხშიშველა დედა ღვთისმშობელს გადავეყრები.

\*\*\* აღარ ივსება გული ნატვრებით, როგორც განვდილი პეშვი წვეთებით. მოხვალ? — ნატანჯი სული გათბება, ნახვალ? — გაგყვება ოხვრა ვედრების.

რაც შემოგვრჩა და გამოვიზოგეთ, გავუნანილეთ მშიერ ბელურებს. ძალაობს ქარი, აქრობს სიცოცხლეს, მოგვდევს და მოგვდევს, შლის ნაფეხურებს.

ჩამოდის ფიფქი. თოვლი ბევრდება, ყვავი დასწავის გამხმარ ლელიანს. როდესაც ირგვლივ მთებიც ბერდება, ჩვენი სიბერე რა სათქმელია.

\*\*\* ძალაობს ორპირი, კანდელი ქანაობს, თითებში შრიალებს ლოცვანი, მამაო!

ფურცლები, ფურცლები, მტრედების ფრთებია, მთრთოლვარე ხელებში ღულუნით თბებიან.

შხამი რატომ წვეთავს ხანდახან ფიჭიდან, ჩვენ რა ვთქვათ, როდესაც შენც ასე გიჭირდა.

გუმბათს გარს მწუხარე დაისი ევლება, სტრიქონის საფეხურს ასველებს ცრემლები.

ვინც იბრძვის, იმარჯვებს, მაფრთხილებს ზარის ხმა, ამარცხებს ბუნაგში მომწყვდეულ ქარიშხალს. ვითომ სიმშვიდეა, ვითომ იდილია, ვინ იცის, ვინ უწყის იქ რა ჭიდილია.

ძალაობს ორპირი, კანდელი ქანაობს, თითებში შრიალებს ლოცვანი, მამაო!

\*\*\* რა ვუთხრა ღრუბელს, რა დავაბარო, ამ დაჯანღული მთების ბუდიდან, ან გრძნეულ ქარებს, ნისლის ფაფარზე, ელვის ხანძარი ვინ ნაუკიდა.

ახლა წერილებს აღარ გზავნიან, იშვიათია სულთა მსგავსება. გესმის ფეხის ხმა? — ალბათ მგზავრია, მიდის და ფიქრებს ებაასება.

**17**

რკინიგზის აქეთ და რკინიგზის გადამა, სიცოცხლის ყვავილი ჩაჭკნა და გადახმა.

ნაღმი რომ გლეჯდა და ტყვია რომ თიბავდა. გაქრა ის სიცოცხლე, სიკვდილმა იბარტყა.

რკინიგზის აქეთ და რკინიგზის გადამა, ბრძოლაში ჩვიდმეტი გმირი დაიბადა.

რა უნდა მოვთხოვო ერაყს და დამასკოს — ბიჭები, საკუთარ წინამძღოლს არ ახსოვს.

ღმერთი არ შეგინდობს, სადაც ხარ, ვინცა ხარ, ამ ტკივილს სათუთად თუ არ შეინახავ.

იქ, სადაც ჩაქოლეს ბოროტის მძრახველი, ბაგეზე გაცვდა ჩვიდმეტი სახელი...

რკინიგზის აქეთ და რკინიგზის გადამა — ისინი შენთვის და შენ მათთვის აღარ ხარ. გახსოვდეს, ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს, აქ დადის, ამ ქვეყნის სირცხვილი, ჯალათი, სახადი.

აქ სისხლი, იქ სისხლი — ნაყოფი ღალატის, თუ გოგოს დაეპნა ალუბლის კალათი.

გახსოვდეს მტერი და გახსოვდეს ჯალათი, რომელიც ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს, აქ დადის...

მეხუთე აგვისტო — დროვ, როგორ აჩქარდი, ინგრევა კედლები, ჟანგდება ჩაჩქანი.

ფეხქვეშ გასრესილი წვეთავს ალუბალი — აგვისტოვ, მწუხარე ხარ ჭირისუფალი!

**სამშობლო**

ვინ ანონის შენს ერთგულებას — შენ ხარ ორაგული, მძიმე და ვრცელი წყლებიდან დაბრუნებული.

ველარ კრიალებს გუბე, სადაც ერთ დროს ცხოვრობდი, აღარ თბებიან ფსკერზე გადაშლილი ფერადი კენჭები — მზის სხივები ველარ ბურღავენ ბლანტ და მღვრიე წყალს...

მაინც დაბრუნდი. შინ დაბრუნდი. მაინც დაბრუნდი, რომ ამ გუბეში დაყრილ ლიფსიტებს შეაჭამო შენი ნატანჯი სხეული...

რას გაგიგებენ დიდი, მცონარა ვეშაპები — გეძახის გუბე, მოდგმა უნდა გადაარჩინო.

\*\*\* სული მწყურვალი ვერ შეგელია, ქვათახვისკენ ისევ მელან.

მეძახის ნისლი — ზამთრის ფერია. ნათობს სანთელი, ბუუტავს კელია.

დილის ბინდბუნდში, ღამენათევი, მალღდება ლოცვა შაოსან ქალთა, და სარკმელიდან მომზირალ ზამთარს რაფაზე უდევს თოვლის თათები.

სულს სიყვარული ისევ მომივდა, ნისლის ფერია, თეთრი სამოსით, გადმოდგება და ციხე-კოშკიდან ჩემს ასაყვანად ნანწავს ჩამოშლის.

\*\*\* ირგვლივ შემოწულ გვირგვინში მთების როგორ ჩანწულხარ, მინდვრის გვირილაგ. გიცნობ, მახსოვხარ, თეთრი ბაფთებით ღვთიურმა ხელმა აგაბიბინა.

ჩემი სურვილიც რომ დათავთავდეს, მთებში მოსული მიცდის მკათათვე. გადმოგიყვანო უნდა საჩვენოს, მაცალე, ხელი შემოგაშველო.

რომ გაგრძნობინო შენ, ნაზ ფურცლიანს ჩემს დიდ სიყვარულს რა შეუძლია.

სუტანელია, როცა ბავშვობის მეგობარზე წარსულ დროში წერ. როცა მთელი ცხოვრება ერთად მოდიხარ და გგონია, რომ ასე უნდა გაგრძელდეს სულ, უსასრულოდ. არ გინდა, დაიჯერო მისი წასვლა... თითქოს, შხამიანი სიზმრისაგან თავის დაღწევას ლამობ. ალბათ, ვერასოდეს დავიჯერებ პაკოს არყოფნას.

ვერ დავიჯერებ, რომ, თუნდაც შემთხვევით, ქუჩაში აღარ შემხვდება, ხასიათს გამომიკეთებს, ცხოვრებას უფრო შემაყვარებს, ბნელსაც კი ნათლად დამანახავებს. ჰო, ასეთი ნიჭი ჰქონდა, ყველასგან გამორჩეული, განსხვავებული, არა ამქვეყნიური. ვერ დავიჯერებ, რომ არასოდეს მომიყვება თავის კეთილ ზღაპრებს — როგორ მოიგერია ქოლგით გავეშებული ხარი; როგორ ცხოვრობდა მისი, ჩემთვის უცნობი მეგობარი, პალიასტომის ტბის კუნძულზე... ეს ნამდვილი ზღაპრები იყო, პაკოს ფერადი შინაგანი სამყაროდან ნამოსული. რატომ არ წერ-მეთქი, ვკითხე ერთხელ. თავისებურად, გულიანად გაეცინა. ხომ იცი, როგორი ზარმაცი ვარო, მიპასუხა. არადა, სრულიადაც არ იყო ზარმაცი, პირიქით, ერთ პატარა ლექსზე შეეძლო დღეები, თვეები ემუშავა. მეც, თუ დაუშთავრებელ ლექსს ვაჩვენებდი, მისაყვედურებდა ხოლმე: ეს კარგი ლექსი უნდა გამოვიდეს და არ გაგაფუჭებინებო. ჰოდა, რა ზარმაცი...

ჩვენს ახალგაზრდობაში მოდაში პოეტური დაჯგუფებები შემოვიდა. შენ და პაკო არც ერთ დაჯგუფებაში რატომ არ ხართო, მკითხეს ერთხელ. ჩვენ ჩვენი ჯგუფი გვაქვს, „რიუა პოეტების საზოგადოება“,

2014 წლის პირველი თვე არაერთი ახალი და საინტერესო ნიგნის გამოცემით აღინიშნა. სიახლეა როგორც პროზაში, ისე — პოეზიაშიც.



\*\*\*

მწერალთა სახლში ლაშა ბულაძემ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“ ერთად წარადგინა ორი ახალი ნიგნი — „Lucrecia 515“ და „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“. საღამოს ბასა ჯანიკაშვილი უძღვებოდა.

რომანის — „Lucrecia 515“ — მთავარი იდეა თავდასხმა, ინტერვენციაა პირად სივრცეზე. ნაწარმოები იმ ადამიანებზეა, ყოველგვარი თვითცენზისა თუ თვითშეზღუდვის გარეშე სხვის პირად სივრცეში რომ იჭრებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეა: ცოლი ტყის ქმრის პირად ფოსტას, ცოლთან ერთად — მკითხველიც. „Lucrecia 515“ პირველი რომანია, რომელსაც თავისი ვებგვერდი აქვს, მკითხველი პერსონაჟის ფოსტაში შედის და თანამედროვე დონეზე უახანის საიდუმლოებისა თუ პირადი ცხოვრების მონმე და მძარცველი ხდება.

ნიგნის წარდგინებისას ავტორმა იმაზეც ისაუბრა, თუ რატომ აირჩია თხრობის ამგვარი ფორმა, რატომ ამჯობინა შეექმნა პერსონაჟის ელექტრონული ფოსტა და მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს რეალობად ექცია პროცესი „სადაც შესვლისა“, პროცესი ერთგვარი ვირუსის შეღწევისა სხვის სოციალურ სივრცეში.

„ეს არის თანამედროვე დონე უახანის ტრაგიკომედია. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მინდობა, დამეწერა დონე უახანზე“, — აღნიშნა ავტორმა.

თბილისის ქუჩებში მოსიარულე ლაშა ბულაძისეულ დონე უახანს არასრულფასოვნების კომპლექსი ამოძრავებს. ამას მკითხველი თავად აღმოაჩენს და, ალბათ, მასაც, ავტორივით, გაუჩნდება კითხვა:

# გაგა ნახუცრიშვილი პაკო

ორნი ვართ და არავის დამატებას არ ვაპირებთ-მეთქი. ახლა გამახსენდა, რადგან ძალიან მოეწონა ეს ჩემი ხუმრობა და ხშირად იმეორებდა.

ბავშვობაში კრივის ხელთათმანები ვაჩუქე.

— კრივზე გაგას ნაჩუქარი ხელთათმანებით მივედი, — ამბობდა ხშირად.

— სირცხვილია, ბიჭო, ეგ არსად აღარ გაიმეორე, რომელი როკი მარჩიანო მე ვარ, ჩემი ნაჩუქარი ხელთათმანებით რომ ტრაბახობ, — ვეხუმრებოდი მე.

პოეზიაც გამორჩეული ჰქონდა, თვალდახუჭული იცნობდი და შეიყვარებდი. ბოლოს „ნასესხები შუქი“ გამოსცა — თარგმანების კრებული. ვფიქრობ, რომ ეს შესანიშნავი კრებული ბევრი პოეტისა თუ მთარგმნელის სამაგიდო ნიგნი გახდება.

ბედმა არ გაგვანებებია, ჯერ კიდევ ღრმა ახალგაზრდობაში დავეკარგეთ მეგობრები. ეს არის ის, რასაც დროც კი ვერ ერევა, ვერ კურნავს.

ახლა უშენობაც უნდა ვატაროთ, ძმო-ბილო.

**P.S.** „ლიტერატურულ გაზეთს“ — ეს პაკოს გამოუქვეყნებელი, უკანასკნელი ლექსებია, „საღამის CV“ კი სულ ბოლო ლექსია.

## სამი საღამო

„როგორ მოიქცეოდა მაღამ ბოვარი, სკაი-პი რომ ჰქონოდა? როგორ იძიებდა შურს მედია იასონზე, ფეისბუქის მომხმარებელი რომ ყოფილიყო? მიუსწრებდა თუ არა რომეო ჯულიეტას, წერილი ელექტრონულ ფოსტით რომ მიეღო? შეძლებდა თუ არა სანდრო პირად სივრცის დაცვას უცხო სხეულებისგან, ინტერნეტი რომ არ ჰქონოდა?“

მეორე ნიგნი — „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ — პირველი თანამედროვე ქართული ნიგნია, რომელიც ლონდონის ცნობილი თეატრ „როიალ ქოთში“ დაიდგა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ბრიტანულ საზოგადოებაში, ისე იქაურ პრესაში. მაგალითად, „დეილი ტელეგრაფი“ წერდა — პიესა შლის ზღვარს რეალურს და გამოგონილს შორის და წარმოუდგენლად ძლიერი მუსიკა მი-აქვს მაყურებელთან.

მკითხველმა მწერალთა სახლი საყვარელი მწერლის ორი ახალი ნიგნის წაკითხვისა და მძაფრი შთაბეჭდილებების მოლოდინში დატოვა.



\*\*\*

28 იანვრის საღამო თავად გახსნა მწერალმა ბექა ქურხულმა ახალი ნიგნით „ჩანაწერები 1993-2011“.

უპირველესად, დიდი მადლობა შენუხებისთვის და მობრძანებისთვის, — აღნიშნა ავტორმა. შემდეგ წარმოვიდგინა ახალი კრებული, რომელიც გამოცემის სახით თავადაც პირველად ნახა და დიდი მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „საუნჯეს“.

მწერალმა საღამო დაიწყო მოთხრობის კითხვით, რომელსაც ასე ჰქვია: „იმათ, ვინც მიყვარს“ და რომელიც მეგობრების,

სუნთქვაშეკრული მდუმარება  
წამს ააფეთქებს,  
ტანასხმულ ოქროს მოაბნელებს  
ნატიფი თვალი.  
დღისა და ღამის სამანს  
ველარ გაითევს მეფე  
და მარმარილოს  
დაადნება მზის ნატურფალი.

შფოთიან ღამეს გადაეკრა  
ისრიმისფერი,  
კრავს ჩემი ნავის ნატანჯი ფსკერი  
ორი ზღვის ვნებას.  
წვეთის სიღრმიდან აიშლება  
ღამე-ბოსფორი  
და დავენებდები,  
არც თუ ცხადი, არც მოჩვენება.

### მონადირე და თხა ნიალა

ნანგა ნიალა, ნინგა ნიალა  
ქვიან ბილიკზე გადაიალა.  
მეც ქვად ვიქეცი, ნანგა ნიალა,  
ცა მონმენდილი, იალკიალა,  
ნანგა ნიალა, ნინგა ნიალა,  
მზის სამყოფელში განგან იარა,  
მეც მზედ ვიქეცი, გახსნილ იარად  
შემომბრუნდა ნანგა ნიალა,  
დააპირქვავა მთვარის ფიალა,  
დიდი თვალეზი დააბრიალა —  
მითხრა, შეჩერდი, ადამიანო,  
სჯობს, ნასესხები შუქით იარო.

მშობლების, სამშობლოს სიყვარულზეა. ეს რალაცნაირი, ძარღვიანი და ემოციური მოთხრობა ავტორმა ასეთივე განცდით წაიკითხა, თუმცა მანამდე თავისი მეგობარი, პოეტი პაკო სვიმონიშვილი ასხენა — არ ვიცი, თუ შეიძლება, პრეზენტაცია ვინმეს მიეძღვნას, მაგრამ რატომაც არა. მე ამ საღამოს ვუძღვნი ჩემს ძმას, ძალიან მაგარ პოეტსა და ძალიან მაგარ კაცს, პაკო სვიმონიშვილს, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. გუშინ გაგა ნახუცრიშვილთან ერთად მოვიხსნა და ყველანი ვგულშემატკივრობთ, გამოჯანმრთელდესო. ამ სიტყვების შემდეგ ბუნებრივი იყო, სწორედ ეს მოთხრობა — „იმათ, ვინც მიყვარს“ — რომ წაიკითხა. დღეს, როცა პაკო უკვე აღარ არის, ეს სიტყვებიცა და მწერალთა სახლში წაკითხული მოთხრობაც დამშვიდობებასავით ჟღერს.

მომდევნო ჩანაწერს „ჩემი ძმაცაცის სახლი“ ერქვა. საოცრად ცოცხალი ჩანაწერი იყო და ეძღვნებოდა იმას, რაც ძველი თბილისის უბნებში დანგრეული სახლების ნანგრევებში მოჰყვა, იმ წარსულს, რაც მოგონებებშია რჩება, ან იქნებ ჩანაწერებშიც დარჩეს.

რამდენიმე ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ XX საუკუნის 90-იანი წლების თბილისსა და მაშინდელ ყმანვილურ ისტორიებზე რომ მოგვითხრობდა, ბექამ აღნიშნა — იმ დროს ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის რომ ეთქვა ვინმეს, წლების შემდეგ მწერალთა სახლში ერთ-ერთი ჩვენგანის ნიგნის პრეზენტაციაზე ვისხდებოდით, ალბათ, ბევრს ვიცინებდითო.

გვიანობამდე გასტანა კითხვამ, არავის მოგვზრებია ბექა ქურხულის „ჩანაწერები“ მოსმენა, კიდევ და კიდევო, ითხოვდნენ დარბაზიდან. პრეზენტაცია ჭიქა ღვინის ანევიტ დასრულდა.

\*\*\*

საოცრად შთამბეჭდავი და ემოციური იყო შეხვედრა პოეტ ელა გორჩაშვილთან და მისი ახალი ნიგნის — „ცხოვრებაგაუმტარი“ — პრეზენტაცია. იმ დღეს თბილისში განსაკუთრებულად ციოდა. ეს კი ის შემთხვევა იყო, როცა ლექსმა, პოეზიამ თავისი ქნა, გაათბო და მოწუხსა მსმენელი და ყველგან შეაღწია, ყველაფერზე იმოქმედა, მგონი — ამინდზეც.

შეხვედრას გიორგი ლობჯანიძე უძღვებოდა, რომელმაც საღამოს მთავარი გმი-



საღამის CV

მისამართი — ქალაქი ური, პროფესია — დიქტატორი, ენები და უნარჩვევები — მშობლიურია. მემკვიდრეობა — ბალადის კარი, ჰობი — მზის ჩასვლა. დანარჩენი — პირადულია.

უკანასკნელი პუბლიკაციის მთავარი ხაზი, როგორც აღმოჩნდა, მავანთათვის სხვა საცდურია, — ვერ გაუგიათ, რომ პლასტმასის იებზე ნაზი გავეშებული ბეჭემოთის წყვილი ყურია.

რი ასე დაახასიათა — „ელა სრულიად განსაკუთრებული პოეტი. ვისაც კი ერთი სტრიქონი მაინც წაუკითხავს მისი, თუნდაც სულ ადრეული კრებულისა, მიხვდება, რომ საქმე აქვს ნამდვილ პოეტთან, სინათლესთან, სინაფელესთან“.

შემდეგ კი სიტყვა პოეტს გადასცა. ქალბატონმა ელამ მისალმება მადლობით დაიწყო. ჯერ საზოგადოებას გადაუხადა მადლობა, უამინდობის მიუხედავად მისი ლექსის მოსასმენად რომ მივიდა, შემდეგ — გამომცემლობა „საუნჯეს“ კრებულის გამოცემისთვის, მწერალთა სახლს — მასპინძლობისთვის, ბოლოს კი — დედას, ნიგნის ადრესატს: „როგორც უფალს, დედას უპირობო მადლობა“.

რამდენიმე ლექსის წაკითხვის შემდეგ ჯერი „ცხოვრებაგაუმტარზე“ მიდგა, რასაც პოეტის ასეთი შეფასება მოყვა: ძალიან დიდი დოზით არ უნდა გაატარო შენი ცხოვრება, რომ არ გაგძარცვოს. ყველას ვუსურვებ, გარკვეულწილად, ცხოვრებაგაუმტარი იყოს, რათა დაზოგოს და შეინახოს თავი დიდი საქმეებისთვის.

გამომცემლობა „საუნჯის“ წარმომადგენელმა, პოეტმა მარიამ ნიკლაურმა კი ელა გორჩაშვილს ახალი ნიგნისთვის მადლობა გადაუხადა: „მადლობა, ელა, იმი-სთვის, რომ საქართველოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თქმა — არსებობენ ნიჭიერი, ერთგული პოეტები, რომელთაც პოეზიისთვის არასოდეს უღალატიათ.“

მწერალთა სახლში ელა გორჩაშვილის პოეზიის საღამო გვიანობამდე გაგრძელდა.



მომზადდა თამარ ჟურულმა

## ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარაღმართა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com